



# საგჭოთა სელოვნება

GOBET'KROE  
 UKRYGCTBO  
 SOVIET  
 ЯРТ  
 SOWJETKUNST  
 ЯРТ  
 SOVIET'IQUE

3

1971

# საგჯობთა საქოვანება

*საქოვანება  
725 2012*



ქრისტიანული ხელოვნების 1921 წლიდან

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
ზრუნველობა  
ქრისტიანული

3

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ქოველთვიური ჟურნალი

1971





თბილისი. 1971 წლის 27 თებერვალი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ურილობის პრეზიდიუმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოდის სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აშ. შ. პ. მშაბანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

# თეატრის საერთაშორისო დღე

რუსეთის ფედერაციის წლის წინ შექმნილი თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ახლა ორმოცდათხუთმეტამდე ქვეყნის პროგრესულ თეატრალურ მოღვაწეებს აერთიანებს, სულ უფრო მტკიცედ იცავს თავის ჰუმანურ ღვაწლს — „თეატრი, როგორც ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების საშუალება“. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ისიც, რომ 1961 წელს კენამი გამართული თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის მე-9 კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კვლავაც ძალაშია და ხელოვნების კეთილშობილური მისიის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით ყოველწლიურად 27 მარტს ფართოდ იმართება თეატრის საერთაშორისო დღე.

სტენბერგი ინსტიტუტის მიერ თეატრალური ხელოვნების საშუალებით კვლავაც წარმატებით ხორციელდება ხალხთა კულტურული ურთიერთობის დამყარების მთავარი ამოცანა.

სკენის საბჭოთა ოსტატები თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტში ჯერ კიდევ 1959 წელს შევიდნენ ჰელსინკში, მერვე კონგრესზე. შემდეგ მოსკოვში ჩამოყალიბდა საბჭოთა ეროვნული ცენტრი, რომელმაც კავშირი დამყარა მსოფლიოს 36 ქვეყნის თეატრის პროგრესულ მოღვაწეებთან.

პროგრესული თეატრი ჭეშმარიტად გამოვლინდა როგორც ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების საშუალება. გაწვიბული დარჩნენ სკაპტიკოსები, რომლებიც თეატრს განადგურებს უწინაწარმეტყველებდნენ. დროის გამოცდილებამ ნათელი გახადა, რომ ადამიანთა შორის ხელოვნების სპეციფიკური უპირატესობა, არამედ შემოქმედების დეურ-მხატვრული დაუძლურება ხდება ამა თუ იმ უძველესი მუხის კრიზისის მიზეზი. ჯანსაღი განცდიებისა და აზროვნების სამყაროში ხელოვნების არც ერთი დარგი არ ანადგურებს თავისი გზით მიზანვალ თეატრს და არც თეატრის წინსვლა უშლის ხელს სხვა ხელოვნებას. ყოველ მათგანს აკეთილშობილებს ხელოვნების ერთიან ოჯახში მშვიდობიანი თანაარსებობის უფლება.

ამჟამად თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრი აქტიურად მონაწილეობს ამ ინსტიტუტის მიერ

გამოცემულ ჟურნალში „მსოფლიო თეატრი“, რომელიც აშუქებს თეატრალური ხელოვნების თეორიის, პრაქტიკის, შემოქმედებითი მეთოდებისა და ტექნოლოგიის აქტუალურ საკითხებს, და საინფორმაციო ბიულეტენში „მსოფლიო პრომიერენტი“, რომელშიც განალიზებულია საუკეთესო ახალი დადგმები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შემოქმედებითი პრინციპების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა ჟურნალ „მსოფლიო თეატრის“ სპეციალური ნომერი, რომელიც საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას მიეძღვნა.

გარდა ამისა, სისტემატურად ეძლევა შესაძლებლობა უცხოეთის მრავალი ქვეყნის მსახიობებს, რეჟისორებს, მხატვრებს... გაეცნონ საბჭოთა კავშირის თანამედროვე თეატრების შემოქმედებას. საზღვარგარეთის ქალაქებში რეგულარულად იგზავნება საბჭოთა პიესები, თეატრმცოდნეობის საკითხებზე დაწერილი სტატიები, ჟურნალები „ტეატრი“, „ტეატრალნია ეიზნ“ და მათ შორის რუსულად ანოტირებული ქართული ენაზელი „საბჭოთა ხელოვნება“.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო საერთაშორისო კულტურულმა ურთიერთობამ სსრ კავშირსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თეატრებს შორის. ამ მხრივ თავისი წვლილი შეაქვს ქართულ თეატრსაც, რომელსაც ამჟამად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეათე წლისთავზე, უკვე გააჩნია თავისი სახელოვანი ისტორია. ამ ისტორიას აქვს თავისი ეროვნული მომხიბვლელობა, ბევრისთვის სამავალითოდ რომ გამოდგება და აქვს ბევრი რამ დასაფიქრებელიც, თვალადასაყვებიც. მაგრამ ერთი ცნებაა: იგი მიემართება თანამედროვეობის კვლავილს, არ უშინდება გაბნეულ ძიებებს და ისწავფის რეალისტური ტრადიციების შემოქმედებითი განვითარებისა. სწორედ ამ გარემოებებმ განაპირობა თანამედროვე ქართული თეატრის პოპულარობა საზღვარგარეთაც. ამისათვის, თუ ამ ბოლო წლებში ხა დიდი წარმატებით ჩაიხატა რუსთაველის თეატრის ტურნეში უცხოეთის ქვეყნებში და, როგორც აღინშინა, გერმანიისა და პოლონეთის პრესაში დიდი ყურადღება ამ თეატრის სპექტაკლებისადმი მიძღვნილი აღფრთოვანების გამოხმატვლი რეცენზიები.

საჯულისხმია, რომ ქართული თეატრის განვითარების ამ სანდკირესო პერიოდში ახალგაზრდა ნიჭიერი თაობა ერთვალად უღას მხარში ამაოცდილ და ამომზობი მოთავსებას და უა ირობობება ამ რამისხატობა ბრმა მიმბაძობობასა და ამამრბობობობაში. ისინი სიხარის ადრნობით იღებენ ხელოვნებაში და ცდილობენ შემოქმედებით თათი ათავისინ ტრამოიბობა.

წილს თეატრის მათე საერთაშორისო დღე ჩვენთვის ანსაკუბრებო მნიშვნელობას იძინს. წლიანთელი წიოწიწად საიბოობობა. ამ დღისთან დაავშრებობით ჩვენს თეატრებში უზუნბინ საჩარბილბოთ საბჭოთა ხელისოთლების თამბარბობის ორმოცამათე წლისთავისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე წრობობისათობის მომწობობობო საუბობობ სპეჩბობობს. ამოჭეაწობობა სპეციალობი წროობობი და თართობ ჩბარბობბ თეატრის საერთაშორისო დღის ოსანბნწნბი საუბრბობი.

საბჭოთა თეატრის მოთავსებისათვის ანსაკუბრებობ ახლობ დღისთ — „თეატრი, როორც ხლობთა ურთობობთავბობისა და მშვიდობის განმტკიცების საშუაობა“. საერთაშორისო ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრთან ერთად, ქართული თეატრის მთეო თავის მოშობობს უძღვნის ამ ჰუმანური მოწილეობის დახობრცელებას.

# თეატრი — თანამედროვეობის ტრიბუნა

(ერამატული თეატრების სარესპუბლიკათაშორისო თათბირზე)

დიდი შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს საბჭოთა თეატრებმა ბოლო წლებში. მათ გვიჩვენეს იდეური სიმწიფე და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, შექმნეს არა ერთი საინტერესო სპექტაკლი, რომლებშიც ნათლად გამოჩნდა საბჭოთა სამსახიობო სკოლის მიღწევები, მისი იდეური და ესთეტიკური ღირებულებანი. რეპერტუარში უპირატესი ადგილი დაეთმო საბჭოთა თემატიკას, ჩვენი ხალხის გმირობისა და თავდადების ამსახველ ნაწარმოებებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებამ სათავე დაუდო ახალ ეტაპს საბჭოთა თეატრების ცხოვრებაში. მისი ლოგიკური გაგრძელება იყო კომკავშირის ნახევარსაკუთვანი ისტორიისა და ფაქსიტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავის აღნიშვნა.

საიუბილეო დღეებისათვის მზადება ჩვენი თეატრების ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცა. ყოველი კოლექტივი ცდილობდა ახლებურად გარდაეცმნა მუშაობა, მთელი თავისი შემოქმედებითი და ორგანიზატორული ნიჭი გამოეყენებინა მაღალმატრული ნაწარმოებების შესაქმნელად. რა ბუნებრივია, რომ ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მზადებას. თეატრალური კულტურის ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი, ჭეშმარიტად გრანდიოზული შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც ახალი სამყაროს შემოქმედს მიუძღვნა. ხუ-

თასზე მეტი სახელმწიფო თეატრი ორი წელი იღწეოდა, რათა პირნათლად შეხვედროდა ბელადის იუბილეს. შეიქმნა ასობით სპექტაკლი, ათასობით სცენური სახე ლენინისადმი მიძღვნილ წარმოდგენებში, ყოველი თეატრი ცდილობდა ფართოდ და მრავალფეროვნად გამოეხატა ლენინური იდეების ზეიმი, ეჩვენებინა საბჭოთა ხალხის მიღწევები, ისტორიულ-რევოლუციური წარსული, ბრძოლით, შრომითა და ურთულესი წინააღმდეგობებით განვლილი სახელოვანი გზა.

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა თეატრმა. საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ჟიურიმ უკვე შეაჯამა გაწეული მუშაობა და არა ერთი სპექტაკლი დააჯილდოვა დიპლომებითა და ფულადი პრემიით.

ჭეშმარიტად საპატიოა ის მუშაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის თეატრებმა გასწიეს საიუბილეო პერიოდში, მაგრამ თეატრალური ლენინიანა აქ არ შეწყვეტილა. იგი გრძელდება და საბჭოთა თეატრის წმინდათაწმიდა ვალია გაამდიდროს და განავითაროს თეატრალური ლენინიანა. სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსმა ბ. ივანოვმა დრამატული თეატრების მუშაკთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირზე თბილისში. თათბირი, რომელიც 2 და 3 თებერვალს გაიმართა, მი-

ედენა 1969-1970 წლების თეატრალური სეზონის შედეგებსა და სამჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის X XIV ყრილობისათვის მზადდება.

1969-1970 წლების სეზონი მიედგენა ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავს. მოხსენების შინაარსს სწორედ ეს უნნიშვნელოვანეში მოვლენა განსაზღვრავდა.

როგორც მოხსენებმა, ასევე თანამოხსენებებსა და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებში ხასი გაესვა თეატრების სამზადისის პარტიის X XIV ყრილობისათვის. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის სამჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თეატრებში გაცხოველებით ემზადებიან ყრილობისათვის, თეატრები თავიანთ საუკეთესო წარმოდგენებს უძღვნიან მას.

თათბირზე წავითხულ იქნა თითი თანამოხსენება. საქართველოდან კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარმა რედაქტორმა ა. წულუკიძემ წავითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს კულტურის სამინისტროს მუშაობა ახალი რეპერტუარის შექმნაზე“<sup>1</sup>. აზერბაიჯანის სამინისტროს რეპერტუარის მუშაობის განხილვის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ა. ისმაილოვი. მან ილაპარაკა აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს როლზე სამჭოთა კავშირის მწერალთა ნაწარმოებებით რესპუბლიკის დრამატული თეატრების რეპერტუარის გამდიდრების საქმეში. სომხეთის სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსი მ. ოგანიანი შეხვო სომხეთის კულტურის სამინისტროს მიერ გაწეულ მუშაობას დრამატული თეატრების ხელმძღვანელ კადრებთან. სოფლად თეატრების მომსახურების საკითხზე ილაპარაკა მოლდავეთის კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა მ. სოკოლოვმა.

თათბირზე თეატრების ბევრი საჭირობოტო საკითხი იქნა განხილული. თეატრების შემოქმედებითი და ორგანიზაციული ცხოვრება აქ მრავალ ასპექტში წარმოდგა, მაგრამ გამორჩეული ყურადღება დაეთმო რეპერტუარის საკითხს. თეატრის საზოგადოებრივ დანიშნულებას, მის როლს, მის ადგილს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში დიდი ინტერესით განიხილავდნენ კამათში გამოსული ამხანაგები.

თათბირზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებით დიდა თეატრის როლი დღეს. მასების კომუნისტურად აღზრდა მოითხოვს მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას, მისი ნიჭისა და ენერჯის სწორად წყარობას, სარეპერტუარო პოლიტიკის იმგავარად აწესებს, რომ თეატრის ხმა წვდომიღეს საზოგადოების ყოველ ფენას, აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნას და ამასთანავე ინარჩუნებდეს მხატვრულ დონეს, რომელსაც უნდა გააყვეს საზოგადოება.

ამიტომ გასაკვებია, რომ პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეპერტუარს. ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ა. წულუკიძემ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში ჩვენი თანამედროვეობისა და ისტორიულ-რევოლუციური თემის მიედგენა საქართველოში დადგმული პიესების თითქმის სამოცი პროცენტი.

რასაკვირველია, ხელოვნებაში მთავარია ხარისხი და

არა ციფრი, მაგრამ ამ სტატისტიკაში ჩანს თეატრის ტენდენცია, მისი სურვილი — რაც შეიძლება მეტი ადგილი დაუთმოს სამჭოთა ადამიანის სიყვანს, მეტად იფიქროს მასების კომუნისტურ აღზრდაზე.

კომუნისტურად აღზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს ძვირდასხვა ასპექტით მიდგომას. იგი ითავსებს ყველაზე ძვირფასსა და პროგრესულს. თეატრმა უნდა დანერგოს მაღალი ჰუმანური იდეები, უნდა ასახოს მშვიდობისათვის ბრძოლა, მაცურებელში აღზარდოს ხატ-რიტორიკისა და ინტერნაციონალიზმის გრძობა, ხალხის შრომა ქარხნებში, საკომუნურნო მინდვრებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ერთი სიტყვით, სულიერი ცხოვრების ყოველი სფერო.

თეატრი ცოცხალი, ყოველდღიურად მფეთქავი ორგანიზება და ბუნებრივია, რომ იგი იცვლება, ვითარდება. საჭირო სდება გამოინახოს ახალი გზები და საშუალებები, რომ თეატრი უფრო ბრძამდ ჩაწედეს თანამედროვეობის, უფრო მარჯვედ გამოიყენოს ტრადიციის გამოცდილება და ნოვატორული შემოთავაზების ახალი.

თათბირზე ითქვა, რომ ჩვენი მაცურებელი განსაკუთრებულად დიდი ინტერესით ხვდება თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესებს. როგორც წესი, ამგავრ სპექტაკლებს რეპე მაცურებელი ესწრება, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობითაც უნდა ვეკიდებოდეთ თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებს.

ერთგვარი გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რეპერტუარში მკვეროდა შემეცნება კლასიკოსა ნაწარმოებები, და ეს მაშინ, როდესაც საკმაოდ ფართოდ აქვთ გახსნილი გზა იაფფასიან ვოდევილებსა და მელოდრამებს.

კლასიკური პიესების დადგმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქტივობა ოსტატობის ზრდის საქმეში. იგი ამაღლებს თეატრის პროფესიულ დონეს, მის კულტურას, ხელს უწყობს ახალი ტალანტების გამოვლენას.

მეტად დიდა თეატრის შემოქმედებითი ძალა. სამჭოთა თეატრის ვალია ემსახურის ფართო მასებს, ახლოს იყოს ხალხთან, ტრიალებდეს ცხოვრების შუაგულში, იცნობდეს ხალხის ფიქრებს, ყოფას, მის მისწრაფებებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეატრის მომსახურებას სოფლად — კომუნურობებში, რეზობთან — ქარხნებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვეს მოლდავეთის რესპუბლიკის თეატრებმა. მათი გასული-თი წარმოდგენების ძირითადი ფორმა იქცა მრავალათასიან მაცურებელთან ღია ცის ქვეშ გამართული სპექტაკლები. ამასთანავე ისიც აღინიშნა, რომ ღია ცის ქვეშ სპექტაკლების წარმოდგენას ახლავს სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან მხატვრული ხარისხის საკითხს.

თათბირზე მაღალი შეფასება მისცეს ო. იოსელიანის („სანამ ურემი გადაბრუნდება“), ა. გუქაძის („წმინდანები ჯოჯოხეთში“), გ. სუხაშვილის („ცხოვრება კაცისა“), თ. ჭილაძის („სურათები საოჯახო ალბომიდან“) პიესებს.

მაგრამ ამასთანავე სერიოზული ყურადღება დაეთმო დრამატურგიისა და თეატრის საკოლგანებებს. მიღწევების მიუხედავად, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის თეატრების სცენაზე ხშირად იდგმება სუსტი, უფრო სუბტილური, რომელიც არაფერს უნერგებინა მაყურებელს, არ აღძვრებს მისი კეთილშობილური გრძნობებს, არ ამბიდრებენ მის სულს. საკლები ყურადღება ეთმობა ხალხთა მეგობრობის თემაზე, იშვიათად იდგმება მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებები, სუსტად არის დაყენებული საზოგადოებრივი მოსაზრებები, მემდებოთი ინფორმაციის საქმე, არ ხდება გამოცდილიაათა გაზიარება, მუშაობის ახალი ფორმების დახვეწვა.

თანამოსხმენებლებმა თათბირზე დააყუცა რამდენიმე პრინციპული საკითხი თეატრის მუშაობის პოპოლიკიდან. როგორც მ. ოგანიანის, ა. ისამილოვისა და მ. სოკოლოვის თანამოსხმენებში, ასევე კვანთში განსული ამაზნავების (ე. კუპრავა, ე. ბეიბუთოვი, ა. გრიგორიანი) სიტყვებით კოიტრეულად იქნა განიხილტრევის მოკისუნების აოსეული სისტემა თეატრში. აირდაპირ აღინიშნა, რომ ამ სიტემაში ვერ გაამართლა და ახლა საჭიროა იგი შეიცვალოს უფრო ფექტური ფორმით. ამასთანავე მთელი სიმყვავით იქნა განხილული თეატრების ტრადიციონალთა და ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფის საკითხები. გასაკუთრებით ფართოდ იმსჯელეს მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების შეხობების მედიამარეობის შესახებ. ერეკის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორმა გახაცხდა, რომ საბჭოთა კავშირის მოზარდ მაყურებელთა თეატრების დიდი უმარტლისობა სრულიად შეუფერებელ შესტომშია მოთავსებული, ზოგიერთ მათგანს საკუთრივ სტაციონარიც კი არა აქვს.

მომსენებელმა და სიტყვაში გამოსულმა ამზანავებმა (დ. ანთაძე, მ. მამედოვი) ვოცლად ილაპარაკეს რეჟისურის საკითხებზე. ამაჟამად ეს ერთ-ერთი ყველაზე მხიფხელოვანი პრობლემაა საბჭოთა თეატრისა. ოქვისორის ოთლის გაზრდა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თეატრში შემცირდა დრამატურგის ან მსახიობის მნიშვნელობა. რასაკვირველია, არის ცალკეული გამოვლინებები, როცა რეჟისურა ვერაფერს შექმნას თავისი ე. წ. „რეჟისურული თეატრი“, მაგრამ თათბირზე შეიხიშა, რომ ეს ტენდენცია ავინიგებს მსახიობს, ერთგვარად ხელს უშლის დრამატურგის განვითარებას. მსახიობი იყო და უხდა დარჩეს სცენის ბატონ-ბატონი.

ცხადია, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უკიდურესობებს, უნდა ვებრძოლოთ რეჟისურის დექტატურას, მაგრამ ამ ბრძოლისას საჭიროა დიდი ტაქტი და ზომიერება. ხომ ფაქტია, რომ დღეს თეატრში წარმატებით ვერ გადაიჭრება ვერც ერთი პრობლემა რეჟისურის გარეშე. სწორედ რეჟისურამ უნდა გაზარდოს ახალი აქტიურობის ძალები, აამაღლოს მსახიობთა ოსტატობა, უნდა მიიზიდოს და გამოავლინოს ნიჭიერი დრამატურგები. საბჭოთა რეჟისურის ისტორია

ცხადყოფს, რომ მან კოლოსალური როლი შეასრულა ახალი დრამატურგიის ფორმირებაში.

თეატრის, როგორც ტრეზნის როლზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში დ. ალექსიძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ ე. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დასძლევს სინქლეებს და დაიბრუნებს თავის ესოდელ დიდ ავტორიტეტს.

ოთხი რესპუბლიკის დრამატურგიაზე, მის ახალ პიესებზე ილაპარაკა თავის საინტერესო გამოსვლაში საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს სარედქციო-სარეჟერტურო კოლეგიის წევრმა მ. მედევედემ. მისი აზრით, ამაჟამად ქართულ დრამატურგიაში სერიოზული ცვლილებები იდება, იქმნება პიესები, რომლებიც მეტ ყურადღებას იმსახურებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

დრამატურგებთან თეატრის მუშაობისა და სხვა აქტუალურ შემოქმედებით საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი მ. თუმახიშვილი, თეატრალური საზოგადოების საკავშირო დრამატული თეატრების საბჭოს ეროვნული სექციის პასუხისმგებელი მდივანი ი. მოსტოკი; ბელციის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ა. გელოვანი და სხვები. თეატრების ფინანსურ-საშეურნეო საკითხებზე ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ე. ნოვიკოვმა.

თავის ვრცელ გამოსვლაში ბ. ჟღენტკი შეეხო თეატრისა და დრამატურგიის მრავალ მტკივნეულ საკითხს. აღნიშნა დრამატურგიის გარკვეული მიღწევები, მაგრამ ამასთანავე მკვეთრად გააკრიტიკა თეატრები, რომლებიც ნაკლებად მუშაობენ ავტორებთან, სუსტია კონტაქტები მწერლობასა და თეატრებს შორის, იშვიათად იდგმება კლასიკური ნაწარმოებები, ძალზე ცოტა ფართო მასშტაბის, დიდი იდეური და მხატვრული განზოგადების სპექტაკლები თანამედროვეობის თემებზე.

დრამატული თეატრების მუშაოთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ აშხ. ბ. შორინ-სიმბამ, მან გააანალიზა გამოსვლი ამზანავების სიტყვები, ჩამოაყალიბა გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების ხასიათი და თათბირს აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო გაითვალისწინებს თავის მუშაობაში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის კულტურის მუშაოთა საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

აშხ. ბ. ვოროსკოვმა დილომები გადასცა ვ. ი. ლენინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში გამარჯვებულებს.

თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. შოშნიანიშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.



# ლუღვივ მან გათხოვენის დაგაღვანის 200 წლისთავი

გასული წლის 17 დეკემბერს 200 წელი შესრულდა გენიალური გერმანიელი კომპოზიტორის ლუღვივ ვან ბეთოვენის დაბადებიდან. მთელმა მუსიკალურმა სამყარომ ზემოთ აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. ასევე იყო საქართველოშიც. მთელი წლის მანძილზე სსრ რადიო და ტელევიზია აწყობდა ბეთოვენის მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გადაცემებს. ეთერში სისტემატურად ჟღერდა დიდი კომპოზიტორის საფორტეპიანო თუ სიმფონიური ნაწარმოებები, ვოკალური და კამერულ-ინსტრუმენტული ქმნილებები.

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ნოდარ გაბუნიაშვილმა გამართა კონცერტების ციკლი — შესრულდა ბეთოვენის ყველა 32 საფორტეპიანო სონატა. თბილისის მუსიკალურმა სასწავლებლებმა მოაწვეს სპეციალური საღამო-კონცერტები, რომლებზედაც სტუდენტი-მუსიკოსები ასრულებდნენ

კომპოზიტორის სხვადასხვა ენრის ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა კონცერტი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით

კონსერვატორიის დიდ დარბაზში შედგა ლუღვივ ვან ბეთოვენის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია-კონცერტი. იგი ორგანიზებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მიერ.

სესია-კონცერტი გახსნა გოეთეს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა და ამავე საზოგადოების საქართველოს გამგეობის თავმჯდომარემ ოთარ ჯინორიამ, შეაფასა სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი; პროფესორმა

ვათა გავასარიამ ლუღვივ ვან ბეთოვენის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება. „ბეთოვენის და გოეთე — ასეთი თემით წარსდგა უნივერსიტეტის სტუდენტი სათუნა ცინცაძე, პედაგოგმა ირმა ჩანავამ კი წაიკითხა მოხსენება თემაზე „ბეთოვენი რომენ როლანის შემოქმედებაში“. შემდეგ გაიმართა კონცერტი უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის საშემსრულებლო განყოფილების სტუდენტთა მონაწილეობით. კონცერტის III განყოფილებაში შესრულდა მუსიკალურ-დრამატული კომპოზიცია „ემბლოტი“. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი სერგო ზაქარაიძე, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქარია ხუროძის დირიჟორობით.

პრინ შემოქმედნი, რომელიც ასახიერებენ ერის გენიას. მათ შემოქმედებაში, როგორც ფოკუსში, თავს იყრიან ერის მამოძრავებელი ინტელექტუალური და სულიერი ძალები.

მათი ქმნილებები სამუდამოდ რჩება თავისი დროის გრანდიოზულ მხატვრულ ენციკლოპედიად, გარდუვალნი მნიშვნელობის ძეგლად, რომლებშიც სრულყოფილად არის გამოხატული თანამედროვეობის მსოფლშეგნება, ეპოქის იდეური და ემოციური სულისკვეთება, მისწრაფებები. ასეთ შემოქმედებს ადამიანური სულის ტიტანებს ვუწოდებთ. ბეთოვენი სწორედ ასეთი ტიტანია. მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ამოძრავებდა გენიალური შემოქმედებითი ნიჭი, მგზნებარე, მეამბოხე ტემპერამენტი, უდრეკი ნებისყოფა....

ბეთოვენი მუსიკის ისტორიის პრომეთეა, იგი მიზნად ისახავდა უმაღლეს ეთიკურ იდეალს — კაცობრიობის უნაგარო სამსახურს. „მუსიკა ცეცხლს უნდა კვსავდეს ადამიანის გულიდან“ — ბეთოვენის ეს სიტყვები მთელი მისი იდეურ-ესთეტიკური მრწამსის ნათელი გამოხატულებაა.

## „გათხოვენი — და პრ აქვს მას დასასრული!“

გულბათ ტორაძე

ლუდვიგ ვან ბეთოვენნი



ბეთოვენის გიგანტური ფიგურა სიმბოლურადაა აღმართული მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე. მისი შემოქმედებიდან ვრცელი პერსპექტივები იშლება, როგორც მუსიკალური რომანტიზმის ეპოქისკენ, ისე გასული საუკუნეების დიდებული კლასიკური კულტურისაკენ, რომელიც ისეთი დიადი სახელებითაა განათებული, როგორცაა ბახი და ბენდელი („შეზოგადებული ბეთოვენი“ — რ. როლანის სიტყვებით), გლიუკი, ჰაინდი, მოცარტი.

ბეთოვენის ეპოქა გრანდიოზული რევოლუციური და სოციალური ძვრების, ინტენსიური საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრების ეპოქაა. მართალია, ბეთოვენის მოღვაწეობა გაიშალა რევოლუციური კერის — საფრანგეთისაგან მოშორებით, მაგრამ თვით პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ გერმანიაშიც კარგად ისმოდა „ვეროპის გულის“ აჩქარებული პულსი, გერმანიის ისტორიის „ეს სამარცხვინო პოლიტიკური და სოციალური ეპოქა ამავე დროს იყო გერმანული ლიტერატურის დიადი ეპოქა“ (ენგელსი). ამ დროს იშლება გოეთესა და შილერის მოღვაწეობა; იწერება რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებები — გოეთეს „გეტც ფონ-ბერლიხინგენი“, „ვემონტი“, შილერის „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“... „ოღამი სიბარუსისადმი შილერი მოუწოდებს — „მილონებო, მოხვებით ერთმანეთს...

სიკვდილი უსამართლო კანონებს, გაუმარჯოს სამართლიან საქმეს“ ოთხი ათეული წლის შემდეგ ეს მოწოდება ხორცს შეიკაშს ბუოპოეზიის მე-9 სიმფონიის ფინალში.

ამავე პერიოდში გერმანული კლასიკური ფილოსოფია მწვერვალს აღწევს ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში ამბობენ — იმხანად გერმანული ფილოსოფოსები ფიქრობდნენ იმაზე, რასაც ფრანგები აკეთებდნენო. მართლაც, ისინი წარმოადგენდნენ საფრანგეთის რევოლუციის „ფილოსოფიურ სინდისს“. ბეთოვენი კი საფრანგეთის რევოლუციის „მუსიკალური სინდისია“. ბეთოვენის შემოქმედება ვალმის კანონადის გრანდიოზული ექოა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქას მსოფლიო კულტურის არც ერთ დარგში არ მიუღია ისეთი სრულყოფილი განსახიერება, როგორც ბეთოვენის შემოქმედებაში, სახელდობრ, ისეთ ქმნილებებში, როგორცაა III („გმირული“), V და IX სიმფონიები, „სონატა-აპასიონატა“, ოპერა „ფიდელიო“, უვერტიკურები — „ეგმონტი“, „ლეონორა“, „კორიოლანოსი“ და სხვა.

ტრავიკულად წარიმართა ბეთოვენის ცხოვრება. ბავშვობის მძიმე დღეები. გაჭირვება. ალკოჰოლიკი მამა, რომელიც სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა ბავშვის მუსიკალურ ნიჭს. საშინელი ავადმყოფობა — სიყრუე, რომელმაც თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა იგი.




**განილუარი მუსიკოსის**

1802 წელს სასოწარკვეთილებით შეპყრობილი ბეთჰოვენი წერს თავის ცნობილ აღსარებას — „ჰაილიგენშტადტის ანდერსი“ — ამაღლებებელ ადამიანურ დოკუმენტს, „ო, ადამიანებო, რომლებიც მთელით ან მიწოდებთ მე უქმურ, ჯიუტ კაცთმოქულეს! რაოდენ უსამართლონი ხართ ჩემს მიმართ. თქვენ არ იცით იღუმალი მიზეხი იმისა, რაც გერწვენებათ... აბა, დაფიქრდით: ექვსი წელია, რაც გა-

ნუკურნავი სენით ვარ დაავადებული... არ მყოფნიდა ნებისყოფა ადამიანებისათვის შეთქვა: ილაპარაკეთ ზმამალა, იყვირეთ, მე ზომ ყრუ ვარ“...  
ბეთჰოვენის მთელი ცხოვრება გერმანული ობიგატელური ყოფის გარემოცვაში მიმდინარეობდა. მარტოობა, მუდმივი მარტოობა, სიბერის მძიმე წლები და ბოლოს სიკვდილი თითქმის სრულ სილატაკეში. ბედისწერა არ იშურებდა



ღირიფორი ზაქარია ხურიაჲ ბეთჰოვენის საღამოზე.



### ზინაპრონაიძი

სერგო ზაქარიაძე გოეთეს «ემონტის»  
კითხვისას

მისთვის სასტიკ ლახვრებს — დაუნდობლად ამსხვრევდა მის იმედებს ბედნიერებაზე. ჯულიეტა გვიჩარდი, რომელიც მან „მთვარის სონატით“ უკვდავყო, სცვლის მას რომელიღაც „ტიტულიან უბადრუკობაზე“. მისი ნაზი მამობრივი სიყვარულის ობიექტი — ძმისწული კარლი—უღირსი და ფუქსავატი ადაშიანი, სიცოცხლეს უწამლავს მას. ბოროტი ძალები თიქოს განგებ გაერთიანდნენ კომპოზიტორის წინააღმდეგ, რათა გაეტეხათ მისი მეღვარი, კლდე-ღვით მტკიცე ხასიათი. მაგრამ ბეთოვენი თვით სასიცვდილო სარუკელზეც უძლეველი დარჩა. სიმბოლურ აზრს იმენს მისი სიკვდილის ერთადერთი მოწმის ა. პიუტებრენერის მოთხრობა. 1827 წლის 26 მარტს ვენაში სასტიკი ჭექა-ქუხილი მიმინვარებდა. ბეთოვენი, რომელიც გონება-წასული ეგდო ლაგინში, უეცრად წამოიწია და მუშტით დაემუქრა გააფთრებულ სტიქიას. ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო. რანდენიმე ათეული წლით ადრე კი იგი თავის მეგობარს წერდა: „მე ყელში ვწვდები ბედისწერას, იგი მე ვერ მომგრესს. ო, რა საოცნებოა იცხოვრო ათას-ჯერ...“ დაუდგრომელი სულით, მზურვალე ენერგიით, უსაზღვრო ოპტიმიზმითაა გამსჭვალული მისი ყველა სახელგანთქმული ქმნილება.

არავის ძალუცდა ბეთოვენის ღირსების შელახვა. როდესაც მეცენატი თავადი ლიხნოვსკი უტაქტოდ შეეხო მის შემოქმედებას, ბეთოვენმა კარი მოუჯახუნა სიტყვებით: „თავადები მრავლად არიან, ბეთოვენი კი ერთია“. 1812 წელს ბეთოვენი პირველად შეხვდა გოეთეს კურორტ ტეპ-

მედუა ამირანაშვილი  
ბეთოვენის  
სალამოზე



ლიცში, იგი ვერ შეურიგდა „ოლიმპიელის“ ქვეშევრდომულ მოკრძალებას, მის კარისკაცულ ეთიკას, რის გამოც ვულსტიკვილით აღნიშნა: „მე მეფონა შევხედვდით პოეტთა მეფეს, სინამდვილეში კი მეფეთა პოეტს შევხედვით“. მაგრამ, ერთი შეხედვით, ამ პირქუმ, უემურ აღამიანს ძალზე ნაზი, კეთილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა: „მე ვერ ვიქნები ბედნიერი, თუ კი ჩემ რომელიმე მეგობარს უპირსა“, ან „არავის უყვარს მინდორ-ველი ისე, როგორც მე“. ყოველივე ამაზე შეტყვევებენ ღრმა გრძნობებით გამთბარი მისი ქმნილებები: IV სიმფონია — რომანტიკული სიმფონიზმის გენიალური წინამორბედი, VI სიმფონია „პასტორალური“, მისი სონატების, კონცერტების, კვარტეტებისა და სიმფონიების ნელი ნაწილები, ვოკალური ციკლი „უკვდავ სატრფოს“, რომელიც წმინდა, უმანკო ღირსიკული გრძნობითაა გამსჭვალული.

ბეთოვენის მოღვაწეობა ძირითადად სიმფონიური მუსიკის სფეროში გაიშალა. ეს არცაა გასაკვირი. სიმფონია — „მუსიკის ყველაზე სახელმწიფოებრივი ფორმა“ (ბ. ასაფიევი) მაქსიმალურ საშუალებას იძლეოდა ბეთოვენის გენიუსს გამოვლინებას. ცხრა სიმფონია — ეს არის ბეთოვენის მუსიკალური მემკვიდრეობის ძირითადი ბირთვი. ისინი გვაძლევენ კომპოზიტორის შემოქმედებითი ევოლუციის სრულ სურათს, რომელიც გვაოცებს გრანდიოზული მასშტაბებით, შინაარსის სიღრმით, მუსიკალური სახეების სიმდიდრით, ფორმების მრავალფეროვნებით, მუსიკალური ენის სი აამაზითა და სიახლით.

ამართლიანად აღინიშნა, რომ პირველად ბეთოვენის

შემოქმედებაში ალაპარაკდნენ „მილიონები“, რომ ბეთოვენმა წარმოშვა არა მარტო ახალი მუსიკა, არამედ მსმენელთა ახალი აუდიტორიაც.

პირველი ორი სიმფონია ბეთოვენმა 1800-1802 წლებში დაწერა, უკვე მაშინ იგი საესტეტი მომწიფებული სელოვანი იყო. მას შექმნილი ჰქონდა ისეთი შედევრები, როგორცაა სამი საფორტეპიანო კონცერტი, 18 საფორტეპიანო სონატა, კვარტეტები და სხვა.

მძიმე სულიერი კრიზისი, რომელმაც 1802 წელს აკეთ-მკვლელობის არაბმდე მიიყვანა, ბეთოვენის შემოქმედებითი სულის სრული გამარჯვებით დასთავრდა, — იშვა მისი გენიალური III სიმფონია („გმირული“) — ბეთოვენის სიმფონიური შემოქმედების პირველი მწვერვალი. სწორედ მან განსაზღვრა კომპოზიტორის იდეურ-მხატვრული განვითარების შემდგომი გზა. ცნობილია, რომ თავდაპირველად ბეთოვენმა იგი ნაპოლემ ბონაპარტეს — საფრანგეთის რესპუბლიკის პირველ კონსულს უძღვნა. მაშინ ნაპოლეონი მისი რევოლუციური იდეალების განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ შემდეგ, როცა ნაპოლეონი იმპერატორად მოინათლა, ბეთოვენმა უარყო ეს მიძღვნა. თუმცა, სიცოცხლის დასასრულში უკვე მეტერნისის სუსხიანი რეჟიმის მოწმემ, კლავ გაისხენა თავისი ახალგაზრდაობის იდეალი — 1821 წელს ნაპოლეონის გარდაცვალების გამო ბეთოვენმა აღნიშნა: „ჯერ კიდევ 17 წლის წინ შევქმენი ამ მწუხარე ამბის შესატყვისი მუსიკა“. მხედველობაში ჰქონდა III სიმფონიის საგლოვიატო მარში.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ბეთოვენის საღამოზე



V სიმფონია, რომელსაც ზოგჯერ „ტრაგიკულს“ უწოდებენ, კომპოზიტორის სიმფონიური შემოქმედების მეორე მწვერვალია. „ასე აკაკუნებს ბედისწერა კარზე“ — ამ სიტყვებით გამოხატა ბეთოვენმა სიმფონიის საწყისი მოტივის შინაარსი. სიმბოლიდან — სინათლისაკენ, ბრძოლა გამარჯვებისათვის, ამ გზით ვითარდება ნაწარმოების ძირითადი დრამატურული ხაზი. მისი ფინალი ქვეს, როგორც რევოლუციური კომინი-მარში.

ბეთოვენის პირველი რვა სიმფონია 1800-1812 წლებში შეიქმნა და ემთხვევა კომპოზიტორის შემოქმედებითი ახალგაზრდობის პერიოდს. IX სიმფონია კი დაიწერა სამიოდე წლით ადრე კომპოზიტორის სიკვდილამდე. იგი ბეთოვენის გედის სიმღერად, მის მუსიკალურ ანდერძად იქცა.

IX სიმფონია მსოფლიო მუსიკალური კულტურის უდიდესი ძეგლთაგანია. იგი წარმოადგენს ბეთოვენის შემოქმედების განზოგადებას, სინთეზს, ნამდვილ ენციკლოპედიას. ბეთოვენის სიმფონიებს შორის IX სიმფონია ყველაზე რთული, დრმა და გრანდიოზულია. ამასთან თავისი იდეურ-მხატვრული არსით იგი კანონზომიერად აგვირგვინებს ბეთოვენის მთელ მოღვაწეობას, მისი მუსიკალური სტიქიის მეცხრე და უმაღლესი ზეირთია. ეს სიმფონია ბეთოვენის „მთელი ცხოვრების საქვაა“. ისევე, როგორც „ფაუსტი“ იყო გოეთესათვის.

IX სიმფონიაში განსაკუთრებით მწვავედ არის წამოჭრილი ბეთოვენის სიმფონიზმის ძირითადი პრობლემები: პიროვნებისა და მოვალეობის, პუნდონებისა და თავისუფლების. მასში ძალზე რელიგიურად ხდება „ადამიანურის“ გარდაქმნა „ზოგად კაცობრიულად“, სიმფონიის პირველ ნაწილში მოცემული გმირის ტრაგედია ფინალში გადაიზრდება ბედნიერებისაკენ მიმავალი კაცობრიობის კოსმიურ სიხარულში. ასეთია ამ სიმფონიის საკანონო დრამატურული ეტაპები. ჯერ კიდევ ბელისკიმი უწოდა ბეთოვენს „მუსიკის შექსპირი“ და ეს შედარება ყველაზე მეტად სწორედ IX სიმფონიაში პოულობს გამართლებას.

ბეთოვენმა მუსიკალური შემოქმედების თითქმის ყოველ დარგს დასავა გენიოსობის უკვდავი ბეჭედი. ახ ისინიც — სიმფონიური უფერტიურები თუ სიმებისანი კვარტეტები, ინსტრუმენტული კონცერტები თუ სონატები, ვენიალური ოპერა „ფიდელიო“ და სხვა.

ბეთოვენის კაცობრიობის მუდმივ მანათობულ თანამგზავრად იქცა. და დღესაც იგი ერთ-ერთ ყველაზე თანადროულ და აქტუალურ შემოქმედად რჩება. ბეთოვენის მონაწილეობის კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მისი IX სიმფონიის ფინალი, რომელიც ა. რუბინშტეინის სამართლიანი შენიშვნით, ნამდვილად წარმოადგენს არა „სიხარულს“, არამედ „თავისუფლების“ ოდას, დღესაც ქვეს, როგორც მსურველ მოწოდება მსოფლიოს პიროვნული ალაგბია ერთიანობისაკენ. გოეთეს ცნობილი სიტყვები შექსპირის შესახებ სრული უსულებით შეიძლება გაკვიმეოროთ ბეთოვენის მიმართ: — „ბეთოვენე — და არ აქვს მას დასასრული!“

# თოთხკეტი

# პეკითხვა

# ზურაკ

# ანჯაურის

მიმდინარე სეზონში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის დაუბრუნდა გამოჩენილი მიმღერალი, სამჭოთა კავშირის სასალო არტისტი — ზურაბ ანჯაფარიძე. ამრიგად ზ. ანჯაფარიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში დამთავრდა სამჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე ინტენსიური მოღვაწეობის პერიოდი. თუ რაოდენ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი იყო ეს ხანა, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. სწორედ ზ. ანჯაფარიძემ — ერთ-ერთმა პირველთაგანმა საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა ქართული და, საზოგადოდ, სამჭოთა სამომღერლო ხელოვნების მიღწევები, აამაღლა პერიოფული მუსიკალური კულტურის ავტორიტეტი და თავისი ტალანტით ზიდა სამსახური გაუწია სამჭოთა ქვეყნის ყველაზე მსმობატერსა და მაღალი რეპუტაციის საოპერო კოლექტივს.

ამ დიდი მუსიკალური ტრადიციების იგაბრში ზ. ანჯაფარიძემ 11 თეატრალური სეზონი ჩაატარა. მოსკოფელებმა იგი მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშორისო ფესტივალის დღეებში გაიცნეს. მაშინვე განიზარა ზ. ანჯაფარიძის პირველი გასტროლი და დიდ თეატრში. 1959 წლიდან კი ზ. ანჯაფარიძე ამ თეატრის წამყვანი



ზურაბ ანჯაფარიძე

სოლისტი გახდა. ამ ხნის მანძილზე იგი მღეროდა დიდი თეატრის რეპერტუარის თითქმის ყველა სანქტაგლში: „პიკის ქალსა“ და „აიდაში“, „რიგოლტოში“, „ტრაგედიამი“, „კარმენში“, „ბორის გოდუნოვიში“, „ფაუსტში“, „იოლანტაში“, „დონ კარლოსში“ და სხვა.

ჩვენთვის ააშაყა ისიც, რომ რუსული საოპერო კლასიკის სწორუბარი ქმნილების ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ გერანისაიაში ჭარბულ მომღერალს დაევალა გერმანიის პარტიის შესრულება. ამ ფილმმა ზ. ანჯაფარიძის ბრწყინვალე შესრულებით მთელი მსოფლიო შემოირა და განუ-საზღვრელად გაზარდა ჩვენი თანამემამულის თავყანის-ცემელებს რიცივი.

ასევე მრავალფეროვანი იყო მომღერლის საკასტროლო ცხოვრებაც. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელი მზურგა-ლედ თანაუგრძობდა ზ. ანჯაფარიძის გმირთა ცხოვრების საბედისწერო მცდელობას, აღტაცებით განიცდიდა მის სა-მომღერლო ხელნეშებს. საბჭოთა თუ საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მრავალი რეცენზია და სტატია, სადაც მკვნებარედ ასხამენ ხოტბას ზ. ანჯაფარიძის ვოკალურა თუ აქტიურულ ტალანტს, საშუამზრუ-ლებლო ოსტატობას, შთაგონებასა და გარდასახვას, მის ემოციურობასა და ტემპერამენტს.

აღსანიშნავი ისიც, რომ მოსკოვში მოღვაწეობის პე-რიოდში გამოცდი მრავალი გრამფირფიტა ზ. ანჯაფარიძის შესრულებით. იანნი სწრაფად ვრცელდებოდა არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ყო-ველივე ეს თელსაინოდ მეტყველებს ზ. ანჯაფარიძის ფართო აღიარაზე.

ამჟამად ზ. ანჯაფარიძე შემოქმედებითი სიმწიფის ხა-

ნაშია, მით უფრო სასიხარულო და მისასალმებელია სამ-სობლოში მისი დაბრუნების ფაქტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტმა აღარელვა და დააფიქრა მოსკოველებიც. ამის სამაგალითოდ ჩვენს ხელთ არის მრავლისმთქმელი დოკუ-მენტი — გამოჩენილი საბჭოთა მომღერლის, ზ. ანჯაფარიძის პარტიის, სსრკ სახალხო არტისტის ირინა არხი-პოვას წერილი დათარიღებული 1970 წლის 20 სექტემბ-რით. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი თავის დროზე ეპისტო-ლური ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშად იქნება აღიარე-ბული. ვთავაზობთ ამ თბილსა და თავისებურად სვედიან ბარათს:

«Дорогой Зураб! Последнее время — это все лето и во время гастролей театра в Японии, твоё имя не сходило с уст всех певцов, артистов хора, администрации и т. д. Прямо по пословице: «Что имеем — не храним, потеряем — плачем». Вероятно, такое количество слов, слов восхищения, восторгов и уважения не было сказано в твой адрес за все твоё пребывание на сцене Большого театра.

Для театра вообще и особенно для теноровой группы это получилось — просто обезглатвить всю самую трудную часть труппы. И только для тебя может быть лучше, для работы... Ждем когда приедешь на спектакли или вернешись в театр — эта мысль нас не покидает.

Прости меня, может быть, за пафос слов, но ты так нужен театру, как ведущий артист, актер, человек, как образец, как авторитет, как друг и товарищ, как пример певца-профессионала. Ты тот сдерживающий и в то же время направляющий маяк для солистов и артистов вообще, не говоря о тенорах.

Жаждется, ты должен скоро приехать пять спектакли. Надеемся скоро увидимся в театре на сцене, а пока шлю тебе самые сердечные, искренние пожелания, всего самого хорошего — здоровья, успехов, звучания и любви!

**Ирина Архипова.**

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ჟურნალის რედაქციამი მოვიწვიეთ სახელოვანი მომღერალი ზ. ანჯაფარიძე. ვფიქრობთ, მასთან გასაუბრებას ინტერესით შეხვდება მკითხვე-ლი.

1. ბატონო ზურაბ! რამ განაპირობა თქვენი დაბრუნება სამშობლოში?

— გაემირო საქართველოსთან და ჩვენს საოპერო თე-ატრთან არასოდეს გამიწყვევტია. ამიტომ ჩემი გადმოსვლა ზ. ფალოაშვილის სახელობის საოპერო თეატრში დაბრუნე-ბას არ ნიშნავს. გადმოსვლის მიზენი კი ერთია — მუსრს ვალი მოვიხადო ეროვნული მუსიკალური კულტურის წი-ნაშუე. ვარდა ამისა, უკვე კარგა ხანია ამასე მომიწოდება თბილისის საოპერო თეატრის ხელმძღვანელობაც, მითი-თხოვდა ჩემს აქტიურ მონაწილეობას საოპერო დაისი ყო-ველიღვიურ ცხოვრებაში.

2. რას გვიმოძობდით მოსკოვის დიდ თეატრში მოღვა-წეობის შესახებ?

— დიდ თეატრში ჩემი გადასვლა მართებული და სა-ჭირო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შემოქმედებითად დაეუ-ახლოვდით ჩვენს დროის დიდ მუსიკოსებს — გამოჩენილი დირიჟორებს, რეჟისორებს, მომღერლებს. მათთან ურთი-ერთობაში გაკვირე საშუამზრულებლო კულტურის ამაღლებე-სათვის ძალზე მნიშვნელოვანი სკოლა. მეორე მხრივ, დიდი თეატრის სცენამ დიდ გამოცდის წინაშე დამაყენა, რადგან

აღმოჩენილ სრულიად უცხო ატმოსფეროში, შეგვიდ სრულიად სხვა აუდიტორიას, რომელიც, კეთილგანწყობის მიუხედავად, არ მოიბრუნებდა მცირედიც ხარვეზსაც კი.

მუდამ განსაკუთრებული მღელვარებითა და მაღლიერებით ვიხსენებ გამოჩენილ დირიჟორს ალექსანდრე მელიქ-ფაშაევის პროფესიულსა და პირად დამოკიდებულებას ჩემდამი. იგი მთელი გულსყურით, ენერგიით, ტაქტიკითა და სინკრატით მუშაობდა ჩემთან. მასთან ერთად ემზადებოდნენ „აიადიში“, „პიკის ქალში“, „რიგოლტოში“, „ტრაგედიასა“ და „კარმენში“. ეს იყო დაუცუფყარი სლამოში-ე. მ. მელიქ-ფაშაევი სცენაზე ნამდვილი შემოქმედებით ცხოვრებას მოითხოვდა, იგი ვერ ითმებდა მხოლოდ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ პუნქტუალობას. მასში ფიქვავდა შემოქმედების ძალა. შეუღლებული იყო მისი ტემპერამენტისა და მთავრების მიომდ დარჩენა. თითქოს მას თავისთავად აჰყავდა მსახიობი საშემსრულებლო სიმალეზე.

ნაყოფიერი იყო მუშაობა დირიჟორ ხაიკინთან, ახალგაზრდა დირიჟორ ერმლოვთან. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ცნობილი დირიჟორის ოდესი დიმიტრიადის ჩამოსვლა დიდ თეატრში. ამ შესანიშნავ მუსიკოსთან არის დაკავშირებული ჩემი პირველი ნამკვირვებო სცენაზე. ჯერ კიდევ თბილისში მასთან მოვაშადად ჩემი რეპერტუარის ძირითადი პარტიები.

საინტერესო იყო მუშაობა გამოცდილ რეჟისორებთან — ისებე თუშანიშვილთან და ბორის პოროფასკისთან.

3. დიდ თეატრში რა ახალი პარტიები შეისწავლეოთ და რომელია მათ შორის თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

— ოპერები „რიგოლტო“, „ტრაგედიას“, „ფაუსტი“. ოდესი დიმიტრიადისთან ერთად ვმუშაობდი ვერდის „დონ კარლოსზე“. ამ ოპერის ყოველ სპექტაკლს განსაკუთრებულ მღელვარებითა და სისარული ველოდით — თ. დიმიტრიადისა და მეც.

აქვე გამოთქვამ სურვილს თ. დიმიტრიადის დაბრუნებას შესახებ, რადან დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა მთელს კავშირში დაქსაქსული ჩემი საშემსრულებლო ძალების თავმოყრა. რა თქმა უნდა, ისინი ნაყოფიერად მღელვარებენ, მაგრამ მათი ნიჭი და ოსტატობა უნდა მოხმარდეს ქართული ხელოვნების აღმაგლობასა და წინსვლას.

4. ცნობილია, რომ დიდ თეატრში შესანიშნავი საშემსრულებლო ძალებია თავმოყრილი, მაგრამ მაინც საინტერესოა — პარტიტიორებს შორის ვისთან ამყარებდით იმ განსაკუთრებულ შემოქმედებით კონტაქტს, რომლითაც ნამდვილი ხელოვნება იქმნება?

— ჩემი პარტიტიორები იყვნენ შესანიშნავი მომღერლები — გალინა ვიშნევსკაია, თამარა მელიქიანა, ირინა ივანიშვილი, პავლე ლისიციანი, ივანე პეტროვი, ალექსეი ივანოვი და სხვები. მათთან მუშაობა ძალზე საინტერესოა სწორედ შემოქმედებითი კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით. ისინი მუდამ თვალსაჩინო საშემსრულებლო ფორმად იმყოფებიან, რაც შემოქმედებს პარტიტიორსაც, სწორედ ეს მომღერლები ქმნიან სპექტაკლების ანარსისს, მის მაღალმხატვრულ დონეს. მათთან მუშაობა ახალღებს ყოველი მომღერლის კვალიფიკაციას.

გატარა ამის, მათგან ყოველთვის ვგრძნობდი გულთბილსა და მეგობრულ დამოკიდებულებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღვნიშნავ პავლე ლისიციანს, რომელიც ჩემთვის უახლოესი ადამიანი გახდა. იგი მუდამ კონტრების უწყვეტ ჩემს სპექტაკლებს, ყოველთვის წრფელ რჩევად დარგებებს მაძლედა. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მე მასთან ვმყავდინებოდი. მაგრამ მომღერლისთვის ყოველთვის საჭიროა „გარეშე ყური“, მით უფრო ისეთი პროფესიონალია, როგორც პავლე ლისიციანი.

5. საოპერო სცენაზე თამაშთა ცვლა ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. დიდ თეატრში კი ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მოხდინარების. საინტერესოა თქვენი აზრი იმ ახალგაზრდა მომღერლებზე, რომლებიც ახლახან მოვიდნენ თეატრში. ვის გამოაყოფილთ მათ შორის სიხივთა და ვოკალური მონაცემები?

— განსაკუთრებით აღვნიშნავ შესანიშნავი ხმების ახალგაზრდა მომღერლებს — ელენა ობრატოვას, თამარა სინავესკიას, ვლადიმერ ატლანტისა, ჩვენს თანამემუღლებს — მაველა ქასარაშვილს მათ უკვე მოიპოვეს ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული მომღერლების ატკორიტები. მათველა ქასარაშვილის ინტენსიური ზრდის უშუალო მოწვევა.

საიმედოებით ვიხსენებ მის წარმატებას პარიზში, გრანდ ოპერის თეატრის სცენაზე, დიდი თეატრის გასტრატეგულ დროს. მაკურთხელობა მას ისეთი თვაცია გაუმთავრა სპექტაკლ „ევეჯინი ონგინი“-ზე, რომ დირიჟორი დიდხანს ვერ აგრძელებდა სპექტაკლის მსვლელობას. დიდ თეატრში იგი მოხსნა აგრეთვე ახალგაზრდა პარტიტიორი ლეილა ჯაფარიძე. მუდამ დამწყები მომღერლია, მაგრამ უკვე დაღვებით შეუახებას ახლდებ მოსოველი კოლეგები. რ. ჯაფარიძემ უკვე მოიმაზდა ამონახანის რთული და სასახისხიმგებლო პარტიები ვერდის „აიადიში“, ესკამილიო „კარმენში“ და მალე წარსდგება მასურებლის წინაშე.

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ახალგაზრდა მომღერალ ვლადიმერ ატლანტისზე. მას შესანიშნავი ტენორი აქვს და ნიჭიერი ატკორივი არის. დიდი თეატრი მასზე ამყარებს იმედებს. პირადად მე ვ. ატლანტეოთან დიდი მეგობრობა მაკავშირებს. ვიტყვი იმასაც, რომ ვ. ატლანტეოს გადმოსვლა ლენინგრადიდან დიდ თეატრში ჩემი ინიციატივით მოხდა. მას მუდამ საიმედოებით ვუზარებდი საკუთარ გამოცდილებებსა და შესვლულებებს.

6. მაკურთხეობისათვის უჩინარია თეატრის კონცერტმასიტრების მოღვაწეობა, რომელზეც სცენის მიღმა მუშაობენ და რომელთა მხრებზეც გადის „შავი საივიატები“. მთელი ტენორი. ამ წლებში მანძილზე რომელ კონცერტმასიტრებით მუშაობდით და, საზოგადოდ, როგორი კვალიფიკაციის კონცერტმასიტრები იყავს დიდ თეატრში?

— კონცერტმასიტრები თეატრში ყველგან დიდსა და რთულ საშუაოს ასრულებენ. მათთან მუშაობის პრიციპში იღებება ავლი. დიდ თეატრს მაღალი კვალიფიკაციის კონცერტმასიტრების მთელი ჯარი ჰყავს. ჩემთან მუშაობდნენ შესანიშნავი, გამოცდილი მუსიკოსები აწ განსვენებული ბრიკერი, ვასილიევი, ტომინა და ახალგაზრდა კონცერტმასიტრები ალა დავალიიჩი. ყოველთვის მაღლორებით მოიხიზნიებენ იმ ადამიანებს, რადან ისინი არ ზოგადდნენ თავიანთ ენერჯიასა და დროს ჩემი წარმატებისათვის.

7. საინტერესოა თქვენი აზრი დიდი თეატრის შემოქმედებით ატმოსფეროზე. როგორია თეატრის ყოველდღიური მუშაობის ტრადიციები?

— დიდ თეატრში არ არსებობს რიგითი სპექტაკლი. ყოველი წარმოდგენა განსაკუთრებულ სახეობა ვითარებაში მიმდინარეობს, რაც მსვლელი სტიმულია მსახიობთა შემოქმედებითი ძალების მიმოღონისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწილი კოლექტივი ძალზე სერიოზულად ემზადდება თითოეული სპექტაკლისათვის. რა თქმა უნდა, იქაც არიან როგორც ძლიერი, ისე საშუალო რანგის მომღერლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეატრის მაღალი საშემსრულებლო დონე სტაბილურია. კოლექტივის თითოეული წევრი — სოლისტი, გუნდის მომღერალი, ორკესტრანტი, სტატიტიკი თუ სცენის მუშა მაღალი პასუხისმგებლობით ეკადება თავის საქმეს, ერთმანეთს, რაც ასე აუცილებელია თეატრის კეთილდღობისათვის.

მართალია, თბილისის საოპერო თეატრს გულგრილო-



ბას ვერ დაეწამებოდა, მაგრამ ვუსურვებდი ჩვენს თეატრის ყოველ წევრს მიზაძის ამ შესანიშნავ ტრადიციებს. უკვე ელიდა, ეს დაღებოდა იმოქმედებდა ჩვენი თეატრის დონზე, მით უფრო, რომ მასში შესანიშნავი ხმებისა და ნიჭის მქონე მოღვაწეები არიან გაერთიანებული.

8. კარგა ხანია დიდი თეატრის სახელი აცხვდა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს, რასაც ხელი შეუწყო ინტენსიურმა საგანსტროლო მოვლამ, დიდი მუსიკალური ტრადიციების საოპერო თეატრებთან შემოქმედებითი კონტაქტების დაწყებამ. საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილება ამა თუ იმ საგანსტროლო ტურნეზე?

— ამ პერიოდში მრავალი საგანსტროლო სპექტაკლი ჩავატარე (აქ არ ვგულისხმობ თბილისისა და ახალგაზსნილ ქუთაისის თეატრში გამოცდებს). ვეუსახურებოდი სამბჭოთა კავშირის თითქმის ყველა საოპერო თეატრს. ამავე დროს ხშირად მიწვევდნენ საზღვარგარეთ როგორც ინდივიდუალური გასტროლებით, ისე დიდ თეატრთან ერთად.

დაუვიწყარია სპექტაკლები მილანის სახელგანთქმული თეატრის „ლა სკალას“ საოპერო სცენაზე. ეს ხომ ყოველი მომღერლის ოცნებაა, და თუ მე, როგორც მომღერალი, ამ სცენაზე არ დამიწუნეს, გამაჯივებდა მიმარჩნია. საინტერესო იყო გამოცდები საფრანგეთში, კანადაში, საბერძნეთში, თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ასევე საინტერესო იყო შეხვედრები სხვადასხვა მმართველთან. მათი აზრი ჩემთვის ყოველთვის საკულისაა. ყოველივე ამან განმიმტკიცა რწმენა, მაგრამ თითქმისყველაფერს არასოდეს მიცდივარ.

9. ახლა კი ვგვიამბებთ თქვენს შემოქმედებით გვეგებზე. — იმედი მაქვს კიდევ 10 წლის მანძილზე აქტიურად ვიმუშაო თეატრში. ამ პერიოდზე დიდ იმედებს ვაყარებ — უნდა გადავართოვო რეპერტუარი. უახლოეს ხანში შევასრულებ კანის პარტას „კამპანეტები“. გვეგებში მაქვს განმოსვლა „ტრუბადურსა“ და „სოლოის პარტისინებაში“. მონაწილეობას მივიღებ თეატრის ახალ დადგენებში კერდის „ოტელიოში“, ზ. ფალიაშვილის „ამეზალიოში“, ო. თაქიაჭიშვილის „მინდიამი“, ოტელიოს პარტიაზე დიდი ხანია ვოცნებობ და ჩემთვის რა ხანია ვემზადები კიდევაც ამ როლის შესასრულებლად.

10. რას უსურვებდით ჩვენს საოპერო თეატრს, მის შემოქმედებით ატმოსფეროს?

— კარგ მომღერლებს, დირიჟორებს, რეჟისორებს, ორკესტრს. იმ შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, რომელიც თეატრს გააჩნია.

თეატრში გამოცდილ მოღვაწეებთან ერთად მუშაობს ნიჭიერი ახალგაზრდობა. ვფიქრობ, მათი ერთობლივი შემოქმედება სათანადო ნაყოფს გამოიღებს. სურვილით კი მივმართავ ჩვენს ხალხს — ნუ უგულვებლყოფენ თეატრს, ინტერესით აღდგონ თვალყური თეატრის ცხოვრებას. ხშირად მახყრებელი წლები განმავლობაში არ მოდის თეატრში და ზურვლედ იძიებს — მომღერლები არა გვყავს. ეს არ არის სწორი, ასეთი დამოკიდებულება ხელს უშლის ჩვენი საოპერო თეატრის შემოქმედებას. საჭიროა მეტი პოპულარიზაცია ამ საკითხში.

11. როგორი ურთიერთობა გააკვირებთ თქვენს პედაგოგთან, სახელგანთქმულ მომღერალ დავით ანდლულაძესთან?

— დავით ანდლულაძემ დამაყვანა გზაზე, მან მოახდინა ჩემი ხასიათის მთლიანად გარდატეხვა. იგი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების წარმმართველია და დღემდე გავსარბობ მასთან მეცადინეობას. აგერ 20 წელიწადია სცენაზე ვარ და ჯერ კიდევ ვერ შევძელი იმის სრულად გამოტანა, რაც რეჟისორული მუშაა. ამასვე ოზიარებს ჩემი პედაგოგიც, იგი უფრო მეტს მოვლის ჩემზე. ახლა ჩვენ გვკავა ერთად ვეცადინებოთ და ამიტომაც იმედი მაქვს მომავალი წარმატებისა.

12. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვაკვიზიარებ თქვენი აზრს ვოკალურ პედაგოგიკაზე. აპირებთ თუ არა ამ ხაზით მოღვაწეობა?

— ეს ძალზე რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომ დიდის სიფრთხილით ვიწყებ პედაგოგიურ მუშაობას თბილისის კონსერვატორიაში. მყავს სამი მოწაფე საკმაოდ კარგი ხმებით. ეს ჩემი პირველი ცდაა. იმედი მაქვს, რომ შევძლებ მათთან მუშაობას, არ დავიშურებ ენერჯიას, დროს, ცოდნას. რასაკვირვებია, ამ მხრივაც მაქვს ჩემი პედაგოგის და ანდლულაძისა და სხვა უფროსი კოლეგების იმედი. სხვათა შორის, დიდ თეატრში ახალგაზრდა მომღერლები ხშირად მეციხებოდნენ რჩევა-დარიგებას და კმაყოფილებაც რჩებოდნენ. სწორედ ამან გამაბედინა პედაგოგობა.

13. ბატონო ზურაბ! ჩვენს საზოგადოებრიობას კარგად ახსოვს თქვენი აბსალდომი ახალდაარსებულ ქუთაისის საოპერო თეატრში. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ახალგაზრდა კოლექტივის მიმართ და ენობა თუ არა მას ადვილი თქვენს შემოქმედებით გვეგებში?

— ქუთაისის საოპერო თეატრის დაარსება დიდი ეროვნული მოვლენაა. ცნობილია, თუ რა სიმწელებთან არის დაკავშირებული თეატრის გახსნა. ქუთაისელებმა ეს სიროტულიები ღირსეულად გადალახეს. ამ დიდი თეატრალური და მუსიკალური ტრადიციების ქალაქს უთუოდ ესაჭიროებოდა საოპერო თეატრი.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად ვთვლი მონაწილეობას ქუთაისის საოპერო თეატრის დაბადებაში. მოსკოვიდან არაერთგზის ჩამოვსულვარ ანესლომისა და მინდიას პარტიების სამღერლად. დღესაც ჩემს მოვალეობად ვთვლი აქტიურ თანამშრომლობას ქუთაისის თეატრთან. ამისაკენ მოვუწოდებ ჩემს კოლეგებსაც.

14. როგორია თქვენი გვეგები კამერული შემსრულებლობის დარგში?

— ვმუშაობ ქართული კომპოზიტორთა კამერულ ნაწარმოებებზე. — ზ. ფალიაშვილისა და არაკვირების რომანსებები და დღევანდლამდე, გაუმართავ როგორც სოლო კონცერტებს, ასევე პარტიზორებისა ერთად. განზრახული გვაქვს თითქმის უჩვეულო, მაგრამ ძალზე საინტერესო კონცერტის გამართვა. ეს იქნება კონცერტი დ. ანდლულაძის სამი მოწაფის — სამი ტენორის — ნოდარ ანდლულაძის, ზურაბ სოტკილაძისა და ჩემი მონაწილეობით. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იქნება. იგი გამაოგნებს არა მარტო შემოქმედებით მხარეს, არამედ იმასაც, რომ შესაძლებელია ერთი ხმის, ერთი რეპერტუარისა და ერთ თეატრში მომუშავე სამი ტენორის მშვიდობიანი თანარსებობა.

ინტერვიუ აილი ნ. ანბაბაძესთან.

# ზურაბ წერეთელი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

საპეცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება და დაადგინეს 1970 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ ხელოვნე-



ზურაბ წერეთელი

მოზაიკერა პანო კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სასახლისათვის თბილისში



2. „საბჭოთა ხელოვნება“ № 3, 1971.

ბის იმ მოღვაწეებს, რომლებმაც ლიტერატურის, მუსიკის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და მოძმე ერთა საბჭოთა კულტურას ერთ-ერთი პირველი ადგილი დაუმკვიდრეს მსოფლიო ხელოვნების საგანძურში. ამ ღირსეულ შემოქმედთა შორის არის ჩვენი თანამემამულე საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზურაბ წამბერიძე.

თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში ზურაბ წერეთელი ყურადღებას იპყრობს ხალასი ნიჭით, ნაწარმოების შესრულების ორიგინალური მანერითა და მკაფიო ფერებით.

მოზაიკა ოდიოგანვე ცნობილია ქართველთათვის. ძველი ბიჭვინთის,

გელათის, წრომისა და საქართველოს სხვა რაიონების შესანიშნავ მოზაიკურ ძეგლებს დღემდე არ დაუკარგავთ მხატვრული ღირსება. მათ აღტაცებაში მოჰყავთ მნახველები.

ზურაბ წერეთელმა თავიდანვე შეიყვარა, შეიგრძნო და შეისისხლბორცა ხელოვნების ეს უძველესი დარგი, ღრმად ჩასწვდა მოზაიკის მშვენიერების საიდუმლოებებს, ერთგულ სული შთაბერა და თანამედროვე ენაზე აამეტყველა იგი.

საინტერესოა მის მიერ ოსტატურად შექმნილი მოზაიკური პანოები ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის ტერიტორიაზე, პროფკავშირის სასახლის შემოაზზე, რომელიც თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე შენდებოდა. ისინი ცხლად მიანიშნებენ ქართველი ხელოვანის ერუდიციასზე. მის უმრეტ შემოქმედებით პოტენციაზე.

ზურაბ წერეთელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა თბილისსა და პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მშობლიურ ქალაქ ულიანოვსკში ბრწყინვალედ შექმნილი მოზაიკური კომპოზიციებისათვის, რომლებიც შესანიშნავად ერწყმინა გარემოსა და გამოირჩევიან სწორი ვასრულებლობით, მრავალფეროვნებითა და მოწონებტურობით.

ქართველი შემოქმედის გამარჯვება, რომელიც თავისთავად ქართული სახვითი ხელოვნების გამარჯვებაც არის, ნაყოფია მხატვრის ნიჭისა და დაუღალავი შრომისმოყვარეობისა.

ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია გულთბილად მიესალმება სახელოვან მხატვარს და ულოცავს ამ ღირსეულ ჯილდოს.

# პირველი ქართული ტრაგიკომედია

ვასილ კიკნაძე

„დარისანის ბასბაშირი“ სრულიად ახალი მოკლეა ქართულ დრამატურიაში. მანამდე ქართული დრამატული მწერლობა არც იცნობდა ასე სრულყოფილ ტრაგიკომედიას (რასაკვირველია, აქა-იქ შეინიშნება ცალკეული გამოვლინებანი „ცრემლიანი სიცილისა“, მაგრამ მათ აკლიათ სიღრმე და სისრულე).

მე-19-იანი წლების აზნაურთა უოფის დრამა, რომელიც „იირინეს ბედნიერებაში“ აისახა, ახალი საუკუნის დასაწყისისათვის უკვე კომიკურ ფორმაში მოექცა. აზნაურები ზედმეტ ადამიანებად იქცნენ, მათმა არსებობამ თითქმის დაკარგა ფუნქცია. მათ ნების გარეშე ხდება სოციალური და ეკონომიური ძვრები, რომელიც ბედისწერასავით თავის ნებაზე ატრიალებს მათ ცხოვრებას. პიესაში უშუალო სახით არ ვლინდება არც ბურჟუაზიული ურთიერთობა და არც ის ახალი პროგრესული ძალა, რომელსაც პროლეტარიატი ჰქვია, მაგრამ სწორედ ეს ფაქტორები ქმნიან ცხოვრების ახალ პირობებს.

პიესაში იგრძნობა ეს ატმოსფერო. „დარისანის“ გმირების აწრიალებული ხეტილი კარბიდან კარს, ძიება თვანათი არსებობის გამართლებისა, სწორედ ამ ატმოსფეროს დაწოდის შედეგია.

მოუხედავად პიესის კომედიური გარისისა, „დარისანის ვასპირას“ შინაგანი პათოსი ტრაგიკულია. ტრაგიკულია არსი პიესის გმირთა მდგომარეობისა, რაც ისტორიულმა აუცილებლობამ წარმოქმნა. პიესის გმირები გრძნობენ თუ რა უფალი ჩაადგო ისინი ახალმა ცხოვრებამ და ცდილობენ თავი დააღწიონ შექმნილ მდგომარეობას. „ქიჩისა შიგან გამაგრება“, როგორც თავდაცვის ინსტინქტი და ქართული ხასიათის ეროვნული კოლორი, მათ აიძულებს იმუქმდონ თვანათი პირობების შესაცვლელად. ასეც არის, კლდეაშვილის გმირები უაღრესად მოძრავი და ელასტიური ადამიანები არიან. თითქმის ყველა რადაცას აკეთებენ, ყველა პიესისებურად ცდილობენ გაუმკლავდნენ ცხოვრების დაწოლას, მაგრამ ისტორიულად განწირული კლასის ბედის წაღმა შეტრიალებენ შეუძლებელია.

ჭიდილი მჭაფილ და უკომპრომისო, ადამიანთა ნაწილი პირადი მოკრებულობა, არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ იმიტომ, რომ დარღვეულია თვით ახლებლად ადამიანთა ურთიერთობაც. ყველაზე მეტად ეს ჩანს „დარისანის ვასპირასში“. კაროფა და ნატალია გაოცებულნი შესიქვრიან შრობილებს, რად-

მომღერლები გატაცებით შეუდგნენ თავიანთი პარტიების მომზადებას. იგინე ფალიაშვილმა მრავალი რეპეტიცია ჩაატარა ორკესტრთან და მომღერლებთან. მარჯანიშვილმა კი მათ გააცნო ოპერის შინაარსი, ეპოქა, აუხსნა მოქმედ გმირთა ხასიათები, შესანიშნავად დააწყო მოხსენებები. აქვე უნდა აღინიშნოს რეჟისორის ასისტენტის მიხეილ კვალაიაშვილის ფაქლი ამ სპექტაკლზე.

იხვეწებოდა თითოეული მუსიკალური ფრაზა, თითოეული პარტია, სცენური სახე, თანდათან ყალიბდებოდა სტუდიელთა კიდევ ერთი საინტერესო ნამუშევარი. ნამდვილმა შემოქმედებებთმა წვამ სასურველი შედეგი გამოიღო, მომავალმა მომღერლებმა თავიანთი სიტყვა თქვეს ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. მათ მიერ განახიერებულ ვოკალურ-სცენური სახეები ღრმად აღიბეჭდნენ თანამედროვეთა მეხსიერებაში.

„რეპეტიციები გრძელდებოდა ორ თვეზე მეტ ხანს, — იგონებს მ. კვალაიაშვილი, — თანდათან დაიწყო ჩამოყალიბება სპექტაკლის კონტურებმა, მსახიობები მოქმედებდნენ შეგნებულად, იმ გმირთა ხასიათებით, რომლებსაც ისინი ანახიერებდნენ. მათ შორის დამყარდა ურთიერთობა, რომელსაც სცენური სიტუაციები კარნახობდა, ჩვენი ახალგაზ-

რდა მომღერლები, რომლებიც პირველად ცდიდნენ მსახიობის ოსტატობაში თავიანთ ძალას, მოძრაობდნენ ძალზე გააზრებულად. ყველაფერი იგრძნობოდა, რომ მათ სცენურ მოქმედებას ოსტატურად და ტაქტიურად წარმართავდა დიდი ხელოვანის მარჯანიშვილის გამოცდილი ხელი“.

იმხანად საქართველოში საგასტროლოდ იმყოფებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრი. სტუდიის დირექტორმა აკაკი ფაღავამ მოიწვია თეატრის ზოგიერთი წევრი — კ. სტანისლავსკი, მოსკოვინი, კაჩალოვი და სხვა. გააცნო მათ სტუდიის მუშაობა, ისინი დაესწრნენ „ფარული ქორწინების“ რეპეტიციას, მისცეს რამდენიმე შენიშვნა, რჩევა-დარიგება. გაიმართა საღამო, ბოლოს კი ბანკეტი.

„შემდეგ კი ბანკეტი გავუმართე, — იგონებს პროფესორი აკაკი ფაღავა, — განსაკუთრებით კაჩალოვს უმინოდა — ძია (იგულისხმება სტანისლავსკი) ლხინს ჩავვილიქო, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო გამოდგა. სტანისლავსკი გათყუებამდე არ ამდგარა სუფრიდან. სხეუბთან ერთად ილხენდა. გვყავდა კ. პაჭკორია თავის ჯგუფით, და ამ ჯგუფის ხალხურმა სიმღერებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე თუ მესამე დღეს საგასტროლოდ ბაქოში გაემგზავრნენ და სტანისლავს-

კიმ იქიდან მომწერა წერილი სტუდიის მუშაობის შესახებ. მიგვითხა ნაკლებ, მოსაწონი მოგვიწონა და გვიჩვენა ბოლომდე შეგვეგრძერუნებინა ის ახალგაზრდული სიყვარული და ენთუზიაზმი, რომლითაც თავს ვგვლებოდათ საქართველოს პირველ საბჭოთა სტუდიისა.“<sup>1</sup>

აღსანიშნავია აგრეთვე დავით ანდელუაძის მოგონება ამ სპექტაკლზე:

„როდესაც მე მოსკოვში სტანისლავსკის სტუდიაში ვმუშაობდი, კონსტანტინე სერგის ძემ მიიხრა, მომეწონა თქვენი სტუდიის სპექტაკლი, გასაოცარი რიტმი, ტემპი — შესწრული, ფარული ქორწინებისა“. მე კი აქ ჩემს თეატრში ამ რიტმს, ტემპს ვერ მივაღწიეო“.

1925 წელს სტუდიის დირექციამ მიიღო შემოქმედებითი კოლექტივი დასასვენებლად და სამუშაოდ ბორჯომში ჩაიყვანა. აქ დაიბადა აზრი და მასწავლე შეუდგნენ მუშაობას ლეონავალოს ოპერა „ჯამბაზები“.

სპექტაკლის დადგმა გამიზნული ქქონდა კოტე მარჯანიშვილს. მან სათანადოდ გასწია მოსამზადებელი სამუშაოები, მანვე გამოიყენა მხატვარ უსოვის საინტერესო ესკიზები, რომლის მიხედვითაც შემდგომ გაფორმდა სპექტაკლი, მაგრამ დიდმა რეჟისორმა ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა მუშაობის გაგრძელება და პასუხსაგები საქმე სანდრო ახმეტელს გადასცა.

ს. ახმეტელმა შეიმუშავა ოპერის დადგმის გეგმა, ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მალე დიდებული სპექტაკლი შექმნა. „მართალია, მას შემდეგ ოროც წელზე მეტმა დრომ განვლო, — იგონებს მ. კვალაიაშვილი, — მაგრამ დღესაც კარგად მახსოვს, თუ რა შესანიშნავი სპექტაკლი დადგა სანდრო ახმეტელმა და რა დიდი შთაბეჭედავი ძალა ქქონდა მას. მე მინახავს ოპერა „ჯამბაზები“ თბილისისა და კიევის საოპერო

ესკიზი ოპერისათვის „ჯამბაზები“



<sup>1</sup> შალვა ცაშვაძე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“. ტ. 11, გ. 116-117.



მეორე რიგში (მარცხნიდან): ა. ვასაძე, პ. ფალიაშვილი, ს. ახმეტელი, ი. მოსკვინი (მეექვსე), ა. ფალავა, კ. სტანისლავსკი, კ. მარჭანიშვილი, ლ. არაყიშვილი, ი. ფალიაშვილი. 1925 წლის ფოტო.

თეატრებში დადგმული, მაგრამ ახმეტელისეული სპექტაკლი იყო სრულიად ახალი, თამაში... ძალზე ორიგინალურად გააზრებული და ცხოვრებისეული“.

მუშაობის პროცესში რეჟისორი ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წააფლავდა: ახალშემწილ გუნდს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, არ გააჩნდა არც სამსახიობო და არც ვოკალური სათანადო გამოცდილება. თუმცა ცნობილი ხორმისტერი პოლიკარპე ცვალიაშვილი დაუღალავად მუშაობდა გუნდთან და ყველას შეასწავლა თავიანთი პარტიები, მაგრამ ეს მინიმალური იყო მდგომარეობა. ს. ახმეტელმა ასეთ ხერხს მიიჩნია — მასობრივ სცენებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია რუსთაველის თეატრის თითქმის ყველა წევრი და გუნდის წევრებს შეუერთა დრამის მასხიობები. მათმა მაღალმა პროფესიონალიზმმა, არტისტულმა ნიჭმა ძალად ეწერა შემატა მომღერლებს. ეს იყო ქართული ხელოვნების მართლაც დიდი გამარჯვება, ნამდვილი დღესასწაული, აღტაცებული მაყურებლები სიხარულით ვერ ფარავდნენ და მხურვალე ტამით აჯიღებდნენ სპექტაკლის მონაწილეებს.

„რა იყო ამ დადგმაში უწყველო

იმასთან შედარებით, რაც საერთოდ ხდება საოპერო თეატრებში, — აღინიშნავს ამ სპექტაკლის უშუალო მონაწილე დავით ანდლუაძე, — შემსრულებელთა განწყობილება, მუსიკის ღრმა შეგრძნება, გმირთა ხასიათების სცენურად სწორი გახსნა, გამართული მეტყველება, სწორი ფრაზირება, მსახიობის ოსტატურად მოქმედების დიდი არსებობა, დამუშავებული იყო ყოველი დეტალი, რაც დიდ შთაბეჭდილებას ქმნიდა. სცენიდან ელოდებიან ჯამბაჯების გამოჩენას, რომლებიც თეატრის პარტიკრიდან შემოდიან. აქ ძალიან შთამბეჭდავი იყო რუსთაველის მსახიობების მოლოდინისა და შესვენების სცენა. უწყველო ენთუზიაზმით იყო განწყობილი ყველა. უნდა აღინიშნოს საშა ახმეტელის დაუღალავი და რაღაც ჯადოქრული უნარი სცენური სანახაობის საინტერესო დადაწყვეტისა. არ შეიძლება არ აღინიშნოს სანდრო ახმეტელის განსაკუთრებული მუსიკალობა, ყოველი მოძრაობა სცენაზე უნდა ყოფილიყო მუსიკასთან შერწყმული, ნების არ გვაძლევდა ერთ ტემპში სიმღერას და მეორეში სცენიურ მოძრაობას“.

როდეს იყო ჯერ კიდევ გამოუდგულ, ახალფესადგმულ მომღერლებთან მუშაობა, მაგრამ ქართული ხელოვნების კორიფეებს ს. ახმეტელს

და ი. ფალიაშვილს ეს არ გასჭირვებიათ. აკი დაფასდა მათი შრომაც. სპექტაკლმა უდიდეს წარმატებას მიაღწია და დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო საოპერო სპექტაკლად ითვლება ქართული მუსიკის ისტორიაში.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მიხეილ კვალაიშვილი: „ეს იყო სპექტაკლი, რომელიც ნებისმიერ პროფესიულ საოპერო თეატრს დიდ სახელს მოუხვეჭდა. ნუ დაგვაიწყდება ის, რომ იგი შექმნეს ახალგაზრდებმა, რომლებიც პირველად გამოვიდნენ საოპერო სცენაზე“.

კანონის პარტიას ასრულებდა შესანიშნავი ვოკალური და არტისტული მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდა მომღერალი დავით ანდლუაძე, მისი ფართო დიაპაზონის მქონე, ძლიერი ტენორი თანაზრად ძვერდა ყველა რეკვიტრში. საოპერო სტუდიის პატარა სცენაზე ფესადგმული მომღერალი შემდგომში თავისი ოსტატობით სიზღავდა ქართულ, რუს და უცხოელ მაყურებელს. მას ბრწყინვალე შეყურებულება გერმანიის, ოტელოს, აბესალომის, მალხაზის, რადამესის და სხვათა როდული პარტიები. საყვარელი პროფესიონალი გულანთებელი ზელოვანი სიმღერისადმი სიყვარულს უნერგავს თავის აღსაზრდელებს.



ნედას პარტია შესარულა მ. ბრავალმა, რომელსაც შესანიშნავი სოპრანო ჰქონდა. იგი ავადმყოფობის გამო არცთუ დიდხანს მოღვაწეობდა ქართულ საოპერო თეატრში. თუმცა მისი თამარი („დემონი“), ვიერი („აბესალომ და ვიერი“), ტატიანა („ვევინი ონგინი“) წარუშლელ მოგონებად დარჩათ მისი ხმის თაყვანისმცემლებს. ამავე პარტიას ასრულებდა მ. ექსანიშვილიც.

დიდი წარმატებისათვის მიუღწევია ტონიოს პარტიის შესრულებისას ნ. ელიოზიშვილსა და კონსერვატორიის სტუდენტს, ახალგაზრდა ბარიტონ შულვა ცირილიძეს. მისი ძლიერი, დახვეწილი ბარიტონი ლამაზად ჟღერდა სპექტაკლში და იმთავითვე მსმენელთა ყურადღება დაუპყრია. გარდა ვოკალური მონაცემებისა, მომღერალს კარგი არტისტული ნიჭიც გამოუმტანებია, რასაც მისი გარეგნობაც უწყობდა ხელს.

არც თარხან-მოურავი (სილვიო) დარჩენილა ყურადღების გარეშე, მის ლირიულ ბარიტონს არაერთხელ მოუხიბლავს მსმენელი.

დიდი ხელოვანის ივანე ფალიაშვილის ვირტუოზული დირიჟორო-

ბით სრულიად ახალგაზრდა ორკესტრი მხამწყობილად ჟღერდა.

ალასანიშნავია, რომ ორკესტრის შემადგენლობაში შედიოდნენ ამჟამად უკვე ცნობილი კომპოზიტორები, მევიოლინეები, მუსიკათმცოდნენი: გრ. კილაძე, ი. ტუქკია, შ. თათქაიშვილი, პ. ზუბუა, შ. ასმაი-ფარაშვილი, მის. ძიძიშვილი, ვ. გეჯაძე, ჯ. ჩიჯავაძე და სხვანი, რომელთა ნაწარმოებები დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ქართული ხელოვნების ტიტანებმა განახორციელეს ლეონკავალის „ჯამბაზების“ დადგმა (1926 წლის 1 აპრილს). ამ მოვლენას ფართოდ გამოემხურა ქართველი საზოგადოება და ქართული პრესა.

1926 წლის 3 აპრილს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ასე აფასებდა სპექტაკლს — „ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე პირველ აპრილს დაიდგა, ქართული საოპერო სტუდიის მუშაობაში საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ნათელი, ცოცხალი და ლამაზი სპექტაკლის ყოველ ნაწილში მიმზიდველი სიახლე და ახალგაზრ-

დული გატაცება გამოკრთოდა. ივ. ფალიაშვილმა, ალ. ახმეტელმა თავიანთი ახალგაზრდული ენერგიით სასახლო გამარჯვება მოიპოვეს.

ივ. ფალიაშვილმა მისთვის ჩვეული ენერგიით, დიდი მხატვრული გამოცდილებით, დაძაბული მუშაობით, საქისადმი სიყვარულით სასურველ შედეგს მიაღწია, მუსიკალურ დადგამში შექმნილია შეტიკა ანამბლი. ორკესტრი დიდი გატაცებით უკრავს, დახვეწილი ხმოვანება (კარგად არის წარმოდგენილი სიმბალინი ჯგუფი), თანხლების სიზუსტე, ორკესტრის ელერადობის მრავალფეროვნება. კარგად მღეროდა გუნდი, — მწყობრად, სრული ხმით, ნიუანსებით, არა მარტო მღეროდა, არამედ გააზრებულად, საინტერესოდ თანამოზდა კიდევ.

ახმეტელის მიერ სცენური სახეები ყოველმხრივ არის გააზრებული, დამუშავებული და მთელი სპექტაკლი წარმოდგენილია ცხოველი დინამიკით.

თვით დადგმა ახალისებს თავს თავისი სანახაობით, ნათელი ფერებით, ცოცხალი მასიური სცენებისა და იდუის ჩანაფიქრის სიახლით.

სპექტაკლი ხალხით სავსე დარბაზს ძლიერ მოეწონა. მხურვალე ოვაცია გაუმართეს ივ. ფალიაშვილს, ალ. ახმეტელს და სტუდიის ხელმძღვანელს ა. ფალავასს.

სპექტაკლი ბრწყინვალე შემოქმედთა და ნიჭიერი ახალგაზრდების ხელოვნებისადმი სწრაფვამ და უსაზღვროდ დიდმა სიყვარულმა შექმნა.

ახალგაზრდების ამგვარ წარმატებას თითქოს ფრთები უნდა შეესხა სტუდიელთა მთელი შემოქმედებითი კოლექტივისთვის და გაეხალისებინა იგი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებმა, რატომღაც, ხელი შეუშალეს ამ საჭირო, სტუდენტთა დაოსტატების მეტად სასარგებლო საქმეს და საოპერო სტუდია დაიხურა. მის მოვალეობას წლების მანძილზე ასრულებდა თბილისის კონსერვატორიის საოპერო კლასი.

„ფართლი ქორწინების“ შესამე მოქმედების ასკეზი



# ახალი

## ქართული ღრეის

### საკითხისათვის

#### ლამარა დოლონაძე

XIX-XX საუკუნეების მიჯნა მსოფლიო თეატრის ისტორიაში თვისობრივად ახალი ხანაა. ამ პერიოდში ლიტერატურასა და თეატრში აღმოცენდა ახალი მიმართულებები: ნიურნალონიზმი, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი და სხვ., რომლებიც სასცენო ხელოვნებაში „ახალი დრამის“ სახელწოდებით დამკვიდრდნენ. ა. ჩეხოვის, ე. ზოლას, პ. იბსენის, ლ. ტოლსტოის, კ. კამუნის, ბ. შოუს, ა. სტრიინდერგის, მ. მეტერლინიკის, პ. ბაუტჩანის, ა. ბეკასის და სხვების პიესებში საფუძველი ჩაუყარეს ახალ სცენურ ხეობებს, რამაც სხვადასხვა ქვეყანაში სათავე დაუდო ცალკეული რეჟისორული თეატრების წარმოშობას.

მე-19 საუკუნის დამლევს საქართველოში ფეხს იკიდებს ახალი დრამა, რომელმაც გარკვეული ზღვარი დასდო XIX საუკუნის დრამატურგიასა — ე. წ. „ვირთვი ერისთავის სკოლასა“ (ზ. ანტონოვი, ა. ცვაგაელი და სხვ.) და მიეცა მომდევნო დრამატურგიას შორის, ვეჯაფშაველასა და დ. კლდიაშვილისაგან რომ იღებს სათავეს. ამ პერიოდის ქართული დრამატურგია გამოირჩევა ლიტერატურული მიმართულებების მრავალფეროვნებით, მწერლების სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებით სინამდვილისადმი. ამ დროს ქნნიან თავიანთ პიესებს კრიტიკული რეალიზმის კლასიკოსები — ვეჯაფშაველა და დავით კლდიაშვილი. სანდრო შანშიაშვილი წერს თავის სიმბოლისტურ პიესას — „ბერძო ზმანია“. ამ დროს დრამატურგიას მრავალფეროვნებას მატებენ ნატალია აზიანის ნატურალისტური პიესები და ვ. შალივაშვილის სოცი-

ალური ტენდენციურობით მკვეთრად შეგვირლი დრამატურული ნაწარმოებები, ტრ. რამიშვილის „საბედისწერო დამბანა“ და ნ. შივაშვილის „იპიანინჯე“, რომლებიც ნატურალიზმის გახრწნასა და ამ ავტორების ეპოქისეული ბიოლოგიური თეორიებით გატაცებას მოწმობდნენ და შალვა დადიანის პიესები „მლაქემი“ და „როს ნადიმობდნენ“ — ახალი ტიპის სოციალისტური რეალიზმის დრამატურგიის სათავეს, რომ მიგვანიშნებენ.

აღნიშნული პერიოდის დრამატურგიისათვის ნიშანდობლივია, ერთის მხრივ, ახალი სოციალური კონფლიქტების შეყნება და, მეორეს მხრივ, პროგრესული ძალების გამარჯვებისადმი ურწმუნოება და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწროდ, შაღდულად ასახვა, საზოგადოებრივი პრობლემების კარგოფა, ოჯახურ-ინტიმური თემატიკით გატაცება. შამიდელო დრამატურგებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა შალვა დადიანი. იგი ასახავს საზოგადოებრივი წინაშეღობის თემებს და ამავე დროს ინარჩუნებს რეგულაციის გამარჯვების რწმენას. როგორადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ამ პერიოდის პიესები ერთმანეთისაგან, მათ აერთიანებთ საერთო ნიშანი — არსებული სინამდვილისადმი მწვერლოსის უარყოფითი დამოკიდებულება.

საქართველოში ახალი დრამა თვისობრივად ახალი მოვლენა იყო. მართალია, 80-90-იანი წლების თეატრების სცენაზე „გასართობი“ ხასიათის პიესებიც და გადმოკეთებული დასავლური დრამატურული ნაწარმოებებიც იდგებოდა. გოდვილიბიც იწერებოდა, რეპერტუარში უხვად იყო ახალი საუკუნის ძველი საყოფაცხოვრებო და ისტორიულ-პატრიოტული პიესებიც, მაგრამ ორი საუკუნის მოქანაზე მიიწე შეიქმნევა ახალი დრამის დემოკრატიულობა, მადლი იდეური მიზანსწრაფვა, ცხოვრებასთან სიახლოვე, მისი აშკარა სოციალური შინაგანი.

განსასაზღვრელი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ 80-90-იანი წლების ქართული პროფესიული თეატრი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა დიდი მწერლების, პუბლიცისტების, საზოგადო მოღვაწეების — ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის უშუალო ხელმძღვანელობით.

დიდი ქართველი კლასიკოსები ილია და აკაკი პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ თეატრს, საზოგადოებრივი, სარეჟისორო, თრამატურგიული მოღვაწეობითა და პუბლიცისტური წერილებით იბრძოდნენ თეატრის „გასართობ დაშლბეულობად“ გადაჩევიის წინააღმდეგ და ნიადაგი ითავსდნენ, რომ იგი ერთგულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის კერა ყოფილიყო. „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩინ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების განსამდინებელ ოქმისძობიბთა“ — წერია ილია ჭავჭავაძის. მისი დრამატოული ნაწარმოებები — „ქართლის დედა“ (დრამატური პოემა), „აკაკი აწალი“ (პოემა-დილოგია), „სცენები დოგმთა განმარტყვობიბანა“; აკაკი წერეთლის ისტორიულ-სოციალური დრამები: „პატარა კახი“, „თამარ ციხიერი“, აგრეთვე ალიასანდრი ააზრავის პიესები — „არსენა“, „ართურ ხანში“, „ქობია წამბიბიბი“ და სხვა. ასახადნენ ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, გაერთიბლი იყვნენ საქართველოს განთავისუფლების იდე-

ოასინაშნავია. რომ ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და ა. ააზრავის თრამატოლო ნაწარმოებობში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის თემა დაკავშირებულია გლეხობის დეაოზიაციასთან. მიუხედავად ამისა, ააზრავა „ოღური აომონობა“ „საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების“ საშობი. რასაც მოჰყოლია ხალხობისთვის იმდებარებულია გლეხობის მიმართ. შემთავ იმ პერიოდის მიერ ახალი ამირის წინა კანაზე წამოყვება შესამე მოდებდნენ. ააქვინტი

ცავარლის დრამატურგიაში უკვე გამოყვანილია სამართიანიობისთვის მებრძოლი გმირი. იგი მტკიცე ხასიათისაა, ლახავს ცხოვრებისეულ დარტყმებებს და, როგორც დემოკრატია და წერილ ვაგართა წრის დიდილი შვილი, ხელმოკარგიული ფენების „საერთო“ იდეალების გამომხატველად გვევლინება (დ. ჯანელიძე).

„წინააღმდეგადად აღარ არის, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, კინაზახა“... — „ძმა-ბიჭისათვის ციმბირშიც წავალ“, — ამბობს გიგუა ა. ცავარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს „ციმბირული“ პერსონაჟი პეტუა: „ძმა-ბიჭისთვის თავს დაღებე, საწვალს ვუშვლი, სამართლის არ ვუმტკუვნებ“.

ასალი დრამა წინამორბედი დრამატურგისაგან (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ა. ცავარელი და სხვ.) განსხვავებით ასახავს, ერთის მხრივ, ფსიქოლოგიურად რაციონული რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებას, მეორეს მხრივ, ამ პიროვნების ტრაგედიას თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ზღუდავს პიროვნებას, სრებს მის ინდივიდუალობას.

ამ პირობების თეატრალური მიმდინარეობებიდან, განსაკუთრებით ყურადღებას იმყრობს ფსიქოლოგიური დრამა, რომლის შესრულებად ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი გვევლინებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვდილი“ (1894 წ.) და დავით კლდიაშვილის პიესა „ირინის ბედინდობა“ (1898 წ.) სხვადასხვა ცხოვრებისაღი თემაზეა შექმნილი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მომენტს ასახავენ, მაინც ორივე მწერალს აინტერესებს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა და ორივე, თათქმის ერთობილივად, სრულიად ნათლად აღნიშნავს მამინდულ საზოგადოებაში პიროვნების უფლებებას შესრულებლობას.

ვაჟა-ფშაველას „მოკვდილი“ ფშაველების ცხოვრებას ასახავს. განუმეორებელი კოლორიტით არის გადმოცემული მიწითაც ყოფი, მათი ხალხური წეს-ჩვეულებები. თუმცა პიესაში მოცემულია ძველთაგან მომდინარე სახალხო წეს-ჩვეულებათა თინაჯიური თაღისებურად და კოლოქტიური თანაცხოვრების ურყევე განონად ათიარებულობა. — „ერთი ყელისათვის, ყელდა ერთისათვის“... — ამ მორალისათვის დამსახვიათებელი მთელი სიმკაცრით იმათ მიმართ, იზინ არ ემორჩილება (ჩაქვავება, თემიდან გაძევება). — მაინც, თავისი იდეურ-მხატვრული კონცეფციით ეს პიესა სააუარის პიროვნებაა.

თავისთავად ისახდა, რომ შექმნილებიან „მოკვდილი“ და „ირინის ბედინდობის“ უპიკლიანად გამოქანებება პიესის „ახალი ორამია“ მკარამ მათში უკვე შეინიშნება ძალი ორამის პრინციპების უარყოფა და კონფლიქტების ბუნების ასობიერება ახალი. პერსონაჟთა ჩიკების უსწორმოთიერი მოტივირება. ამას ადასტურებს „მოკვდილი“ მრავალმნიშვნელოვანი დასაწყისები. მწიქალში ივანე გოლანაკიანი თიბა მკობისაგან ყოფიამოთაროოი ცხარების ამბავს. ცხარების პატარონი შუშანა კი სულ იმის კითხობო? რომ ივანის ჰისტიკობან შორიანის ამბავი მოთარბინის და აიდევე გაიბრვივებულია. რა დროს წარმოშობნზე აულისწიხილია, როცა ჰისტიკობა უფრო მიკი ზარალი მოგავაყენის. მთივე მწყემსს, ბიბრები, შუშანასთან მკობის ჰკავიან მოაქის. აი, ეს ბიბრები მკავიბობით თქილეთა სხვის ჰონებას, ის არის ის ვაქვაკვი. სხვისი ოფლით მონაბრებულ მსამსარეულ სიკეთეს რომ იკავიბისო.

ნადირის მხივარი ინსანიკატიბის შესახებ აზრობის აბმოწიხის ფოწქში გმირთა საბარბო ფილოსოფიური ბჭობაში გულანსრდება და აბადინათა ურთიერთობის სფეროს

უკავშირდება. შუშანა მსჯელობს და ცალკეული ინდივიდუების განგაერობულ მოქმედებაზე, მის მავნებლობაზე საერთო ინტერესებისათვის, — ამხელს იმ უჩინარ მიზეზებს, ცოცხლ არსებას მტკიცებულისაგან რომ უბიძგებს. „ამ მილით, გავამტყუნებო, რა ექნა მამე ამ ბენახა? მართალია, გვანახავა, გული გვატყინა, მაგრამ მაინც ისევე იმას ვეტივებ: რა ქნას, ნადირა, ჩვენ ამაზე მდიდებრი ვართ. მიტევე კვავას, მეტი მოხერხება, ამან ამის მეტი არა იცი, ეს დაუწერიან ამისათვის დმერსთა“ — ამბობს შუშანა. თემის რეკული რაინდა ჩინთა. მის უბანალობით მამკობისა და განმედიბობას ბივის ყველა პერსონაჟი აღიბრებს. მაგრამ ჩინთას ნაკლევე აქვს — მან მოიტკავა საცოლე. თამამად შეიბღბა ოქვას, რომ ჰართული დრამატურგის ისტორიანი ვაჟა-ფშაველამ პირველმა მოგვევა დადებითი გმირის გაბრებული სხევე, ჩავგვება მის შინიგან საყარობში და დავგანახა იგი დადებითას და უარყოფითის რთული ურთიერთდამოკიდებულების პროცესში. ამის უტყუარ დადასტურება წარმოადგენს ჩინთას სხევე. თუ ყველა აღტაცებულობა ჩინთას გულადობით, თავადას სიყმვე მამკობისათვის, იმვე დროს სინანულით იციხებენ მას: „უხერხო იდავის აკულიად ვაგვაგან ცუდი როგორ უნდა ათქვივინოს ჩვეყვას თავის თავზე, ვაი დედანა მტრისას!“ „თუ კარგი ხარ, სულ კარგი უნდა იყო, თუ არა და, ნახავარი კარი, ნახავარი ცული — ვე როგორღაც არ მამწონს“. — ამბობს შუშანა.

თუ ჩინთამ პირადი ინტერესები მხოლოდ ინტერესებზე წილა დააყენა, მანამ ჩინთაზე შეინიშნების მიზნით ფშაველას ჰისტიკობა გადაამტკარა და ამდინად თმი ინტერესების წინააღმდეგე გაილაშქრა. ყველანი იციხებან მანას, საყიდელთად აღიარებულ მორალის მტკიცევე კრთელი ილიბრთება მანას წინაში. და რაც უფრო დაიბრეზით იოავს მანას თავის ღირსებას, სახელსა და პატივისცნებას, რაც უფრო მაღლა აყენებს თავის წიქს-ს, მით უფრო იზრბება უფსკრული მანას და თემს შორის. მიუხედავად ამისა, აბორთი მანევე პატიოსან კავად, კეთილშობილურ აბამინად ხატავს მანას. დღითის ჩინთას მოკვლას ურჩობს მანას. „...განა ვეტივებო მკავს, თავს მიიპაპრო და ქართოლად მოკვდა? თავის დემოვი მკავს არ ვიხმე და სხვათრივე კი ივიდებო. მანამ იოიხილო გარ“, — პასუხობს მანას.

ვაჟა-ფშაველამ ამ პიესაში გამოხატა ის წინააღმდეგობა, რომლითაც თან სდევდა სათემო წყობილების დარწკოლობა. პიროვნების გამოთხიხულებას, ინდივიდუალურ მისწრალობათა გარჩენას თან მოჰქონდა თემის პატარაქალური ნარბავა, თემის მონოთეურობის რღვევა. თემიდან პიროვნების გამოთხიხის რთული სოციალოური პროცესი „შუალოთ თანამეზობილური თით პიროვნების სოციალ საშკაროლიან. მისი ფსიქიკის კართოლებასთან. პიროვნება, ერთის მხრივ, იყავდა ხა თავის ღირსებას, მეორის მხრივ, მან უნებოღოთ ირთველად ხსიათათ მთლიანობა. პიროვნება პარაბაობის მანას, რთივე ძლიერი იყო ასეული უღების მანიძილზე.

ვაჟა-ფშაველას გმირები დარწმუნებულნი არიან თავიანთ უსძებლოებათა სამართლობისმო და, როგორც ეს ხეხობდა ძველ დრამაში, უკომპრომისო იბრებან მათი ხილშუხილობისათვის. „რაო, რა ბრალა მოიბინ? თავის გამბარობობის საშკაროფროს რად უხებინო? შამირცხებს მავათი საშკაროოთ?“. —

სპითილა ჩინთა. შუშანას საყიდურზე — „მანას აულისად მთლო თმანის ხეიკი კი შს-ბანი. ჩემო ძმაო, და, თუ გვითი ბრეყან იყო, რაკო წინადეე არ იოილი და არ მთორიბო? ჩინთა მოიბაბს: „მშობამ, რომ მკავისათვის არა იხობა მთორიბობი“. მაგრამ თავისთალო მოქმედებე გმირების ცხოვრებაში უკვე დანახვალის სათავედ იქცევა

და მათ ტანჯვას ჰგვირის. ეს ნათლად ჩანს თავის გულის-  
 თქმის აყოლილ ჩონთას აღიარებაში: „ჩემი ბრალიც  
 ზგირია. არც სამართლიანად მე მოვიცე. სხვის დანაშაუ-  
 ლანს მე რა მესაჩქებოდა, მაგრამ გულია ეს თხერი დანაშაუ-  
 წმ მამწონა. შამიყვარდა“.

საერთო სულიერ სამყაროში აღძრული ერთული ფსი-  
 ქოლოგიური ბროლია პერსონაჟს აიძულებს განედგეს საუ-  
 კურობები ტრადიციებს, თავის მისწრაფებებთან განხორციე-  
 ლებისათვის ზრდილობაში დამოუკიდებელ ერთეულად წარ-  
 იგონდება, რასაც მოყვება თემთან კონფლიქტი. თემი ბა-  
 ხის ერთსულედად აღიარებს იოდალატად. ამ მდგომარე-  
 უბის მიმდებ განიცდის ბაბა, იგი თათბირებლობაზე კი  
 დიქრობს, მაგრამ უფრო ძლიერი აღმოჩნდება მისი შინა-  
 კანი ბუნება. მას არ შეუძლია უარი თქვას სიციცმულზე,  
 ვიდრე თავის სიმახრთლეს არ დაამტკიცებს. მათ ჯერ კი-  
 დე სჯერათ ჭეშმარიტების, მაღალი იდენტობის. როცა  
 ღიბით ურჩევს ბაბას „...ხვალ ხატში არ მოხვითო, აიღო-  
 ვებოთ ხახობა, მოყვითას აპარ დაუცდიან. იჩინება  
 ჩაქუჩოლი“... — ბაბა ამჟამად მიუგებს: „რომ ვიცილდო-  
 რი ათას ნაჭარად ვამჭირბან, მაინც არ დადგები ხატში  
 მოუსულელი. მომკეთონ, ჩამქოლონ, შუათა ვარ, საქვეუ-  
 ნოდ ვიდე შემარცხებინა, იქვე საქვეწმოდ უნდა ვაზღვე-  
 ნობ!“

მართლაც, ბიესმალი ერთი პიროვნებად მეორეს ებრძვის.  
 როგორც ეს იყო ადრე, ძველ დრამაში. ბაბა საგნებით  
 აღნიშნავს: „მე მარტო ჩონთას მეტერი ვარო“ და გვიჩვენ-  
 ბს ეს მეტრკინება, ჩონთას მოკვლით დასრულებული, პი-  
 როვნებათა ორთაბრძოლის უკანასკნელ მჭეხარზე აკირდად  
 გაისმის იმ დროის ფსიქოლოგიურ დრამაში. თემის ერთ-  
 ბრადიან მახსოვლ უკვე იბოლად რჩება მართლმსაჯულების  
 მამდიებელ ბაბას ხმა, ხოლო თემის ყოფინი — „ჩაქუჩო-  
 ლით, ჩაქუჩოლი!“ — სასოგადობების მიერ პიროვნების  
 დაკმალების სიმბოლურ ექოდ გაისმის.

„მოკვეთილი“ ადამიანი ამხედრებულია დადგენილი  
 მორალის სასოგადობებრივი დამტკიცების წინააღმდეგ, ამი-  
 ჯომ თემი თავიდან იშორებს დადგომილს, კიდევს, თავსა  
 აიღობდა ათვებს, და ვაია-ფშაგელა ააშკარავენს რა პი-  
 როვნების ინდივიდუალიზაციის პროცესს, უკვე ამჩნევს ამ  
 პროცესის განვითარების ზარდუვად ეტკაბს — პიროვნებ-  
 ბაზე სასოგადობების შუარდ. კაქლიტრებულ დაწოლას.  
 თვით ჩონთა, გულში არ აღნაშაულებს ბაბას, თითქმის  
 ამართლებს კიდევ: „...მე რო ვიყო ბაბას ავდილას, იჩინ-  
 ბა უარსი საქმე ჩადინდა. არა საკუთას. ვის არ მისწონს  
 და არ უყვარს თავისი თავი, ვის არ იძიებდა თავისი ნიშნი  
 ეგულ, ეს არ იშვრება ბაბას, მაგრამ ბოლოს ისე მოვიე-  
 ვა, უნდა ვემტკობო... უნდა, უნდა! დადასჯილია მაინც,  
 რატომ არ ეცადა თვითონ ამოყვარა ვაჯერი? მისკბის მის-  
 ებს. აჰა მტკობა მე აუოლი!“... — უთბო მეტრიც, როცა თემი  
 ამტკებს ბაბას, ჩონთა მას ესარჩლებდა.

„მოკვეთილი“ საერთო სასოგადობებრივი ჯერ კიდევ  
 „სახალისის“ სინთიმია. ცოტა რიდაია ისეთი სცენები,  
 სადაც დემონსტრირებულია თემის წევრთა ერთსულეობა  
 და მეგობრობა. და თუმცა ყველამ ფანატურიკური მოკრძა-  
 ლებით იყარა მუხლს ლამარის ჯვარის წინაშე, მაინც ავ-  
 ჯობრივ ცალკეული შტრახებითა და გვირგვინის რეპლიკებით  
 იქნს სიყვას ლამარის ავტორიტეტს.

ინვარის შემართული უკუჩრავს სისხლიანი მახვილი  
 და მსხვერპლის მიღებას ელოდება. აგულქვაობის იერი და-  
 ქრავს იანვარას პასუხსა და მის შემზარად წყველას მოლა-  
 ლატის მიმართ, როცა ის უარს ეუბნება მსხვერპლის მი-  
 ლანაზე მუდარით აჭვითინებულ ჯავარს — ბაბას დდას.  
 შუმანას გამჭირდავი შენიშვნა, მიმართული ბაბას წინააღ-  
 მდეგ, ხოლო შემდეგ ინვარას ლოცვა, რომელშიც ის ხოტ-

ბას ასხამს ლამარის ჯვარის სისხლიან ხანჯალს, უარყო-  
 ფით ემოციას იწვევს იმ მკაცრ, უსულო მანქანისდამ,  
 რომელიც მექანიკურად ასრულებს ერთხელ და საუბრამოდ  
 დადგენილს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია კონკ-  
 რეტული სიტუაცია. თემი, ერთის მხრივ, ერთიანობის სიმ-  
 ბოლია, მისი ყველა ინტერესების გამოხმატკველია,  
 მეორეს მხრივ, ადამიანის მიმართ განხრჩვევლია, ყველას  
 სოფატკვივის ერთი საზომით განმკითხველი. ბაბა გარბის  
 სასოგადობიდან, რომელმაც მოკვითა იგი და ეტებს გამო-  
 საგალს თავისი ღირსებების შესანარჩუნებლად.

ვაია-ფშაგელა თავისუფლებს მიმდერალია, რადგან  
 „...მაღალი, ქვეყნის მოყვერი სული შეიძლება მხოლოდ  
 იქნეს სიციცმლის მქნელად და სრულს სიმეჭვიანით მო-  
 ბგეიოლის მხოლოდ, თუ თავისუფალია იგი“...

ბაბას ტრადიულ განცდებში ჩვენ ნათლად ვხედავთ,  
 რომ რაც უფრო რთულდება გმირის ფსიქიკა და სულიერი  
 სამყარო, მით უფრო მეტად აჩრბობს იგი იბოლბას, უშ-  
 ლობობას, თადადაკის უნარის მოდურებას. და ბაბას მთლი-  
 ზრადიათაჟ ხომ ის არის, რომ მარტოდ ვერ შეძლო  
 თავისთან ანაბრისმის გასწორება. „მთელი ფშაგის ხევის ქალ-  
 ხა თა აიას უნდა ვაჩვენო — ბაბას შეუძლიათ თ არა ვა-  
 ვერის ამოყარა. შენ ნუ გკითხა — ჩონთა რომ ბიბობს აუ-  
 ლით — მე ის ვებობდეს აგულით, ვერა! შენ იჩინება ისა  
 ადონია, მე შემიწოდებს ჩონთასა, არა, ლამარ-ჯვარის გა-  
 მარჯვებამ, ასე აუ გამწმინდეს მის ჩონთა, როგორც ვარ იმ  
 აოლეს, გაღმა რო დასა, არ აწინებს ის ყორანი, ეტლა რომ  
 ზედ დადას!“, — ამბობს ბაბა.

თავისი ღირსებები რომ დაეცვა, ბაბამ გასწირა ახლო-  
 ბლები, საშობლო, პაკისთან აკაცის სახელები, მაგრამ  
 როცა დარეკა სადებიწორი სათამა და მას უნდა აერჩია,  
 ისი მხარეზე ებრძოლა ფშაგ-ქისტების მეტრკინებაში, ბაბა  
 თავისი თემის ერთგული რჩება და მისთვის კიდევ კვდება.  
 ვაია-ფშაგელას უკომპრომისო გმირობით არ ურიგდება  
 არსაოლო სინამდებლეს და იბოციბან.

წერლობა „მოკვეთილი“ ასახა პიროვნებისა და სასო-  
 გადობების ურთიერთობის ცვალებადობის რთული პროცე-  
 სი. ამ ბიესმალი ერთმანეთს ეხლართება, ერთის მხრივ, ად-  
 ბიანში რაფაქობული აქტიურობა და ინდივიდუალური სა-  
 წყისი, რასთანაც დაკავშირებულია კონფლიქტის აღმოყე-  
 ნება პიროვნებასა და სასოგადობებს შორის და, მეორეს  
 მხრივ, ორი საუკუნის მიჯნაზე სასოგადობებრივ გარემოს  
 მიერ პიროვნების დაკაბალების დაწყებული პროცესი.  
 სასოგადობისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულე-  
 ბის ყოფილ გამოვლენას ივრობის დრამატურიაში თავისი  
 აოლოოტობის გამოუჩნდნენ და ეს პროცესი საგმოდ დიდ-  
 ხანს აგარბიდა.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთის დრა-  
 მაში ასახულია თანდათანობით, მაგრამ მზარდ პროცე-  
 სი პიროვნების დამონებისა მის მიერ საკუთარი „მე“-ს  
 სრულიად დაკარგვისა. ეს პროცესი განსაკუთრებით ნათ-  
 ლად ჩანს ჰ. იბსენის, მ. მატრონიას, ლ. პირანდელოსა  
 და სხვათა დრამატურიაში. პიროვნება დიდი სულიერი  
 რკიციოობით შეიცნობს იმ მოქალას. იგი ცდილობს შეი-  
 ნარჩუნოს თავისი „მე“, შინაგან დამოუკიდებლობა.

შემგულებლობა, იმისანი ობრობ, პიროვნების მიერ  
 იხვარების პრინციპებზე ხელის აღბას მოსაწვავს, ეს  
 არის პიროვნებისაგან იძულებით აღაბებული მსხვერპლი იმ  
 მიხნის. რათა სასოგადობებრივ ასპარეზზე მოქმედების სა-  
 შეუაღბო მიერეს.

შემგულებლობის საკითხი იმსენას მჭიდრო კავშირშია  
 შრომისთან, შრომქმედობით მოდაწყობასთან.

შემგულებლობის თემა ყველა მომდევნო დრამატურგის  
 შემოქმედებაში იჩინს თავს და ყველა მწერალთან თავი-

სებურ გამოსატყულებას პოულობს ეპოქის ეს საერთო მანკიერება.

მაგრამ რუსული დრამის გმირები, როცა ისინი ღრმა გულსტაქცივლით შეიციანობენ ინდივიდუუმის შესაძლებლობათა შეზღუდვის ფაქტს, ქედს როდი იხრანან, არამედ ძივიან პროცესის რჩებიან, რომ შემდგომ თავისი არსებობა გორკის დრამატურგიაში გვამყნენ.

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური თავისებურებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ან პერიოდის ქართულ დრამატურგიაში ასახავს პოულობის საუკუნისათვის დამახასიათებელი პიროვნების დაქვივითების პროცესები, რომლებიც, რათქმა უნდა, შეფერილია ნაციონალური თავისებურებით.

პროცესების თავისებულების დისკრედიტაციას პროცესისი, რაც დიდმა ვაჟა-ფშაველამ შეინიშნა, ამომწურავ ასახავს პოულობის დავით კლიაშვილის დრამებში.

დ. კლიაშვილის დრამატურგიაში პიროვნება თითქმის არც ფაქრობს ცხოვრებაში თავისი განსაზღვრული ადგილის დაკარგვას, არ ციხობს თავისი ცხოვრებისათვის და ისტორიკური კრედიტს მიიანებს. პიროვნება ცხოვრებითი-კავრულ ფაქტორების გაუფრთხილებულ ძალების შინაგანად მოუცილიათ, თითქოს ერთბაშად გაუხადურებიათ: დ. კლიაშვილის დრამებში აშკარად ჩანს ქვეყნის სრული ეკონომიური წარგება, ადამიანების მატერიალური ხელშეკლებაც და ინდივიდუალური მთელი საზოგადოების მორალური დაწოლა.

დ. კლიაშვილის პირველ პიესაში — „ირინეს ბედნიერება“ — პატროსანი და კეთილშობილი პერსონაჟების — ვიქტორის, ირინეს, პავლეს აშკარად მომხირობელი კონფლიქტი მწავრელების მიმართ გადაუწყვეტელი რჩება.

„ირინეს ბედნიერებაში“ ათსობალები თმობენ თავინა მორალურ პოზიციებს, ღამაში სიტყვების ქაოსში მარხავენ თავიანთ პრინციპულობას. მათ უკვე აღარ გააჩნიათ სიფიქსი და რწმენისდმი მტკიცე ერთფუძეობა, რომლითაც ა. ქაჯარაის გიჟი და პეტრე ილაშქრებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და ავსის მიუღებლობის იცავდნენ. „თარისპანის ასპაჩირას“ ან ათამანიში უიი შიშველები გამხდარან. ცდილობენ როგორმე შეინარჯონ დივიკური არსებობა, რომ შიშვლით არ ამოწყდნენ, ამიტომ „თარისპანის ასპაჩირას“ გმირების შემჯობლოება ახალ ისტორიულ სიტუაციაში უშოლოდ არსებობის შენარჩუნების უნარდრეც ცდა.

კვირის, მილიჩელობისა და თვალთმაქცობის ნიღაბი, რომელიც აფარებული აქვთ პერსონაჟებს, ეს ადამიანის უკანასკნელი ცდაა თავი გააძირნათ დღის, ხვალთდელი დღე კი მისთვის არ არსებობს. ეს არის იმედდაკარგული, გაუწყნებელი ადამიანები: შრთლა საათებო მინიმალისტები.

წარსავალი კლასის თემამი დ. კლიაშვილმა გააახალია ძველი სამყაროს დაღუპვის მიხეხები. დეკანაზა რა თავდაზნაურობის წოდებრივი პოლიტიკების დაკარგვა და ახალ პიროვნებთან მემკვიდრეობა, დ. კლიაშვილმა დაავყნა პირველგან განსხვავების საკითხი საგნობრივ-მატერიალური საწყაროსაგან, რომელიც ადამიანის წინაშე იმბანაბლური ძალად ამორთავდა. ამასთან დაკავშირებით დრამატულ ნაწარმოებებში დ. კლიაშვილმა აღმოაჩინა კონფლიქტის ახალი ბუნება, რომელშიც სოციალური გარემო გვევლინება კონტრამოქმედ პირად, პიროვნების ყველა უბედურების მთავარ დამნაშავედ. პერსონაჟების იდეალების სრულ კრახსა და მათ თვალში მორალურ ფასეუ-

ლობათა დაკარგვას მწერალი მიჰყავს არსებული სინამდვილის საფუძვლების უპაველაციო უარყოფად, ბრტყე-აზილი წყობისთვის უნადრუბობის აღიარებამდე. დამონებული პიროვნების ჩვენებით დავით კლიაშვილი ტიპიული პირანდელოს ენათსავება. ლუკი პირანდელო და დავით კლიაშვილი ერთანობად შეიციანენ მათი თანამედროვე ეპოქის მტიკინეულ პრობლემებს, ორივე დრამატურგი ხაზგასმით აღნიშნავს პიროვნების ერთ ინდივიდუალური სახის დაკარგვის ფაქტს. „პირანდელოს პიესების პერსონაჟები, — წერს ზ. ზინგერმანი, — თავიანთ ნიღბებზე ვერც ხელი აუღიათ. მაგრამ ვეღარც იგუებენ ან წინადას და მის წინ ილაშქრებენ“.

დ. კლიაშვილის პერსონაჟები ატარებენ ნიღაბს. ეს არის თვალთმაქცობის ნიღაბი — მკაცრი გარე სამყაროსაგან თავდასაცავი საშუალება. ნიღაბი მათ ეხმარება სხვების თვალში შეინარჩუნონ ადამიანური ღირსებები.

დ. კლიაშვილის „უბედურების“ პერსონაჟები, რომლებიც ცხოვრების პირობებს ჩაუტრეცია დანაწევრებული შრომის სისტემაში, შრომის ისე დაუმანქნებლად ფიციკურად და მორალურად, რომ სრულიად აღარ გააჩინოს საკუთარი სხე.

ლუკი პირანდელომ და დავით კლიაშვილმა სხვადასხვა მასალით, განსხვავებული ეროვნული და ისტორიული საწყისებით დგაჯანსხვის პატარიატორული ყოფის გახრწნა.

დავით კლიაშვილმა დაიანახ რა ცხოვრების ძვილი პირობების გახრწნა, რასაც მოჰყავს მემამულეთა მორალური გადატარება, იქვე შენიშნა ცხოვრების ობიექტური ფაქტორების მოქმედება, რომელიც ადამიანზე გაატარებულან. „პატარა ადამიანის“ თემა შემდეგ განხილვარებას პოულობს „უბედურებაში“. პიესაში ადამიანები ყოველნიანად ცდილობენ შრომის ფერულში ჩაბმას, მაგრამ მინც მარცხდებიან.

თა ეს თვალშეუდგამი წყვედალი, ქართულ დრამატურგიაში რომ შემოქმედდა, შედეგია, უმთავრესად, ქალაქა და სოფელს შორის გამწვავებული ურთიერთობისა. ამ პერიოდის უმეტესი მწერლები დაწერილით აღწერდნენ ქალაქს უსულგულობას პიროვნებისდმი, გვირგვინდნენ, როგორ ქლაპადა ქალაქი პიროვნებას, როგორ უშობდა მას სამოღვაწო ასპარეზს და ერთი ხსნას სოფელში ებედნენ. დ. კლიაშვილის გმირებიც ქალაქში მდიან, ლუკანა პორისთვის ფაბრიკა-ქარხნებს მიაშურებენ, მათამ იღებდნენ ძროხურად და ფიციკურად დამახასიათებელი ბრუედებიან.

თუ პირანდელოს გმირთა ტრაგედია იმანია, რომ ღირსების უკან დაბრუნების უნარი არ გააჩნიათ, ამ შემთხვევაში კლიაშვილის ინდივიდუალობის აღდგენა, დ. კლიაშვილის პირანდელოს ეს უკვე აღარ აწუხებთ. ისინი ცხოვრების მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია და მათ მთავარ საზრუნავს არსებობის შენარჩუნება წარმოადგენს და არა ღირსების დაბრუნებაზე ფიქრი. ასეთ სიტუაცია ადამიანი მიჰყავს ან სიცილომდე, ანდა ახალი ცხოვრების დაწყების შეგნებამდე (ირინეს გამოფხიზლება, ტუფა ბრძოლის აუცილებლობის შეყნებას ზღერაზღე დღას. „უბედურებაში“ აქტიურად გმობენ ნუკუსისკენ). დ. კლიაშვილის პერსონაჟები მოქმედების მიჯანსათან არიან ნისუში, ერთად იკრიბებიან, ფიქრობენ, როგორ მოიქცნენ, შექმნიან მდგომარეობას თავი როგორ გარანებან.

თუ დ. კლიაშვილმა ფსიქოლოგიურად მოამზადა პერსონაჟები, უსლვა დადანიშნო მოქმედებისაკენ უნიჭა მათ.

ამით აიხსნება, რომ ძლიერი ინდივიდუუმის პიროვნულ შესაძლებლობათა თანდათანობითი შეზღუდვის პროცესა და სოციალური გარემოს მიერ პიროვნებაში მოქმედებისა და აქტივობის ჩახშობა როდი გადაიქცა ქართული დრამატურგიის თემად, როგორც ეს დასავლეთში მოხდა, არამედ, პირიქით, ამ პერიოდის დრამატურგია დადებითი იდეალის დაუსტრომელი ძიებით, ქვეყნის სამოქალაქო-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისწრაფებით ხასიათდება.

დავით კლდიაშვილი, რომელმაც თავის პიესებში მთლიანად შეითვისა ახალი დრამის იდეები და ფორმები, ქართულ დრამატურგიაში დარჩა ერთადერთი, თავისებურ და სრულიად დამოუკიდებელ ფიგურად. მისი პიესებისათვის დამახასიათებელია შინაგანი მოქმედება, უჩინარი დინება და მრავალფეროვანი ქვეტექსტი. მის პიესებს ტრა-

გიკომიკური სტრუქტურა აქვთ, რის გამოც ისინი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფსიქოლოგიურ დრამებად უნდა მივიჩნიოთ.

დავით კლდიაშვილის მიგნებული „ახალი დრამის“ ფორმები დაკავშირებული იყო მოგვიანო ბურჟუაზიულ ეპოქაში დადგნილ და ამ ეპოქის მიერ დამოწმებული პიროვნების ხასიათთან, მაგრამ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პირობების გავლენამ, რაც გამოიწვია საზოგადოებრივი ფორმაციების სწრაფმა ცვლემებდამ, მითითოვა ახალი გმირი. დაკაბლბული ინდივიდუუმის შესაცვლელად მოვიდა მოქმედი გმირი, გმირი-შემოქმედი, სოციალური სიტუაციის გარდამქმნელი. ბუნებრივია, დავით კლდიაშვილის შემოქმედებამ ვერ მიახსნო ტრადიციულ ქვეუღიყო. მწერალი თითქოს ჩაიკეტა, განაგრძობდა და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ დრამატურგიაში.

## ქართული პესიკალური ხელოვნების მსახური

ანდრო თევზაძე



თხუთმეტი წლის წინ ქართველი ლიტერატორთა და ხელოვნათა პლეადას უდროოდ გამოაკლდა თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა კაშმაძე. ქართულმა ინტელიგენციამ დაკარგა მკვნიებარე პატრიოტი და სამაგალითო მოქალაქე, ქართულმა საოპერო ხელოვნებამ — ერთგული მემატანე, გამოჩენილ მუსიკოსთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესანიშნავი ბიოგრაფი.

შალვა კაშმაძე დაიბადა 1904 წლის 15 სექტემბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში. იგი ახალგაზრდობიდან გატაცებული იყო ერთგული კლასიკური ლიტერატურითა და პოეზიით. 18 წლისამ ლექსებით დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. წერდა ჯერ შალვა სულორისპირელის, ხოლო შემდეგ სოლოურგანის ფსევდონიმით (ეს უკანასკნელი მდინარეების — სულორისა და რიონის სახელთა თავისებური შეჯერებითაა მიღებული. სოფელი ბაში მდებარეობს კოლხეთის ველზე, სადაც მდინარე სულორი ერთვის რიონს). 1927 წელს შ. კაშმაძემ პოეტ ვანლერ დისელთან (გლადიმერ ბაბუაძე) ერთად გამოსცა ლექსთა პირველი კრებული „გული და დღეები“. შემდეგ ზედითედ გამოსცა ორი კრებული — „ატლანტიდა“ (1927) და „შემოდგომიდან ქარიშხალამდე“ (1928).

სიტაბუკეში შ. კაშმაძე განიციდა

გაბატონებული დეკადენტური მიმართულებების, სახელდობრ, დადიანის დიდ ზეგავლენას. ამიტომაც დღეს ამ ლექსებს დაკარგული აქვთ მხატვრული ღირებულება, თუმცა მათში მაინც იგრძნობა ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი მუსიკალობა და პოეტური ტემპერამენტი.

შალვა კაშმაძეს განსაკუთრებით იზიდავდა ქართული მუსიკალური ხელოვნება, გატაცებით სწავლობდა გამოჩენილ მუსიკოს-მოდერნისტებს — ვერბა-შემოქმედებას. ამ შეუნელებელმა ინტერესმა უკარნახა მას ქართული საოპერო ხელოვნების მატთან შესწენა. ასე ვახდა იგი ერთგული საოპერო ხელოვნების ისტორიკოსი. შალვა კაშმაძეს შეიძლება ქართული მუსიკალური კულტურის იონა მენურგია ვუწოდოთ.

შალვა კაშმაძეს, როგორც უღარიბესი გლეხის შვილს, საკუთარი შრომით მოუხდა გზის გაკაფვა. ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა და მუშაობა დაიწყო რკინიგზის სისტემაში სხვადასხვა სამუშაოზე თუ ტექნიკურ თანამდებობებზე. ამასთან დაუსწრებლად სწავლობდა ა/კ რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში. წლები მანძილზე მუშაობდა რკინიგზის კანტორებში მდივნად, ინსპექტორად, ცკონომისტად, მასწავლებლად, მთარგმნელად. ამავე დროს ლიტერატურულ მოწოდებასაც არ დალატობდა — 1940 წელს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის დაბაების 50

წლისთავისადმი მიძღვნილი მისაპოემა „ორი შეხვედრა“, ხოლო 1941 წელს — ისტორიულ-ლიტერატურულ ნარკვევი „ლევ ტოლსტი და საქართველო“.

ამის შემდეგ კაშმაძემ სარდაქციო-სახელოვნო დაწესებულებებში განაგრძო მუშაობა. დიდხანს იმუშავა ლიტმუშაკად, მთარგმნელად, რედაქტორად საქართველოს დეპუტათა სააგენტოში. ერთხანს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სალიტერატურო ნაწილს განაგებდა. 40-იანი წლებიდან იგი მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მუშაობას. მისი მოღვაწეობის ძირითადი თემა ქართული საოპერო ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედება გახდა.

ქართველმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად შეაფასა შალვა კაშმაძის ბიოგრაფიული ნარკვევი დიდი ქართველი მომღერლისა და აქტიორის ვანო სარაჯიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა (1947, 1957, 1962 წ. წ.).

ხალხმა ასევე შეიყვარა შალვა კაშმაძის ნაშრომი ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მისი უკვადავი ქმნილებების ქართულ და რუსულ სცენებზე დადგმების შესახებ (1947 წ., 1948 წ.).

მართალია, შალვა კაშმაძე არ იყო პროფესიონალი მუსიკისმცოდნე, იგი არ ფლობდა მუსიკალური ანალიზის სპეციფიკურ მეთოდებს, მაგრამ პოეტურად აცოცხლებდა ქართ-

ველ მუსიკოსთა ცხოვრებას. მხატვრულად გადმოსცემდა ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის მომხიბვლელ მხარეებს...

დიდის გატაცებითა და ცოდნით არის დაწერილი შ. კაშმაძის მონოგრაფია ქართული ვოკალური ხელოვნების დიდოსტატის ვანო სარაჯიშვილის ღირსეული პარტიზონის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სანდრო ინაშვილის შემოქმედებაზე (1948, 1957 წ.წ.).

შალვა კაშმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომი — „ქართული ოპერის ისტორიის“ ორტომეული, რომელშიც ქრისოლოგიური წყაროების მითითებით, ვიცვალადა გაშუქებული ქართული საოპერო ხელოვნების ჩასახვა-განვითარების რთული პროცესი. დოკუმენტური სიზუსტით არის აღწერილი თბილისის საოპერო თეატრის ცხოვრება საბჭოთა პერიოდში.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორასამდე საკაზეთო სტატია ქართული მუსიკის მოღვაწეებსა და მუსიკალური ხელოვნების მთელ რიგ საკითხებზე.

შალვა კაშმაძე — ეს კეთილშობილი და გულმართალი ადამიანი მოულოდნელად გარდაიცვალა 1955 წლის 12 ავისტოს შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში. მას გამოუქვეყნებელი დარჩა ორი რომანი „ციხფერია სისხლი“ და „მზე აღმავალი“, ლექსები და მრავალი მოთხრობა.



ზნეშქმარ შორეულივით ვიციწყებთ ხოლმე სწორედ მას, ვინც მეტისმეტად ახლობოლია...

„მის დამსახურებას ხშირად იხსენიებდნენ სადღევრძე-ლოვებში, მაგრამ უფრო ბედნიერი იქნებოდა სიცოცხლეში-ვე გაეგო, თუ რას წაიკითხავდნენ მის შესახებ მომავალი თაობებიც. ჩვენ ხშირად უმართებულად ძუნწები ვართ ცოცხლების მიმართ და დავეიანებულნი სინანულით ვაფა-სებთ წასულებს...“ — გულსტიკივლით ნათქვამი ეს სი-ტყვები, უდროოდ გარდაცვლილი ანაგდარი მეგობრის — არჩილ ანჯაფარიძის შესახებ, ვკუთვნი ალექსანდრე გუ-რგენაძეს, რომელიც კარგა ხანია თვითონაც იმსახურებს მომავალი თაობისათვის მისაწვდომ გულთბილ სიტყვებს...

ალექსანდრე გურგენაძე...  
ვინც მას იცნობს, ეს სახელი და გვარი მისთვის საკ-მაოდ ბევრის მოქმელია...

ის კი, დამსახურებული და გულმართალი, ზნემაღალი და პირდაპირი, ვაკაცურად მიაზიჯებს თავისი ნახევარ-საუკუნოვანი ცხოვრების გზაზე და არავიგან საჭიროებს ქაითინაურებას და შეღავათებს. თავადაც მკაცრი ივრით ხვდება ხოლმე ქაითინაურებას თუ მოწყალებას ჩვეულ უსა-ქმურებს, რადგან ყველასაგან საქმისადმი მისებერ პა-ტიოსან დამოკიდებულებას მოითხოვს.

ეს ათლეტური, საშუალოზე ცოტა მაღალი ტანის, ძარ-ღვიანი და ყოველთვის ფაჭიზად ჩაცმული მამაკაცი, შვე-გერმანი, მოხდენილი, სანდომიანი სახე რომ აქვს, პირველ-ლი შეხვედრისას მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტო-ვებს, მაგრამ საკმარისია ახლო გაეცნოთ და შეუძლიბე-ლია, სამუდამოდ არ მოგხიბლოთ მისმა არაჩვეულებრივმა გამგებინაობამ, სიკეთის უნარმა და ფარულმა გრძნობიერ-ებამ, მისმა იშვიათმა, მაგრამ ბავშვურმა ღმიმობამ. კი-დეე ერთი დამახასიათებელი რამ: ამ კეთილშობილ კაცს, ისევე, როგორც ყაზბეგის ხევისბერს, მზე და მთვარე თავის შვილებზე ამოსდის, მაგრამ გარეგნულად ძალიან ცოტას ამჟღავნებს. შეილებს სპარტანული ზომიერებით ზრდის და ზედმეტი ალერსით არ ანებივრებს. რა გასაკვირია, თუ ასე-თივეა იგი მეგობრებისა და ამხანაგების მიმართაც. სამა-გიეროდ, მორიდიდებულ პირდაპირია ყოველივე არაადა-მიანურისადმი და უაღრესად გულსხმივრი გამეითხავია გასაჭირში მყოფი, გულმართალი ადამიანების მიმართ.

ოთხი ათეული წლის წინ თავისებური „ჯადოსნური ლა-მარის“ შექმნაზე მეოცნებე ათილდე წლის ფოთელი ყმაწვი-ლი — საშა გურგენაძე მომავალში შეიძლება მართლაც ერთ-ერთი პირველი გამომგონებელი გამხდარიყო აპარა-ტისა, რომელსაც მსოფლიო თავის დროზე „სინემატოგრა-ფის“ სახელით იცნობდა, მაგრამ არათუ ყმაწვილი, ზოგ-ჯერ მოწოდული ადამიანიც კი საუკეთესო დროს კარგავს ისეთი გეგმების შედგენაზე, რომლებიც ან უკვე განხორ-ცილებულია, ან ვერასოდეს განხორციელდება. სიმართლე რომ ითქვას, საშა გურგენაძეს უშედეგოდ დრო არც სიყ-მაწვილში დაუკარგავს. ისიც მართლაც, რომ უკვე ძა-ლიან შორეულ წარსულში ჰქონდა თავისი რეალური ნია-დაგი იმ კინოტექნიკურ გამოგონებას, რაზედაც ყმაწვილი ოცნებობდა და ძმებმა ლიუმერებმაც ორი ათეული წლით



ალექსანდრე გურგენაძე

# პეკანისტვის — პეკანს პილა

გივი ბარამიძე



„დასწრეს“ მისი განხორციელება. მაგრამ კაცობრიობა-ს ამ უდიდესი მონაპოვისათვის ა. ჯურგენაძის საკუთარ გამომცემლობის არაფერი დაუკლავა, შემატებით კი ბევრი შემატა, თუნდაც იმე, რომ მისმა ყმაწვილურმა ოცნება-მ ფრთები შეიხსა, როცა უკვე სპეციალური განათლების მქონე ჭაბუკმა თვალსაჩინო წიგნელი შეიტანა მშობლიურ ნიდაღზე კინოტექნიკური მიღწევების პრაქტიკულად და-წერგავში.

ეს ზნა, თავის მხრივ, მეტად რთული და თავიებური აღმოჩნდა. მისი მოურიდებელი და გულმართალი პირდა-პირობაც ხომ ცხოვრების ამ დუღილში განმტკიცდა. სა-შუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, ის იყო წარმატებით მოწვეუი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომ თერამეტი წლის ჭაბუკი საბჭოთა არმიის რი-გებში გაიწვიეს. ომაც იქ მოუსწრო. რა არ განიცადა, რა არ ნახა... ეს მთელი ისტორია, რომელიც ამ პატარა წერილობით შეიძლება მხოლოდ ორიად სიტყვით აღინიშ-ნის: 1939-1946 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში (რადიოშუქრის უფროსად), ომის რთული ზნა მამაცურად განვიდა, რისთვისაც ღირსეულად დაიმსახურა მედლით „საბრძოლო მამაცობისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“ და „ფაშისტურ გერმანიის ჯამარჯვე-ბისათვის დიდ სამამულო ომში“.

1946-1951 წლებში იგი კიევის კინოინჟინერთა ინს-ტიტუტში სწავლობს და იქნის ინჟინერ-ელექტროსის პროფესიას, რის შემდეგაც ბრუნდება სამშობლოში და ნა-ყოფიერ მოღვაწეობას იწყებს კინემატოგრაფიის სისტემა-ში. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სსრ კინოფიკაციის სამმართველოს ინჟინრად, პედაგოგად კი-ნომტეხნიკოსთა სკოლაში, უფროს ინჟინრად კინოფიკა-ციის სამმართველოში, კინოფიკაციის სამმართველოს უფ-როსის მოადგილედ და მთავარ ინჟინრად, კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ხოლო ამჟამ-მად კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოტე-ქნიკის სამმართველოს უფროსია.

მარტო ეს მონაცემებიც შესანიშნავად ადასტურებს მის დიდ და მსახურებას. ამ თანამდებობებზე ყოფნისას გაწეუ-ლია განუსაზღვრელი შრომა, რომლის ნაყოფიც წარმა-ტებით ხმარდებოდა და ხმარდება მშრომელთა კინომომა-ხურების დიდ საქმეს.

ვინ არ იყის, რომ კინოხელოვნება, მასების ეს აყველა-ზე მნიშვნელოვანი ხელოვნებაა კერანიდან არ იწყება. ეგრანს მიღმა წარმოებს ეგრანისათვის მზადების შემოქ-მედებით პროცესი, მაგრამ ეგრანისთვის ეგრანს მიღმა წა-რმოყის თვით ამ ხელოვნების ნათესაყოფად აუცილებელ-ლი ტექნიკური ათვისების პროცესიც. ხელოვნების ყოველი დარგიდან კინო ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ტექნიკასთან. კინოტექნიკის განვითარებასთან კავშირშია არა მარტო ფილმის შექმნა, არამედ უკვე შექმნილი ფილ-მის მასურებლამდე მიტანაც. საუკეთესო ფილმიც კი საკ-მაოდ ცუდად შეიძლება ათვისის მასურებელმა, თუ კი-ნოთეატრი არ იქნა აღჭურვილი სათანადო კინოტექნიკური მოწყობილობით.

კინოტექნიკის მკოდნე პროფესიონალი სპეციალისტები ჩვენს რესპუბლიკას, სამწუხაროდ, ჯერ ისეც თითზე ჩამო-სათვლელი კყავს. აღვესანდრე გურგენაძე ერთ-ერთი თვა-ლსაჩინო პროფესიონალია, რომლის უშუალო ხელმძღვანე-ლობით უკვე ოცი წელია რესპუბლიკის კინოტექნიკა არა ერთი მნიშვნელოვანი კინოტექნიკური სიაზე ინერგება. თუნდაც ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის კინოტექნიკი აღინი-შნულ პერიოდთან შედარებით საგრძობლად გაიზარდა კი-ნოთეატრებისა და კინოლანდარების რაოდენობა, ამაღ-ლდა ჩვეულებრივი, ფართოგერანიანი, ფართოფორმატიანი კინოთეატრების ტექნიკური მოწყობილობისა და მისი გა-მოყენების ხარისხი, ამაში აღვესანდრე უკუგენაძეს მეტად თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უაღდური პროფესიაყაა. კაცი, რომელიც ამდენს ზრუნავს და აკეთებს, ეგრანზე არ ჩანს, არც მის გეგმის კითხვულზე ტიტრებზე, მაგრამ რაც უფრო სასიამოვნოა ნახსიათა და განსჯენით მიღებული შეთავაზებებიც მა-ყურებლებისა, მით უფრო დიდაი იმ „უჩინარი ადამია-ნების“ სიხარულიც, ეგრანს მიღმა რომ მოღვაწეობენ თა-დაუშოვავად. უნდა ნახოთ, რა აღმფთვებასა და გულის-ტკივნის გამოხატავს ხოლმე საშა, როცა საქმისათვის არ კმარა მხოლოდ ინდივიდუალური მოღვაწეობა, აქ კადრების მთე-ლი არშიაა საჭირო და საშა ამ საქმეშიც არჩვეულებრივ ინიციატიობას იჩენს.

საწარმო-ტექნიკური სწავლების ისეთ ძირითად ბა-ზას, როგორცაა სპეციალური სასწავლებელი—კინომტეხნი-კოსთა სკოლა (დირექტორი მამია მოსიძე), რომელიც ყო-ველწლიურად ასამდე კვალიფიკურ-კინოტექნიკოსს, კი-ნოთეატრის ტექნიკურ ხელმძღვანელს, კინომტეხნიკოსს, მონტაჟიორს აზსადებს, არასოდეს არ აკლია საშა გურგე-ნაძის მზრუნველი ხელი. ვარდა ამისა, თბილისში არსე-ბობს აგრეთვე კინოტექნიკური კაბინეტი (უფროსი კინო-ტექნიკოსი ვივი გოციანიანი), რომელიც უშუალოდ გუ-რგენაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა და სულ რაღაც რვა წლის განმავლობაში არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მომხე რესპუბლიკების კინოსპეციალისტთა და კი-ნომოყარულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. კინოტექნი-კური კაბინეტის ხელმძღვანელად უწყევს საქმთან დახმარებას კინოტექნიკი მომუშავე ტექნიკურ პერსონალს. საკვალიფი-კაციო გამოსცემები, ლექციები, სემინარები, კონსულტა-ციები, ახალი საექსპონატო ტექნიკური მასალები... ყო-ველივე ამას ისეც და ისეც ა. გურგენაძის აქტიური ხელმ-ძღვანელობა სჭირდება.

ის კი, დამსახურებული, ზნებდალი და პირდაპირი, კვლავინდებური ვაჟაკური შემართებით მიაბიჯებს თა-ვისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების გზაზე და... თავის-თავად მეტყველებს მის შესახებ ეგრანს მიღმა ეგრანის-ვის მის მიერ გაწეული დიდი ამბიცი.

# თ ა მ ა რ ზ ა ვ ზ ა მ ა მ ა

## ნინო შენავირაძე

ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი — თამარ ქვეკვიციანი საბჭოთა ხალხისთვის კარგად ცნობილი მსახიობია. მან რეალისტურ ტრადიციებთან შეიძინა კავშირი შვეიცარიის ხელოვნებაში. მისი თეატრის მხატვრული პრინციპები და ნაწილობრივ სახეობის განვითარება გულწრფელად ემსახურა ხალხს. მისი მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელზედაც საბჭოთა ქართული თეატრალური სკოლის არა ერთი თავისებურება გამოვლენილია.

თამარ ქვეკვიციანი ეკუთვნოდა იმ ძლიერ და შესანიშნავ პლადანს, რომელიც XX საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო მოღვაწეობა და დღესაც ამშვენებს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ძირითადი, რამაც წარმოაჩინა თამარ ქვეკვიციანის შემოქმედება, იყო საგმირო რეალისტური რეალიზმი. დიდი ნიჭი და ცხოვრებისეული სიმართლის გრძობა იცავდა მას ეპოქისთვის, მულტი-დრამატული შტამებისა და ცრემლიანი სენტიმენტალიზმისაგან. მან მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ატარა თემა სულიერი ძიებისა, სევდარუნული და სიძულვილიანი მტკივნეული ადამიანებისა. ეს გმირები პროტესტანტები არიან, იბრწვიან, განიცდიან, თავს არ ზრიან უბედურებისა და სიძულვილის წინაშე, ინარჩუნებენ სულიერ სიღამაზე. მსახიობი უმდერდა საგმირო საქმეებს, — ხან თავისუფლების უსახვარო სევდარუნს, ხანაც ვეჯკაციური ომებისათვის იმადლებდა ხმას ბოროტების წინააღმდეგ. იგი თავის გმირებში ეძებდა მაღალ ადამიანურ თვისებებს და პოულობდა კიდევაც საშუალებებს შაი სწორი წარმოსახვისათვის. თამარ ქვეკვიციანის მდიდარი მონაცემები — ღრმა განცდა და ძლიერი ხმა, იზიჯით იდიდებულა და უდრეკი სული, მუდმივ მთლიანობაში იყო. მისი შემოქმედების ძალა ცხოვრებისა და სულიერი ინტერესების სიღარიბეში მდგომარეობდა, ხოლო შემოქმედებითი სახე — გმირის სრულყოფილებისაგან მისწრაფების ცოცხალი მაგალითი გახლდათ. მისი ბოჰოქარი ტემპერამენტი, ამაღლებული პათეტიკა აქადებდა მათეურებულ რამდენი ძალა, ღირსია, აღიარებულა და აღმოაჩინა იყო მის კი-თხეში. მის მიერ წარმოქმნილი ნამდვილად ქართული ფრაზა ცხოვლად აღწედა აუღიტირამდე. სიტყვის უზადო ოსტატი იყო ეს მაღალმოსილი მსახიობი. მისი სახით მათეურებელი სცენაზე ხედავდა ძლიერ, ცოცხალ ადამიანს. თამარი განწვეულებული ცხოვრობდა სცენური სიცოცხლით, სცენაზე იმყოფებოდა არა ამოკლებულად, არამედ პარტნიორთან ურთიერთობების ძიებით. სუსტი იყო იქ, სადაც უნდა განსახიერებია უსანო, უსულგლო როლი, ძლიერი — იქ, სადაც მაღალმხატვრული ნაწარმოების სცენურ სახედ გარდასქმნილად ხარკავდა თავისი შესაძლებლობების ნამდვილ მასშტაბებს.

თამარ ქვეკვიციანის გმირული, კეთილშობილური, ნათელ და ჭეშუმური ხელოვნება მოხავდა ტრაგედიული ტემპერამენტი და შინაგანი ემოციური პათოსი, რაც დიდად ემსახურა მსახიობის ტრაგედიას და ძლიერ დრამატულ პიესებში მონაწილეობაში. მაგრამ მას ასევე შეეძლო დიდებული ყოფილიყო კომედიურ ხასიათებშიც.

ისეთ ხელოვნათა ხელმძღვანელობით და პარტნიორობით, როგორებიც იყვნენ კოტე მარჭანიშვილი და სანდრო ამბებელი, აკაკი ფაღავა, ვასო ყუბიტაშვილი, დილო ანაძე, უშანგი ჩხეიძე და ვერიკო ანაფაჩიძე, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, დაიწყო მან სცენაზე სინამდვილის სწორი აღქმა, ისწავლა ხელოვნების საფუძვლები — რეალური სინამდვილის დანახვა.

ნათელი სიცოცხლის ტრფილით სახე ამ მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვება არ იყო შედეგი მხოლოდ მისი ნიჭიერებისა, არა, ეს იყო კიდევ ერთი მიღწევა იმ მხატვრული მიმართულებისა, რომელიც კოტე მარჭანიშვილმა და სანდრო ამბებელმა დაუწყეს ქართულ საბჭოთა თეატრს. ეს იყო მიღწევა საგმირო რეალისტური ხელოვნებისა.

### ჭ ა ვ ზ ა მ ა მ ა ნ ი მ ე ქ შ ა რ ა ლ შ ი

„ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე შვეინიერი კახეთის სოფ. ყვარულში, იქ, სადაც ირწეოდა აყვანი ორი დიდი საზღაგო მოღვაწისა — საქართველოს მესაიდუმლე, დიდი პეტრის ილია ქვეკვიციანისა და სცენის დიდი ოსტატის კოტე მარჭანიშვილისა“.

### თამარ პავლავაძე

სოფელ ყვარულში დღესაც მდიდრად გაღაპურებს ღამუნის ველს მველი, ასწლოვანი კალის ბებიით, ფანატურებით და დიდი ბალი დამშვენებული კარმიდამო. იქ მდგარი დიდი ორსართულიანი ქვის სახლი, რომელსაც ირაველი მიჰყვება განიერი, ღია აივანი, მთავრდებოდა ღამაში, მაღალი, მრგვალი კოშკით. ამ უანასწელთან ქვედა სართული დაკავშირებული იყო ქვის გრძელი კიბებით.

ასეთი კოშკები დღესაც შემორჩენია აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი გარდასულ დღეთა უტყვე მოწმენი არიან. ცნობილია, რომ XVIII და XIX საუკუნის პეტრე ნაზვარუდი ხშირი იყო ღვთისთაგანს კახეთის სხვანდახვა სოფელზე და ასეთ კოშკებს თავშესაფრად აგებდნენ.

ეს კარმიდამო კახეთის მდიდარ მემამულეს, თავად გიორგი ქვეკვიციანს ეკუთვნოდა. სტუმრისთვის მუდამ ღია კარი, გულუბრი მასპინძლობა და იმდროინდელ მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან სიახლოვე ამშვენებდა გიორგი ქვეკვიციანის და თამარ ვახუშაშვილის ოჯახს, რომელიც მტკიცედ იცავდა ქართულ ტრადიციებს.

შიდ და-ძმობაგან განსაუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა გიორგი ქვეკვიციანის უფროსი შვილი ირაკლი, რომელიც მამამ განათლების მისაღებად იარსლავლი, იუნკერთა სასწავლებელში გაგზავნა. სამი კლიშვილიდან ერთი ვენერალ მავაზიშვილს გაყვა ცოლად. მეორე — ქართული თეატრის რომანტიკული სკოლის დამაარსებლის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ძმის, სარდიონის მეუღლე იყო, მამამ კლიშვილმა ნინომ არა ერთი მნიშვნელოვანი როლი განასახიერა რუსთაველის თეატრის სცენაზე და ასევე არანაკლები მნიშვნელობის მეგობრობა გაუწია ქართული საბჭო-

თა თეატრის ერთ-ერთ ფუნქციონერს, სახელგანთქა მსახიობ აკაკი ხრავას.

დიდად გაიხარა გიორგი ჭავჭავაძემ, როდესაც მისი უფროსი ვაჟი ირაკლი თავისი დროისათვის ყარაგად განთავსებული და მოწინავე ამპონის, საქართველოს ენციკლოპედიის მოდერნის რომან ჭავჭავაძის შვილიშვილზე გიორგი მავაშვილის მშვენიერ ასულ ელენეზე დაქორწინდა.

მართლაც, ემზი და მომხიბვლელობა თავისებურ კოლორიტს აძლევს მედეას გარეგნობას, ხმასა და სიმღერას. უზილაეი „ნაპერწყლის“ თრთოლა უმაღვე მიგვანინებებს მისი ბუნების მგრანობიარე წყობაზე. სწორედ აქედან მომდინარეობს ის თავისებური ემოციური მღელვარება, რომელიც მედეას ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. მისმა მოუსვენარმა გულისთქმამ სიმღერაში კპოვა გამოსავალი. როდის მიავნო მას? ზუსტად არც იცის. აღარც თავისი „დებიუტი“ ახსოვს. თუმცა მედეას პირველი „კონცერტის“ თარიღი უგზო-უკვლოდ მაინც არ გამჭრალა. ახლობლების მესხიერებაში რელიქვიად იქცა პირველი წარმატების მოგონება. მამინ თოხი წლისა ყოფილა მედეა; მათი ოჯახი ბორჯომში იმყოფებოდა. სამამულო ომის მძიმე ვითარება არღვევდა ამ თვალწარმატაცი კუთხის მყუდროებას. სასტუმრო „ბორჯომის“ მოპირდაპირე მხარეს პოსპიტალი იდგა. დაჭრილი მეომრები განკურნების მოლოდინში ატარებდნენ ნაღვლიან დღეებს. იგრძნო მედეამ — სიმღერა მათთვის შვება იქნებოდა. იაზრა — ხელსაყრელი განლაგება სამსახურს გაუწევდა. სასტუმროს აივნან გაიხადა სცენად, ლამის პერანგი — საკონცერტო კაბადა, მეომრები — მრავალრიცხოვან აუდიტორიადა.



და აი, გაისმა მაშინ ძალზე პოპულარული და თავისი შინაარსით თანადროული სიმღერაც „ნელი დამეში“. ნაზი და თბილი იყო „მომღერლის“ ხმა. მიწყდა სვედანიან ქან-გები და შეიძრა არემაზე. „მასურებელთა დარბაზიდან“ მქუხარე ოვაციამ იფეთქა. მასინ პირველად შესძახეს მას მხურვალე „ისი“. „მომღერალი“ თავმოქონდა ხრდადა თავს. იქნებ იმ დღეს გადაწყდა მისი ბედი? აბა რა დაა-ვიწყებთ ამ „დებიუტს“?

მას შემდეგ მედვას ჩვეულებად გაუხდია ასეთი ექსპრომ-ტები. მღეროდა მუდამ — სხვებთან და თავისთვის. მის სიმღერას ყოველთვის ათბობდა მუსიკალობის ფაქიზი გრძნობა. მღეროდა ყველაფერს — რასაც ყურს მოჰკრავდა. იზრდებოდა... თანდათან ხეწყვედა, აღრმავებდა თავის სიმ-ღერას.

თავისით მოვიდა მასთან სვედა და იმედი, ღლევა და ოცნება. ვის გაანდობდა განცდას? ისევ და ისევ სიმღერას, მხოლოდ და მხოლოდ მას. თავისით მიავით ახლობელ სიმ-ღერებს, მიავნო ფერებს და ნიუანსებს, მიავნო სიმღერის თავისებურ მანერას — მგრძნობიარეს და მღელვარეს...

და აი, ფართო აუდიტორიასთან შეხვედრის დღეც დად-გა. ეს მოხდა უცხო ენების ინსტიტუტის მხატვრული თვით-მოქმედების ერთ-ერთ კონცერტზე. აქედან იწყება მედვა ძიძიგურის არტისტიკული ბიოგრაფიის წელთაღრიცხვა. წა-რუშლელ მოგონებად დარჩა ის გასაოცარი საღამო, რო-მელმაც სრულიად ახალი ემოციების სამყაროში შეიყვანა მომღერალი. მასინ პირველად განიცადა მედვამ ის თავისე-ბური ზეაწეული განწყობილება, რომელიც მხოლოდ სცე-ნაზე იბადება, განიცადა დიდ აუდიტორიასთან პირისპირ შეხვედრით აღძრული მღელვარება, განიცადა ფართო მსმე-ნელთან ურთიერთგაგებით მოპოვებული კმაყოფილება. და განა გასაკვირია, რომ მას შემდეგ აღდამიანებთან დაახლო-ება, მათთან სიმღერით ურთიერთობა მოთხოვნილებად ექ-ცა?

მადლიერებით იხსენებს მედვა უცხო ენების ინსტიტუ-ტის მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელს, ამავე ინსტიტუტის პრორექტორს, სელოენების დამსახურებულ მოღვაწე გიორგი შიოშვილს, რომელმაც გზა დაულოცა ახალგაზრდა მომღერლის არტისტულ კარიერას.

ამ დებიუტმა თავისთავად შეიყვანა მედვა ქართული საესტრადო ხელოვნების ლაბორინთებში. იგი გატაკებით გაკყვა არტისტიკული ცხოვრების მღელვარე დინებას. დღი-თიღე სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა მისი მოღვაწე-ობა — რეპეტიციები, კონცერტები, გასტროლები... გაზ-

შირდა რადიო თუ ტელევიდეოები, გამდიდრდა რეპერ-ტუარიც.

მღელვარედ იგონებს მედვა დაუვიწყარ შეხვედრებს, განსაკუთრებით საბჭოთა ესტრადის გამოჩენილ ოსტატთან ლეონიდ უტიოსოვთან, რომელმაც მოსმენისთანავე ჭკუმა-რიტი მუსიკოსის ინტუიციით შეაფხაა მომღერლის ხმა, ტემბრი, მგრძნობიარე მუსიკალური ბუნება. ჯერ თავის სა-გასტროლო კონცერტში ახლრა, შემდეგ კი სისტემატურ თანამშრომლობაც შესთავაზა.

ასეთი შემთხვევაც ყოფილა — კონცერტის დროს უნ-გრეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელმა პარტერიდან სცენაზე მიიწვია, მედვამ ამჯერადაც მიზიბ-ლა სტუმრებიც.

წარუშლელი მოგონებები აკავშირებს მ. ძიძიგურს სხვა-დასხვა ქვეყნის მსმენელებთან. ქართული მიწის სურნელი ჩაქონდა მას პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიასა და უნგრეთში, ბულგარეთში, ფინეთში, უგოსლავიასა და რუმინეთშიც. უმაღლე უახლოვდებოდა სხვადასხვა ეროვნე-ბის ადამიანებს, წრფელი გულითა და მგზნებარე სიმღერით აბამდა მათთან ურთიერთგაგების ძაფებს. მგრძნობიარედ უძღვროდა უტყობელ თანამედროვეებს სიყვარულსა და ერთ-გულებაზე, სვედასა და ნუგეშზე, მხურვალედ მოუწოდებდა მეგობრობისა და მშვიდობიანი თანარსებობისაკენ, მღელ-ვარედ მოუთხრობდა მათ სინაზესა და სიკეთეზე, ბედნიერე-ბასა და მშვენიერებაზე... ამიტომ იყო, რომ ცნობილი ჩხვი ქართველოლოგი, პროფესორი იერიომირ იედლიკა წერდა: „ჩემს ცხოვრებაში ცისარტყელასავით გაიკვლეეთ, გამომა-ცოცხლეთ და ჩემს მოსუბებულობას რამდენიმე წლის სი-ცოცხლე შემატეთ“.

მაგამ ეს მხოლოდ სუბიექტური შთაბეჭდილებებია. ჩანს, ამავე აზრისანი იყვნენ საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ჟიურის ოფიციალური და ავტორიტეტული პირნიც, როდესაც მას ლაურეატობის დიპ-ლომებს ანიჭებდნენ.

დღეს მედვა ძიძიგური ისევ და ისევ მღერის — ქარ-თულსა და ბოშურ სიმღერებს, საბჭოთა კომპოზიტორების საესტრადო ნაწარმოებებსა და ძველებურ რუსულ რომან-სებს.

ისევ შეუნებლად ეძებს მისთვის ახლობელ სიმღე-რებს, კვლავაც პოულობს მათთვის შესატყვის ფერებსა და ნიუანსებს.

სიმღერა მ. ძიძიგურის ჟინი და ოცნება... ალბათ ამი-ტომ იხეყვება, ღრმავდება და იზრდება მისი განცდაც.



რაფაელი  
ათენის სკოლა (ფრაგმენტი) პლატონი და  
არისტოტელე



**„იონი“** პლატონის შემოქმედების ადრეული პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. ამ პატარა დიალოგში მოცემულია რაფსოდული, ხოლო მის წიად პოეტური ხელოვნების კრიტიკა. „იონის“ მთავარი პრობლემა პოეტური ზეშთავონების პრობლემაა. პლატონი დიდი პათოსით ამტკიცებს და ავითარებს პოეტური ხელოვნების, ირრაციონალურობის სკულკონცეფციას, რომელსაც თავის დროზე აღიარებდა დემოკრიტეც. ამ მხრივ, იდეალისტი პლატონი და მატერიალისტი დემოკრიტე აბსოლუტურად ერთსულოვანნი არიან.

შეთხველს ვთავაზობთ პლატონის **„იონის“ ბაზანა ბრეშვასინელ** თარგმანს.

პლატონი

**იონი**

I

სოკრატე. საღამო იონს საიდან გვეწვი ამჯერად? შენი მშობლიური ეფესიდან ხომ არა?

იონი. არა, სოკრატე, ეფესიდან კი არა, ეპიდაურიდან: ასკლეპიოსის დღესასწაულზე გახლდით.

სოკრატე. განა ეპიდაურლები რაფსოდთა შეგობრს მართავენ ამ ღვთაების პატივსაცემად?

იონი. რა თქმა უნდა: იქ არა მარტო რაფსოდები, არამედ სხვა მუსიკური ხელოვნების მიმდევრებიც ეკიბრებიან ერთმანეთს.

სოკრატე. მერედა, ჩვენც ვასაპერზობდით? ანდა როგორ იასაპერზე?

იონი. პირველი ქილდო ჩვენ დაგვჩა, სოკრატე.

სოკრატე. მომილოცავსი ვინმელო პანათენურ დღესასწაულზედაც გაიმარჯვო!

იონი. თუ ღმერთმა ინება, გავიმარჯვებ, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. რომ იცოდე, იონ, როგორი შურიტ ვუუერებ ხოლმე თქვენს ხელოვნებას, რომელიც გავალებთ დღემუდამ მორთულ-მოკაზმულნი იყოთ და რაც შეიძლება მშვენიერნი ჩანდეთ. გარდა ამისა, თქვენთვის აუცილებელია გამუდმებით ჩაპირკიტებდეთ ბევრ დიდებულ პოეტს, უპირველეს ყოვლისა კი პომეროსს — უყეთესს და უღვთაებრივესს პოეტთა შორის, და, ამასთან, არა მარტო მისი ლექსის მომხიბვლელობის, არამედ მისი აზრის წადომასაც ედილობდეთ. შესაშური ხედვრია სწორედ! რადგან შეუძლებელია, რაფსოდი იყო და არ გესმოდეს, რისი თქმა სურს პოეტს. და მართლაც, რაფსოდი პოეტის აზრს უნდა უმარტავდეს მსხენელო, ხოლო ამას ვერ შესძლებს ის, ვისაც არ ესმის, რას ამბობს პოეტი. მოდი და ნუ შეგვტრდება ეს!



II

იონ ი. მართალს ბრძანებ, ჩემო სოკრატე. უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის ყველაზე ძნელი იყო დავუფიქროვო რაფსოდელი ხელოვნების სწავლა ამ მხარის, თუმცა, ჩემის აზრით, უფლაზე უკეთ მიხვდები შენ განმარტავ მომეროსს, ასე რომ, არც მეტროდორე ლამაზაქელს, არც სტენიომბრატე თასოსელს, არც ვლავკონს და არც სხვა ვინმეს არასოდეს გამოუთქვამს იმდენი საუფრადლემო და სარწმუნო აზრი მომეროსის შესახებ, რამდენიც შენ სოკრატე. მშვენივრად მტყულობ, იონ. ადბათ, არ დაიზარებ და მერც გამახდობ შენს აზრებს.

იონ ი. რატიმაც არა; ღმერთმანი, ღირს იმის მოსმენა, თუ როგორ ვამბობ და ვრთავ მომეროსის, ამიტომ, ვიქორწინო, დაიხად ვიმსახურებ იმას, რომ მომეროდემბა ოქროს გვირგვინით შემემკონ.

სოკრატე. ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მოვიცილო შენს მოსასმენად, ახლა კი ამ კითხვაზე მიპასუხებ: მართო მომეროსი გემის კარგად თუ შესიოდეს და არქილოქეს?

იონ ი. არა, მართო მომეროსი. არ ემთაა ვითომ?

სოკრატე. თუ არის რამე ისეთი, რაზედც მომეროსი და შესიოდეს ერთსა და იმავე ამბობდნენ?

იონ ი. რამდენიც გნებავს.

სოკრატე. შერედა, იმას, რასაც ამბობს მომეროსი, შენ უფრო უკეთ განმარტავ, ვიდრე იმას, რასაც შესიოდეს ამბობს?

იონ ი. თუ ისინი ერთსა და იმავე ამბობენ, ჩემო სოკრატე, მაშინ მე ერთნაირად განმარტავ ორივეს ნაოქვამს.

სოკრატე. იმაზე რაღას იტყვი, რაზედც ისინი ერთსა და იმავეს არ ამბობენ? ავიღოთ, მაგალითად, მისნობის ხელოვნება: ამბობენ თუ არა რაიმეს მისთვის მომეროსი და შესიოდეს?

იონ ი. რა თქმა უნდა.

სოკრატე. კი მაგრამ, ვინ უკეთ განმარტავს იმის მსგავსებას თუ არამსგავსებას, რასაც ის ორი პოეტი ამბობს მისნობის სათვის. — შენ თუ რომელიმე ბრძქნი მისანი?

იონ ი. რასაკვირველია, მისანი.

სოკრატე. შერედა, შენ რომ მისანი იყო, შესძლებდი თუ არა განმარტა ის, რასაც ისინი სხვადასხვანაირად ამბობენ, რაკილა შეგიძლია მათი ერთნაირად ნაოქვამი განმარტო?

იონ ი. ცხადია, შევძლებდი.

სოკრატე. კი მაგრამ, რით იხსენბა ის, რომ შენ კარგად გემის მომეროსი, მაგრამ არა შესიოდეს, არ რომელიმე სხვა პოეტს? განა მომეროსი იმასვე არ ამბობს, რასაც ამბობენ სხვები? განა მომეროსი უმეტესწილად იმის ამბებსა და კეთილ თუ უკეთურ, უბირ თუ გაბრძნობილ კაცთა ურთიერთობას არ აგვიწერს, ან კიდევ ღმერთების დამოკიდებულებას როგორც ერთმანეთის, ისე კაცთა მიმართ? განა ისიც არ გადმოგვცემს, რა ხდება ზესენელსა თუ ქვესენელში, ანდა ღმერთებისა თუ ნახევარღმერთების დაბადების ამბებს? რა არის მომეროსის პოეზიის სავანი, თუ არა ყოველივე ეს?

იონ ი. მართალს ბრძანებ, ჩემო სოკრატე.

III

სოკრატე. დანარჩენ პოეტებზე რაღას იტყვი? განა ისინიც ამავე საგანზე არ ლაპარაკობენ?

იონ ი. ლაპარაკობენ კი ლაპარაკობენ, მაგრამ მომეროსისივით როდი ლაპარაკობენ.

სოკრატე. მაშ, უარესად?

იონ ი. გაცილებით უარესად?

სოკრატე. მომეროსი კი უკეთესად?

იონ ი. უკეთესად; ვფიქვან შენს.

სოკრატე. ერთი თუ მიიზარა, ჩემო ძვირფასო იონ: როცა ბევრი ლაპარაკობს, ვოკეაო, რიცხვზე, ხოლო ერთი უკეთ ლაპარაკობს,

რაკობს, ვიდრე დანარჩენი, გაარჩევს თუ არა ვინმე ამ უკეთ მოლაპარაკეს?

იონ ი. მე მგონია, გაარჩევს.

სოკრატე. კი მაგრამ, ვინდა გაარჩევს დანარჩენი — თვით ეს უკეთ მოლაპარაკე თუ ვინმე სხვა?

იონ ი. რა თქმა უნდა, თვით ეს უკეთ მოლაპარაკე.

სოკრატე. შერედა, ვინ იქნება ის, თუ არა არბოიტეტულ ხელოვნებას ზედმიწევნით დავუფიქროვო?

იონ ი. რასაკვირველია.

სოკრატე. ხოლო როდესაც ბევრი ლაპარაკობს, რომელი საშემლი უფრო მარგებელია, და, თანაც, ერთი ყველაზე უკეთ ლაპარაკობს, როგორ გგონია, უკეთ მოლაპარაკეს ერთი კაცი გაარჩევს და ცუდად მოლაპარაკეს — მეორე, თუ ერთი და იგივე კაცი გაარჩევს ორსავე მათგანს?

იონ ი. ცხადია, ერთი და იგივე.

სოკრატე. მაინც ვინ? რას უწოდებთ მას?

იონ ი. ექმის.

სოკრატე. მაშ, დავასკვნით: როდესაც ბევრი ლაპარაკობს ერთსა და იმავე საგანზე, ერთი და იგივე კაცი გაარჩევს ყოველთს, ვინ ლაპარაკობს კარგად და ვინ — ცუდად, ხოლო ის, ვინც ვერ გაარჩევს ცუდად მოლაპარაკეს, ცხადია, ვერც კარგად მოლაპარაკეს გაარჩევს შესძლებს, რაკილა ისინი ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ.

იონ ი. ასეა.

სოკრატე. მაშასადამე, ერთი და იგივე კაცი გაარჩევს ორივე მათგანს?

იონ ი. დიახ.

სოკრატე. შენ ამბობ, რომ მომეროსიც და სხვა პოეტებიც, მათ შორის, შესიოდეს და არქილოქეს, ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობენ, მაგრამ არა ერთნაირად: ერთად, მომეროსი უკეთ ლაპარაკობს, დანარჩენი კი უარესად.

იონ ი. და მართალსაც ვამბობ.

სოკრატე. მაგრამ თუ შენ კარგად მოლაპარაკეს არჩევ, მაშინ ცუდად მოლაპარაკე უნდა გაგვიჩიო.

იონ ი. ავრცე გამოვიძი.

სოკრატე. მაშასადამე, ჩემო ძვირფასო, არ შევცდებიო, თუ ვიტყვი, რომ იონს კარგად ენობს მომეროსიც და სხვა პოეტებიც, რაკილა თვითონვე აღიარებს, რომ ერთსა და იმავე საგანზე უმეტესად მართლად განსაჯოს ყველა, ვინც ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, ხოლო თითქმის ყველა პოეტი ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობს, რა?

IV

იონ ი. კი მაგრამ, რა უნდა იყოს იმის მიზეზი, ჩემო სოკრატე, რომ როდესაც ვინმე სხვა პოეტზე ლაპარაკობს, არც უფრადლებით სმენის თავი შევს, არც რისავე თქმისა და ძილმორეულ ვფიქვამ. მაგრამ საქმარისია მომეროსის სახელი ახსენონ, რომ შესევ ვფიქვანდები, უფრადლებას ვძებავ და საოქმელი თვისობი მაადგება პირზე.

სოკრატე. რას იცე ძნელი მიხახვედრია, ჩემო ძვირფასო, ყველაისთვის ნაოდია, რომ შენ ხელოვნებისა და ცდლის წყალობით როდი ლაპარაკობ მომეროსზე. შენ რომ მართლად ხელოვნება განიქმედეს ამის უნარს, მაშინ სხვეე ლაპარაკებდი ყველა სხვა პოეტზეც. რაღავან პოეტური ხელოვნება ერთი მდილიანი ხელოვნებაა. ასეა, არა?

იონ ი. დიახ.

სოკრატე. რას იტყვი, თუ ავიღებთ ყველა სხვა ხელოვნებას მთლიანად, განა განხილვის ერთი და იგივე ხერხი არ მიუღებებს თითოეულ მათგანს? ხომ არ გხურს განგმარტო, რას ვეულისხმობ, იონ?

იონ ი. განმმარტო, ზევისი გულისხმობს, რადგან არაუფრო ისეთ საბოვნებას არ მნიჭებს, ჩემო სოკრატე, როგორც ბრძქნი-კაცთა სიტყვების სმენა.

სოკრატე: ნეტავ, მართლს ამბობდები, იონს მაგრამ ბრძენ-  
კაცნი სწორად თქვენა ხართ — რაუსდობი, მსახობი და ისი-  
ნი, ვის ქმნილებობას ეთქვე ასრულდები, მე კი მხოლოდ სიმარ-  
ილებ ვამბობ, როგორც შეხუთების უბრალო მოკვდავს. აი, ნახავ,  
რა უბრალო, უხადარბო და უხელე უბრალოების ვასაებო კი-  
რავ დავიკოს; მე ვამბობდი: ვადალიის ერთი და იგივე ხებრი მი-  
ზღვდება-მეთქი ნებისმიერ ხელოვნებას, მთლიანად აღდებულს. ასე  
მავალითად, არსებობს თუ არა მხატვრობის ხელოვნება, როგორც  
მთლიანი ხელოვნება?

იონი: დიან.

სოკრატე: და კიდევ ერთი: არსებობდა და არსებობს თუ  
არა ბევრი მხატვარი, კარგიც და ცუდიც.

იონი: რა თქმა უნდა.

სოკრატე: შერედა, ვინახავს თუ არა კაცი, რომელსაც ეს-  
მის, რა არის კარგი პოლიტიკოსი, ავლაოფონის ძის მხატვრობაში  
და რა არის ცუდი, ხოლო სხვა მხატვრობისა არაფერი არა გეუბნის?  
ამიტომ, როცა მათზე ჩამოვარდება სიტყვა, თვლენა ერევა, ენა  
გებნის და ვარაფრის თქმას ვეღარ ახერხებს, მაშინ როდესაც საყ-  
მარისია პოლიტიკოსებს ან, თუ გნებავს, სხვა რომელიმე, მაგრამ  
მხოლოდ ერთი მხატვრის სახელი ასხენონ, რომ შეიძვე ფიხელ-  
დება, უფრადლებს ძამავს და სათქმელი თავისით ადგება პირ-  
ზე.

იონი: არა, ვცივა ვეცხვს, ამნარია კაცის მწახველი არა ვარ.  
სოკრატე: ხოლო თუ ქანდაკებზე მივდა საქმე? ვინახავს  
თუ არა კაცი, რომელსაც შეუძლია დაწერალებით ვაკვისნას, რა  
არის ფაქტული დღადაღობის, მეტრონის ძის, ან ეპიკოსის, პანი-  
პეკის ძის, ან კიდევ თეოდორე სამოსილას თუ სხვა, მაგრამ  
მხოლოდ ერთი რომელიმე მოქანდაკის შემოქმედებაში, ხოლო  
როცა სხვა მოქანდაკეებზე ჩამოვარდება სიტყვა, ენა გებნის, ძილი  
ერევა და ვერაფრის თქმას ვეღარ ახერხებს?

იონი: არა, ფცივა ვეცხვს, არც ასეთი კაცი ვინახავს.

სოკრატე: მეტყავ ვეტყვო: ჩემის აზრით, არც ავლტოკისა  
თუ კითაროსტიკის, ვინც კითაროლითა თუ რაუსლითის ხელოვნე-  
ბაში შედ არასოდეს ვინახავს კაცი, რომელსაც შეუძლია ილმარა-  
კის ოლმობისზე, ან თამირისზე, ან ორფესისზე, ან ფემოსონზე, ითა-  
კურ რაუსდობს, იონ ეყუდებოდა ხელოვნების ავარგიათაზე კი  
არაფრის თქმა არ შეუძლია.

იონი: მეტი რა გზა მაქვს, უნდა დავეთანხმო, ჩემო სოკრა-  
ტე. მაგრამ ისიც უნდა ვიხარო, რომ ეველაზე უფრო და ოხტატუ-  
რად მინაც შევლაპარაკო მომეროსზე; ჩემი მშენებლები იმასაც  
დავმოწმებენ, რომ შე კარგად ველაპარაკო მომეროსზე, დანარ-  
ჩენ პოეტებზე კი ცუდად. მოდი ახლა და არკვიე, რას ნიშნავს ეს.

V

სოკრატე: მესმისა და ახლავ ვაგისნი, იონ: შენ რომ კარ-  
გად ვლაპარაკობ მომეროსზე, ამის მიზეზი, როგორც წუღან მოგახ-  
სენე, ხელოვნება კი არ არის, არამედ ღვთიური ძალი, რომელიც  
ისე გძრავს და გადელეებს, როგორც იმ უცნაურ ქავს, რომელიც  
ფერაიად ვანენსიურს უწოდებს, ხოლო უმრავლესობა ჰერაკ-  
ლეების სახელით იცნობს. ეს ქვა არა მარტო იზიდავს რაინის  
რკლებს, არამედ სხვა რკლებების მიზიდვის ძალასაც ანიჭებს  
მათ. ასე რომ აზრად ერთმანეთზე დაიდებულნი რკლებების საყ-  
მაოდ გრძელ ქაქვს ვიღებთ; თითოეულ მათგანს ქვა ვადასცემს  
მიზიდულობის ძალის.

უსუბად ასევე, ზოგიერთი კაცსაც თვით მუხა ანიჭებს ზეშო-  
აგონებას, რომელიც შემდეგ სხვებსაც ვადაცემს მათგან: ასე  
ვიღებთ ზეგარდმო ზოგაონებულთა ქაქვს. დიდი ეპიკოსი პოეტე-  
ბი საუთარი ხელოვნების კი არა, ზეშოაგონებისა და ღვთიური  
სიშვავის წყალობით თხზუნებ თავიანთ მშვენიერ მოკმებს. იგივე  
იქპის ლირიკოსი პოეტთა მიმართ: ღვთიური სიშვავით ცნობა-  
მიხილდი და ადტიკონებით მოყოვით კორბანბების მსგავსად, ისი-  
რად ცნობამიხილვის ვაშ ქმნიან თავიანთ მომობილად ლექ-  
სებს; როცა მათ ეფუფლებათ მარჩონია და რტიმე, ბაქკურ ქეს-

ტაში დასთქმული, ბაქკანტეზივით ხარბად ეწაფებიან მდინარე-  
თის ნაღწ თაფლსა და რძის, მაგრამ ეწაფებიან მხოლოდ ცნო-  
პამიხილნი და არა სიშვავადამქარაღნი და დამწებებულნი.  
და როგორც თვითონვე ვაგომწმებენ, ასევე შვაგობს მათი სულიც  
მართლაც, პოეტები ამბობენ, რომ ისინი ფუტკრეზივით აღფრ-  
იანენ და მუხების თაფლარბატუ ვადალსა და ქვალეებში, თაფლ-  
მწოლარად წყაროების პირას, ვაფლადგინედ ვარგებენ ჩვენ-  
თვის გოთულოვითი ტკბილ სავალობობს, და მართლაც ამო-  
ბენ, იონ. პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არისა;  
მას არ ძალუბს რაიმე შექმნას მინას, სანამ ზეშოაგონება თუ  
ღვთიური სიშვავე ცნობას არ მიხდის და ვინც არ დაუბნობს;  
სხვაგვარად მას არც რისამე შექმნის ძალი შენსეფს და არც მის-  
ნური გალობისა. ხოლო როდესაც ქმნიან, პოეტები ბევრი მშვენი-  
ერი სიტყვით ამოვნებ სხვადასხვა საგანს, ისევე როგორც შენ —  
პომეროსს, მაგრამ არა საუთარი ხელოვნების, არამედ ღვთიური  
ზეშოაგონების წყალობით. თითოეულ მათგანს შეუძლია უწყა-  
ლოდ შექმნას მხოლოდ ის, რისთვისაც მას აღძრავს მუხა: ერის  
— დიოთრამბები, მეორეს — ეცკომები, მესამეს — პაპორხმები;  
ზოგს — ეპიკური პომები, ზოგს — იამები და ა. შ. ეს არის და  
ეს, ასეც ერთი მათგანს მეტი არა შეუძლია რა, რადგან ისინი ხე-  
ლოვნების ვაშ არა, ღვთიური ძალის წყალობით ქმნიან, და მართ-  
ლაც, პოეტები რომ ხელოვნების წყალობით ქმნიდნენ და სრულ-  
ყოფილად ქმნიდნენ ერთ რასმე, მაშინ ასევე შექმნიდნენ სხვა  
დანარჩენსაც. ამიტომაც არამედ ღმერთი ვინახავს და თავის  
მსახურებზე. ქურთუმებზე და მისენებას ექცევის მათ, რათა ჩვენ —  
ამაშა მსმენელებმა — ვიცოდეთ, რომ ისინი — უცნობონია და  
უფრონია — კი არ ქმნიან ამ დიდებულ ქმნილებებს, არამედ თვით  
ღმერთი მეტყულებს მათი პირით და, ამიტომაც, თავის ხმას ვაყ-  
ვდნის ჩვენს. ამ აზრის უტყვის საბუთი ტინიქე ქალიკოსი გახ-  
ლავთ: მას თავის სიცოცხლეში არ შეუქმნია რაიმე ღირსსახე-  
ვარი, ერთადერთი პედის ვარდა, რომელსაც ყველა მღერის და  
რომელც ქვეშობრად უშვენიერობისა სავალდებლოა შობის.  
ტინიქესავე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო ნაწილეთი „მეუხერის  
ნაყოფი“: მე შგონია, ღმერთმა, ჩვენი ეცების ვასახტავად,  
ცხაზე უტყუესად ვაჩვენა ამით, რომ ეს მშვენიერი ქმნილება-  
ნი ხელთქმნილნი და ადამიანური შემოქმედების ნაყოფი კი არ  
არაინ, არამედ ხელოვნქმნილნი და ღვთაებრივნი: ასე რომ, არც  
ერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი  
და განმწარტებელი. თითოეულ მათგანს მისი სიშვავილად ღვთა-  
ების ტყუვა და თავისი მეუფის ნებისყოფელი, ამის დასამტკიცებლად  
ღმერთმა ვანჩარაზ ივლიანა უშვენიერობის სავალდებლო  
უსუბატები პოეტის პირით. რას იტყვი, ვანა მართლად არ ვამბობ,  
იონ?

იონი: მართლს ვამბობ, ვადაც ვეცხვს: შენი სიტყვები, ჩე-  
მო სოკრატე, ჩრენელული ძალით ვადაღებ ჩემს სულს და მე გო-  
ნია, რომ ქვეშაბიტი პოეტები სწორად ღვთიური ზეშოაგონების  
წყალობით ვაგმცნობენ და ვანგებარტებენ ღვთაების სიტყვას.

VI

სოკრატე: ხოლო თქვენ — რაუსდობი — პოეტებს ვან-  
მარტებთ, არა?

იონი: იმასაც მართლს ვამბობ.

სოკრატე: მამსადამე, თქვენ განმწარტებელია ვანმწარ-  
ტებელი ხართ?

იონი: დიან.

სოკრატე: ერთი ეს მითხარი, ჩემო იონ, და, თუ ღმერთი  
გწამს, ნურავარტე დამიძლივე: როდესაც ეპოს ასრულდებ და უც-  
ნაურის ძალით ადელეებს მშენეთ, როდესაც მღერი, როგორ  
ავარდა ოლიმპის ზღვრებზე, როგორ გაუმეღავდა თავისი თავი  
სასიძოფებს და ბარბოსებზე დაქარა ფერხითი, როგორ ეკეთა  
აქილესის მეტროსს, ან რაიმე საწყალობელს აღმრთობს, აგვახა-  
ბა თუ პრამბისიოსისა, — შენ ქვალზე ხარ თუ არა მაშინ თუ  
ცნობამიხილდს გვგონია, რომ ზეშოაგონებით აღტყინებელი შენი

სული იქვე ტრიალებს, სადაც შენ მიერ აღწერილი ამბები ხდებოდა — ითავიწი, ილიონში თუ სახედ სხვაგან?

ი. ი. ი. რა თვალსაჩინო სახელი დაიმიწეწე, ჩემო სოკრატე! არ ნაწყობად, გულახდილად გეტყუე ყველაფერს: როდესაც ბოლო დაწყებულად ვასრულებ, ცრემლით მევსება თვალი, ზოლო სახარისაო თუ გულშემწარავის შესრულებისას თმა უაღრეს მიღვება და შიშით შემტრიალი გული ვამბლებთ მიცემს მეტრში.

ს. კ. რ. ა. ტ. მერედა, ჩას იტყვი, იონ, თავის ქუთუხა თუ არა კაცი, რომელიც, საზეიმოდ მართულ-მოკაცული და თქრის გერკვეთით უმბლემეული, მწარედ ტრის მხვებრალმწიფრის დროს, დღესასწაულზე თავშეგრძელ პირობში, თუძცა არც ერთი საქმეაღად არ დღუარტყვას, ან შიშით ძრწის ოცი ათასი კაციც წინაშე, რომლებიც მის მიმართ მეგობრულად არიან განწყობილინი და რომელთაგან არაყინ არ ძარცვავს და არ ეშურებრა?

ი. ი. ი. არა, ვფიცავ ზეგს, ასეთი კაცი, მართალი ვიზობრა, თავის ქუთუხა არ უნდა იყოს, ჩემო სოკრატე.

ს. კ. რ. ა. ტ. კი მაგარა, იცი თუ არა შენ, რომ სწორედ ამნარ ზემოქმედებას ახდენთ ბევრ თქვენს მსმენელზე?

ი. ი. ი. ცხადია, ვიცი; შე უკიდლოვის ვხვად ჩემი ფიცარნადივან, როგორ ტრირანი და შიშმამადრა თვალებით იფურტებაინ ჩემი სიტყვებით გულშეგრძელი მსმენელნი. მე ხომ იძულებული ვარ თვალი ფხიზლად მეჭიროს მათზე; თუ ვატირე ისინი, მაშინ შე ვიცინებ: ფულს ვხვებავ, გესმის? ზოლო თუ ვაყინე, მაშინ ვითვით უნდა ვიტარი: მშვიდობით, ფულეობ!

VII

ს. კ. რ. ა. ტ. ახლა ხომ გესმის, რომ ასეთი მსმენელი უკანასკნელია იმ რაგოლთაგან, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით იღებენ ძალას მაგნესიური ქვის წყალობით. შუა რაგოლი — ეს შენა ხარ, რაფსოდი და მსახიობი, პირველი რაგოლი — პოეტია, ხოლო მეორე, იქვენი მეშვეობით იქით მიამკვეცს კაცის სულს, სათავე მეორიანება, ეს მიკვეცა ეი ერთმანეთის მიყოლებით ხორციელდება. და იმებმა მისგან, როგორც იმ ქვისაგან, ქორეტიების, ქორის მოძღვართა თუ ქვემოძღვართა ჩრმელი ვაჭვი, რომლის ყველა რაგოლი პირდაპირ თუ შარპირისგან დამოკიდებულია მუხუხისაგან. ერთი პოეტი ერთ მუხუხს დამოკიდებული, მეორე — მეორეზე, ხოლო ჩვენ მას „სიშმაჯით შეყარობილნი“ ვუწოდებთ, რაც თითქმის ერთი და იგივეა, რადგან მუხას უყურია იგი. ამ პირველი რაგოლებისგან — პოეტებისგან — დამოკიდებულინი არიან სხვა ზემოაგონებულნი: ერთნი — ორფევისისგან, მეორენი — მუსკოსისგან, უმრავლესნი კი — ჰომეროსისგან, რადგან ჰომეროსს უყურია ისინი. ერთი მათგანი შენა ხარ, იონ, და ჰომეროსს უყურებარ შენ. აი, რატომაა, რომ, როცა ვინმე სხვა პოეტის ქმნილებებს მღერის, შენ უკიდოვანობის და არ იცი, რა თქვა, ზოლო როდესაც შენი პოეტის ქმნილებებს მღერია, შეიცვებ ფხიზრდები, შენი სული აღტიყნებით იწებებს რაყვას და საიქმელი თავითნი ვაღებება პირზე. რადგან მას, რასაც ჰომეროსზე ამბობ, ხელოვნებისა და ცოდნის კი არა, ღვთიური სიშმაჯისა და ზემოაგონების წყალობით ამბობ, და როგორც კორიანტებში სულგანაბლენი უსმენენ მხოლოდ იმ მგლოდას, რომელიც მაიი მართობული ღვთაებისგან იღებს დასაბამს და სხვისთვის კი არა, მხოლოდ მისთვის აოულობენ სათანადო მოძრაობებს, მიმოხარებას თუ სიტყვებს, ისე შენც, იონ, საქმარისია ჰომეროსი ასხენოს ვინმეზე, რომ ხელად პოულობს საჭირო სიტყვებს, სხვა პოეტებზე უკი არ იცი, რა თქვა. შენ გსურდა ვაგვეო, რატომაა, რომ ადვილად ლაპარაკობ ჰომეროსზე, მაგარა არა სხვა პოეტებზე. ამის მიზეზი ის ვახლავს, რომ შენ ხელოვნებას არა, ღვთიური ზემოაგონება ვხდის ჰუმარატ მეხოტბედ ჰომეროსისა.

VIII

ი. ი. ი. მწვენივრად მსჯელობ, ჩემო სოკრატე; მაგარა მე მაინც დიდად ვამეკირდებოდა, რომ მოგებებრბინა და დაეკრწმუ-

ნებინე, თითქოს მე ღვთიური სიშმაჯისა და ზემოაგონების წყალობით ვიქებ ჰომეროსს. მე მგინია, უთუოდ შეიცვლიდი არსს, ერთხელ მაინც რომ მოგესმინა, როგორ ვლაპარაკობ ჰომეროსზე.

ს. კ. რ. ა. ტ. მე დიახვ მსურს მოვისმინო, იონ, მაგარა არა მანამ, სანამ ამ კითხვაზე არ მოასულებ: ყოველივე იმისაგან, რაზედაც ჰომეროსი ლაპარაკობს, რა უფრო უკეთ გესმის? რადგან იონ არ შეიძლება, ყველაფერი კარგად გესმოდეს.

ი. ი. ი. მერწმუნე, ყველაფერი კარგად გესმის, ჩემო სოკრატე.

ს. კ. რ. ა. ტ. ნუთუ ისიც, რაც შეუძლებელია კარგად გესმოდეს, თუცა შენ მოეხერხე ბევრს ლაპარაკობს მასზე.

ი. ი. ი. მაგარა არის კია რამე ისეთი, რაზედაც ჰომეროსი ლაპარაკობს და მე არ მესმის?

ს. კ. რ. ა. ტ. ჰომეროსი ზშირად ლაპარაკობს სხვადასხვა ხელოვნების შესახებ, მათ შორის, ბევლის მართვის ხელოვნებაზედაც; თუ გამახსენდა, ახლავა გეტყვი ერთ მაგალითს.

ი. ი. ი. მე ვითვით გეტყვი; ყველაფერი ზებირად მახსოვს.

ს. კ. რ. ა. ტ. მაშინ მოთხარე, როგორ არიგებს ნესტობი თავის ვაჟს ანტილოქეს, რომელიც მეეტხელთა მარალბში მოწარწილებს მატიკოლეს დალაობისას; როგორი სიმარჯვე და სიფრთხილე ვატრბობს მოსახლებთან?

ი. ი. ი. მოგახსენებ:

„ვადაიხარე მარცხნვე კეთილანებალად ეტლზე, თანაც შეუწეურ, შეახურე შოლტის ტლაშუთით მარჯვენა ცხენი და მიუშვი ისავე სრულად, რათა მარცხენამ ჩაუტროლოს სვეტს ისე ახლოს, რომ ჩანდეს, თითქოს თვალმა ვაკრა ნაწიბურს მისას, მაგარა ვაფრთხილდე, გზისპირა ქვას არ წამოღოდი!“

ს. კ. რ. ა. ტ. საყმარისია. ვინ უკეთ მიხვდება, იონ, მართულად მსჯელობს თუ არა ჰომეროსი ამ ადგილას, — ექიმი თუ მეტადე?

ი. ი. ი. ცხადია, მეტადე.

ს. კ. რ. ა. ტ. იმიტომ რის მისი ხელოვნებაა, თუ სხვა მიზეზის გამო?

ი. ი. ი. არა, სწორედ იმიტომ, რომ ეს მისი ხელოვნებაა. ს. კ. რ. ა. ტ. ზოლო ყოველი ხელოვნება, არსთა ვარჩიების ნებით, ერთი რომელიც საქმის ცოდნას ვულისმობს, არა? და მართლაც, მას, რასაც მესაქის ხელოვნებით შევიცნობთ, ვერასოდეს ვერ შევიცნობთ ექიმის ხელოვნების წყალობით.

ს. კ. რ. ა. ტ. არა, არა თქმა შენც!

ს. კ. რ. ა. ტ. ზოლო ექიმის ხელოვნების წყალობით ვერასოდეს შევიცნობთ მას, რასაც შენებლის ხელოვნება შევაცნობინებს.

ი. ი. ი. რასაკვირველია.

ს. კ. რ. ა. ტ. და განა იგივე არ ითქმის ყველა სხვა ხელოვნების მიმართ? რასაც ჩვენ ერთი ხელოვნებით შევიცნობთ, ვერასოდეს ვერ შევიცნობთ მეორის წყალობით. მაგარა ჭერ ამ კითხვაზე მისაუსებ: აღიარებ თუ არა შენ, რომ ერთი ხელოვნება ძირფევიანად განსხვავდება მეორისაგან?

ი. ი. ი. დიახ.

ს. კ. რ. ა. ტ. სწორედ ამიტომ, როცა ვაპობობ, რომ ერთი ხელოვნება ერთი რომელიც საქმის ცოდნას ვულისმობს, ზოლო მეორე — მეორისას, სხვადასხვა სახელით ვისწინებთ ორსავე მათგანს. ასევე იქცევი თუ არა შენც?

ი. ი. ი. დიახ.

ს. კ. რ. ა. ტ. რადგან ორივე ხელოვნება რომ ერთი და იგივე საქმის ცოდნას ვულისმობს, რატომღაც ვიტყოდი, რომ ისინი სხვადასხვანია არა, თუკი ორივე მათგანის მეშვეობით ერთსა და იმავე შევიცნობთ მხოლოდ? ასე მაგალითად, მე ვიცი, რომ ხელზე ზუთით მაქვს და შენც იცი ეს? ზოდა, მე რომ შეიძობა შენთვის — ერთი და იგივე ხელოვნებით, ეგრძოდ, თვლის ხელოვნებით შევიყვებებთ მეც და შენც ამას, თუ სხვადასხვა ხელოვნების წყალობით-მეოქი, შენ, ალბათ, მიასუსებდი — ერთი და იგივე ხელოვნებითო.

იონი. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ახლა კი, აი, ამ კითხვაზეც მიასუხე: როგორ გგონია, იგივე იოქმის თუ არა ყველა სხვა ხელოვნების მიმართ? კერძოდ, ერთი მათგანი მუშევრობით ერთ რასზე შევიცნობთ, ხოლო მეორის მუშევრობით მასვე კი არა, არამედ სულ სხვა რასზე, თუკი, რა თქმა უნდა, სხვა არის ათგონი ხელოვნება?

იონი. ავრე მგონია, ჩემო სოკრატე.

სწვდა გულმკერდს ზემოთ და დაეცლა ამაჲ ყელი; თვალთ დაუნებლდა ფრინველთ მეთვს, შეუშვა კანგი და ლუსუნულა დაენარცხა მცურაჲი მიწას, თოჲი კი უაშუაშოთ მიფთარა თვალმისწირისი.

მე ვიტყვი, რომ სწორედ ამის და სხვა მისთანაა გარჩევა და განიხილა მართებს მისას.

იონი. და მართალსაც იტყვი, ჩემო სოკრატე.

IX

სოკრატე მამსადამე, მას, ვინც ამა თუ იმ ხელოვნებას არა ფლობს, არც ის ეცოდინება კარგად, რაც ამ ხელოვნების მიხედვით იოქმება თუ იქმნება, არა?

იონი. მართლმაც ბრძანებ.

სოკრატე. კი მაგრამ, ვინ უკეთ იცის, მართებულად მსჯელობს თუ არა ჰომეროსი შენს მიერ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში—შენ შენ მეტელემ?

იონი. მეტელემ.

სოკრატე. იმიტომ, რომ რაფსოდი ხარ და არა მეტელემ?

იონი. დიახ.

სოკრატე. ხოლო რაფსოდის ხელოვნება განსხვავდება მეეტლის ხელოვნებისაგან?

იონი. დიახ.

სოკრატე. და რაკი განსხვავდება, მამსადამე, ხაუნის ცოდნასაც გულისხმობს, არა?

იონი. დიახ.

სოკრატე. მეგრედა, როცა ჰომეროსი ამბობს, როგორ ამზადებს მკაემად, ნესტორის ხარკა, დაჰრილი მახანის სამკურნალოდ იკეთოს.—ხოლო ის ასე ლაპარაკობს დაახლოებით: „პრანოსურ ღვინოს შურია ქალმა სპილენძის სახებთ წყრილად ვახებლი თხის ყველი, თანაც მოიღვანია ხახვი—სასმლის მისაკლებლად“.

როგორ გგონია, ვისი ხელოვნება უკეთ გაარკვევს, მართებულა თუ არა ჰომეროსის სიტყვები—ექიმის ხელოვნება თუ რაფსოდისა?

იონი. ექიმის.

სოკრატე. ხოლო როდესაც ჰომეროსი ამბობს: „და ის დანიქა წულის სიღრმეში ისე, ვით ტუჯია, რომელიც მოქარის, ხარის რქაზე მიმაგრებული, რათა სიკდილად მოეციდინოს ზღვის მუსუნა თევზებს“.

რას ვიტყვი, ვისი ხელოვნება უკეთ გაარკვევს—მეთევზისა თუ რაფსოდისა,—რას ამბობს და მართალს ამბობს თუ არა იგი?

იონი. ცხადია, მეთევზის ხელოვნება, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. კეთილი და პატოსანი; ახლა დაუვუგაო, შენ მითხე: რაკილა შენ, ჩემო სოკრატე, ჰომეროსის მიხედვით არკვევ, რისი ცოდნა მართებს ამა თუ იმ ხელოვნებას, ამიტომ მისინსა თუ მისი ხელოვნებისთვისც დამისხებულ რამე ისეთი, რისი აყვარებისთვისც გარჩევაჲ მართებს მას. დაუვიკრიდ, რა ედებოდა და ამომჭურავდა ეიასუხებ შენს კითხვაზე: ჰომეროსი ხშირად ლაპარაკობს ამის შესახებ „ღოსიაშიც“—დავიმოწყნო, თუნდაც, მელამაჲსე შოამომავლის — მისან თოელაიმენეს სიტყვებს სასიძობების მიმართ:

„ვაი, თქვენს მოსწრებას, სივანდისენო! ამა, წყვდაილი თაღისი საოსითი გმოსათო უკუე თხეშითი ტრფუამდე, მესმის კითხინი, ვხედავ ცრემლით დაღტობილ დაწვეებს, და უკო-კარში რაილებენ მწუხარით ლანდნი, ჰმუნეითი აღსილენი რომ ეღტვიან ჰადესის წყარამს, მუჲ შთანქა ბნელმა და მა, მწუხრი იწევა მიწაზე“.

და „ილიადშიც“, სადაც პოეტე ამბობს:

„მაგრამ ანაზდად თვალთ ჰკიედს მათ გრძნულ ფრთოსანს, მაღლადმურენ არწუხს, მხარმარცხენ რომ გვაპო რაჲში, ჰნაგებითი ცაში აეტაცა სისხლგამდინარი ყვედა გველი; ჭარ ცოცხალი იყო წყუული, იელაყენებოდა მწარე კრუნჩხვით, უყებ იწვილა,

X

სოკრატე. შენც მართალი ხარ, რაკილა მეთანხმები, იონ. მაჲ. ასე, მე შენ შეგირჩიე „იოდისასა“ და „ილიადლანს“, რისი ცოდნა მართებს მისას, ექმის თუ მეთევზის. ახლა კი შენი გერია: მითხარი, რაკი ჩემზე უკეთ იცნობ ჰომეროსს, რისი ცოდნა მართებს რაფსოდს თუ რაფსოდულ ხელოვნებას, ან რას უნდა არჩევდეს და იხილავდეს რაფსოდი სხვებზე უფრო სრულყოფილად და ოსტადურად?

იონი. ჩემის აზრით, ყველაფერს, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. ყველაფერსო? არა, ეს შენი აზრი არ არის, იონ! ნუთუ ასე გულმჯაფივი ხარ? მაგრამ რაფსოდს არ შეშვენის გულმჯაფივია?

იონი. კი მაგრამ, მაინც რა დამაჯიწუდა?

სოკრატე. აღარ ვახსოვს? შენ ამბობდი, რომ რაფსოდის ხელოვნება ძირფესვიანად განსხვავდება მეეტლის ხელოვნებისაგან.

იონი. როგორ არ მახსოვს.

სოკრატე. და რაკი განსხვავდება, შენივე აღიარებით, სხვა რაბის ცოდნასაც გულისხმობს, არა?

იონი. დიახ.

სოკრატე. მამსადამე, შენივე თქვითი რომ ვთქვათ, რაფსოდი თუ რაფსოდული ხელოვნება, რასაკერძოვლია, ვერ დაირემებს ყველაფერის ცოდნას.

იონი. ზოგიერთი შენს მიერ ჩამოთვლილი საგნის გარდა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. „ზოგიერთი საგნისა“, რომ ამბობ, შენ გულისხმობ, ალბათ, იმას, რისი ცოდნაც სხვა ხელოვნებების საქმეა, არა? მაგრამ მაინც რა იციის რაფსოდმა, რაკილა ყველაფერის ცოდნა არ შეუძლია?

იონი. ჩემის აზრით, ის, თუ როგორი სიტყვა შეშვენის კაცს და როგორი — ქალს, ან კიდევ, მონას თუ თავიუფალს, ჰვეშვერდობს თუ მოავარს.

სოკრატე. კი მაგრამ, ვის უკეთ ეცოდინება — რაფსოდს თუ მესაჲებს, — როგორი განკარგულება უნდა გაიციოს, თუ ხომალდს გრიფინას მოუსწრო ზღვანში?

იონი. ცხადია, მესაჲებს;

სოკრატე. ან კიდევ, ვის უკეთ ეცოდინება, რა უნდა თქვას სნეულის მკურნალმა, — რაფსოდს თუ ექიმს?

იონი. ექიმს.

სოკრატე. როგორ გგონია, იცო თუ არა, როგორი სიტყვა შეშვენის მონას?

იონი. ვიცი.

სოკრატე. კი მაგრამ, ვის უკეთ ეცოდინება, შენის აზრით, როგორი სიტყვით ათენიერებს მჭოგე მონა გამძვინვარებულ ხარს, — რაფსოდს თუ მეტელემ?

იონი. რასაკერძოვლია, მეტელემ.

სოკრატე. ან კიდევ, იცო თუ არა შენ, როგორი სიტყვა შეშვენის ქსელის მბეჭეტელ დაიას?

იონი. არა, არ ვიცი.

სოკრატე. იქნებ, რაფსოდმა იციის, როგორ ამხედვებს მხედართმოთავარი თავის მეომრებს?

იონი. ეს კი მან მართლაც იციის.

XI

სოკრატე. რას ამბობ, განა რაფსოდის ხელოვნება მხედართმოთავრის ხელოვნებაა?

ი ო ნ ი. უოველ შემთხვევაში, მე ვციო, რისი თქმა მართებს მხედართმთავარს.

ს ო კ რ ა ტ ე. ეს იმბტომ, რომ შენ, ალბათ, მხედართმთავრის ხელოვნებასაც ფლობ. მართლაცდა, შენ რომ ისევე კარგად გეზებრუნობდეს ცხენების ხედვა, როგორც კითარაზე დაყვარ, ხელად განასხვავებდი ერთმანეთისაგან ბედაურს და ჩაგაღუსს. მაგრამ მე რომ მეკითხა შენთვის: რომელი ხელოვნების — მხედარებისა თუ კითარისტის ხელოვნების წყალობით გამოიცნობ-მეთუი ბედაურს? რას მიახსუებდი ამაზე, იონ?

ი ო ნ ი. გიასხუებდი — ნხედარების ხელოვნების წყალობით-მეთუი.

ს ო კ რ ა ტ ე. ზუსტად ასევე, შენ რომ შევადგებოდა გაგერჩია კარგი კითარისტი, ალბათ, აღიარებდი, რომ მას არჩევ როგორც კითარისტი და არა როგორც მხედარული, არა?

ი ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. და რაკი შენ სახმელრო საქმის მცოდნედ მოგაქვს თავი, ისიც მითხარი, როგორ იცნობ მას — როგორც კარგი მხედართმთავარი თუ როგორც კარგი რაფსოდი?

ი ო ნ ი. ვითომ რა განსხვავებაა?

ს ო კ რ ა ტ ე. რა განსხვავებააო? როგორ გგონია, რაფსოდის ხელოვნება და მხედართმთავრის ხელოვნება ორი ხელოვნებაა თუ ერთი?

ი ო ნ ი. მე გგონია, ერთი.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კარგი რაფსოდი, ამავე დროს, კარგი მხედართმთავარიც უნდა იყოს?

ი ო ნ ი. კეშმარტიად, ჩემო სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. დე, პირაუყუ, კარგი მხედართმთავარი, ამავე დროს, კარგი რაფსოდიც არის?

ი ო ნ ი. აქ კი ვეღარ დავთანხმებუი.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ შენ მიგანჩია, რომ კარგი რაფსოდი კარგი მხედართმთავარიც უნდა იყოს?

ი ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, განა შენ არა ხარ უყუეთისი რაფსოდი ელინთა შორის?

ი ო ნ ი. უველანე უყუეთისი, ჩემო სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, შენ შათ შორის უველანე უყუეთისი მხედართმთავარიც ხარ, იონ?

ი ო ნ ი. კეშმარტიად, ჩემო სოკრატე; ჰომეროსისგან ვისწავლე მხედართმთავრობა.

XII

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ერთი ეს მიიხარა, იონ: თუ შენ არა მარტო უყუეთისი რაფსოდი ხარ ელინთა შორის, არამედ უყუეთისი მხედართმთავარიც, მაშინ რატომაა, რომ

მარტოდენ რაფსოდობას სწერდები და არ მხედართმთავრობ? ან, იქნე, ფიქრობ, რომ ელადან ოქროს გვირგვინით შუბლმწიკული რაფსოდი უფრო სწირდება, ვიდრე დიდი მხედართმთავარი?

ი ო ნ ი. ჩვენი ქალაქი, ჩემო სოკრატე, თქვენს ქალაქს და მის სახმელრო ძლიერებას ემორჩილება, ასე რომ, მას სრულბით-თაც არ სწირდება მხედართმთავარი, ხოლო არც თქვენი და არც ლაქედმონებლების ქალაქი მე მხედართმთავრად არ ამირჩევს. თქვენ ხომ თვლით, რომ არავის დახმარება არ გჭირდებათ ამ საქმეში.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, იცნობ თუ არა, ჩემო მჭირფასო იონ, აპოლოდორე კოძიკელს?

ი ო ნ ი. რომელ აპოლოდორეს?

ს ო კ რ ა ტ ე. იმას, ვინც, მისი უცხოელობის მიუხედავად, ათენლებს არაერთგზის აუჩრეცვით მხედართმთავრად. იგივე ითქმის ფანოსთენე ანდროსელისა თუ ჰერაკლიდე კლამონენელის მიმართ: ისინიც უცხოელები არიან, მაგრამ, თავიანთი დამსახურების გამო, ჩვენი ქალაქი არა მარტო მხედართმთავრობას, არამედ სხვა თანამდებობებსაც ანდობს ხოლმე მათ. ჰოდა, რაღა მაინცდამაინც იონ ფეუსელს არ ამირჩევს მხედართმთავრად? განა თქვენ, დეუსტელნი, ოდიითგანვე ათენელებად არ ითვლებით? ან ვითომ იყუები ჩამოუვარდება რომელსავე ქალაქს? მაგრამ, მოდი საქმეს მივხედოთ: თუ შენ, ჩემო იონ, მართლს ამბობს, როცა ამტკიცებ, რომ მხოლოდ ხელოვნებისა და ცოდნის წყალობით აქვს ჰომეროსს, მაშინ მართლა დამწაფვე ხარ: შენ აღმითუი გეჩვენებინა, რაოდენ კარგად იცნობ ჰომეროსს, მაგრამ მატუებ და არაფერსაც არ მიჩვენებ; ისიც კი არ გსურს გამომეღავრო, რის გაგებასაც ასე დეინებთი ვცდილობ — მაინც რა გესმის კარგად? ნაცულად ამისა, პროტევისითი აქეთ-იქით აწუხებ, ათასჯერა სახე იღებ, ხელიდან მისხლტები და, ბოლოს და ბოლოს, მხედართმთავრადაც კი მევლინები, რათა არ გამომეღავრო, რაოდენ კარგად იცნობ ჰომეროსის სიბრძნეს. თუ ხელოვნებით გაბრძნობილი ხარ, მაშინ, წეადილი თქმისა არ იყოს, მატუებ, რადგან არაფერს ბრძნულს არ მუხუნები ჰომეროსზე და, მაშასადამე, უსამართლოდ იტყვი: ხოლო თუ ხელოვნებით გაბრძნობილი არა ხარ და არც იცნობ ჰომეროსს, მაგრამ დეოებრივი ზეშთაგონება ამდენ მუხენიერ სიტუვას გაოქმეინებს ამ პოეტზე, მაშინ ვინ იტყვის, რომ უსამართლოდ იტყვი შენ? მაშ, აირჩიე: ვინი სახელი გირჩენია გერქვას: უსამართლო კაცისა თუ დეოებრივისა?

ი ო ნ ი. რა საუთხავია, ჩემო სოკრატე: სად უსამართლო და სად დეოებრივი?

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, იყავე ჩვენთვის ის, რაც უფრო მუხენიერი გგონია, იონ: შენ ხელოვნებით გაბრძნობილი კი არა, დეოებრივი და ზეშთაგონებული მეტობევე ხარ ჰომეროსისა.

ქველ ჰერმულდან ოარგანა  
ბატანა ბრეპაპამ



გ. მიქაძე,  
ხევესურები.

# რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

## უუალობა და ხალხურობა

ქრისტოფ ფუნკე

პროგრამა კავკასიონის მთაზე მიაჯაჭვეს, რადგან ადამიანებს ცეცხლი მოუტანა. ლეგენდების საბურველში გახვეულ ოქროს საწმისსაც შვიი ზღვის პირას, კოლხეთში, ედო ბინა. საქართველო ათასწლოვანი კულტურის ქვეყანაა. მისი მრავალფეროვანი ისტორია დაუმრეტელი წყარო იყო და არის მითოლოგიისათვის. ძველ ბერძნებსაც ბევრი რამ უსწავლიათ ქართველებისაგან, თუ გნებავთ, რჩინის დამუშავების ხელოვნება. საქართველის უძველესი ისტორიული ძეგლები იმ ხანას განეკუთვნება, როცა შუა ევროპაში კულტურა ის-ის იყო იწყებდა განვითარებას. მრავალ ქართველიან საუკუნეში გამოატარეს ქართველებმა თავიანთი ენა და დამწერლობა, დღეს კი უმდიდრესი ტრადიციები მძლავრი, თავისებური, მომაჯადოებელი სოციალისტური ხელოვნების წყაროდ გაუღდათ. შარშან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დეკადაზე შესაძლებლობა მოგვეცა გავცინობოდით სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს, უთვალსაჩინოეს სოლისტებს, ხელოვნების ქმნილებებს, ქართველ ხელისანთა ნახსტარს, წლეულს კი მისში დრეულდეს, ლიფციგასა და ბერლინს რუსთაველის თეატრი ეატუმრა ოთხი წარმოდგენითა და „სცენებით“. იშვიათად გვხვდომია წილად ბედნიერება, რომელიმე სახლავარკეთული თეატრის შესაძლებლობებსა და ჩანაფიქრზე ასე ხვაერითი ინფორმაცია მიგვეღო. გასტროლების ყოველი საღამო, უიორველეს ყოვლისა კი „მატიანე“, რომელიც სხვადასხვა სპექტაკლიდან ამოღებული სცენებისაგან იყო შემდგარი, ააშკარაებდა რუსთაველის თეატრის ყოველ თავისებურებასაც და საოცარ მრავალფეროვნებასაც — მათ ხომ სხვადასხვა სტილის ეროვნულ და ინტერნაციონალურ დრამატურგაში მოუსინჯავთ თავისი ძალები. თუ შევეცდებით ქართველ ხელოვანთა გასტროლებს გამოვუწახოთ ყოველისმომცველი ფორმულა, მას ვიპოვით უშუალობაში, სადა ხალხურობაში, მგრძობიარე, ხალისიან თამაშში, საკუთარ ისტორიასთან განუმეორებელ, მტკიცე და ბუნებრივ, სისხლბორცულ კავშირში.

პირველსავე საღამოს, როცა წარმოადგინეს სულიყო ჟღენტის... „მიწის შვილები“, ვიგრძენით ბუნებასთან შინაგანი კავშირი, რაც ჰიმნამდე იყო ამალღებული. მოწიწება ყოველი სულდგმულის წინაშე, სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული ბრუნვის შეცნობა, ადამიანის ზრდისა და მის მიერ შექმნილი ყოველი ფასეულობისაგან მოგვლილი სიამაყე აქ ძალდაუტანებელი სისადავით იყო წარმოდგენილი, იგი არც პათოსს უფრთხოდა და არც ხალალოში ხუმრობას არიდებდა თავს. ქართული მითიანი სოფლის განსაკუთრებული სამყარო აღმოცენდა სიღუბჭირება და მელანქოლიაში, სიმღერასა და ცეკვაში, ტემპერამენტთან შხხლა-შემოხლაში და ყველაფრის შექმნენ ადამიანურ სითბოში. სულიყო ჟღენტი ცდილობს დაგვისახტოს ერთი ოჯახისა და ერთი სოფლის ბედი 1921 წლიდან მოყოლებული 1951 წლამდე და ამ გზით თვალსაჩინოდ დაგვიტკაცოს ლენინის რევოლუციური იდეების ცხოველყოფილობა. დრამატურგიულ ქარავში ეს ხაზი საკმაოდ უმტკივნეულოდ და შემხხვევით მოხვდა. მას საჩინო აგიტატორული ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ქართველმა ხელოვნების ოსტატებმა წარმოდგენა „საბაბად“ გამოიყენეს, რათა ეჩვენებინათ თავისი ცხოვრების თავისებურებანი, გამოემწეურებინათ მითიან, შკაცარ გარემოში მცხოვრები ადამიანების სულიერი სიმდიდრე და მყურბლასათვის იმ გონიერი, სისხლახვხე ცხოვრების მშენიერი, ჰუმანური ნობათი მიძღვნათ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხსაც მოუტანა, ერთმანეთთან დაკავშირებული ხის ბოგირებითა და ალაგვებით, რომლებიც აქა-იქ დაწყვეტილია სტილიზებული მცენარეებისა და ყვავილების ორნამენტებით შემკული ჭოკებით. გიორგი მესხიშვილის სურს ყოველგვარი ნატურალისტური ფუჭების გარეშე მიგვანიშნოს მალაქი მთიანეთის ხასიათზე. ჯანსუღ კახიძის ნაკლებად თავშეკავებული მუსიკის საპირისპიროდ, რეჟისორები მიხეილ თუმანიშვილი და რობერტ სტურუა შეეცადნენ საკმაოდ სტატური პროლოგიდან სტილისტურად მის შესაბამის ეპი-

ლოგამდე საქმეტიკლისათვის იმპროვიზაციული სიხალისე შეენარჩუნებინათ და ზოგიერთი სცენა ჩინებულად გამოუვიდათ კიდევ. თუნდაც ყმაწვილი კომპაგმირლების საავიტაციო სცენა, რომელიც აღბეჭდილია გულისმანუყუებელი უწყვეტობისა და ვნებიანი თავგამოდებით; ან თუნდაც გლეხი ბერიკაცების ზონიან ცეკვა, მოხუცმავე ფეხებით რთული საცეკვაო ილეთების გამოყვანას რომ ცდილობენ.

წარმოდგენის ზენიტი იყო ის ადგილი, როცა დედა ქალი ესმა ცდილობს ქმარს ლევანის გმირული სიკვდილის ამბავი დაუმალოს. ქალი ტანის კვრით საცეკვაოდ აქეუძებს ქმარს, უნდა ყურადღება მოუდუნოს, თვითონ კი ძალაგამოცლილი უშვება ძირს, შემდეგ კი მარტოდ დარჩენილი ანთებელი სათლის წინ ესაუბრება მკვდარ ვაჟიშვილს. მაცურებლისათვის ასევე დაუვიწყარია მოხუცების უკანასკნელი საუბარი: ცოლ-ქმარი სევდიანად, გულთბილად, ნადველშურული ირონიით იგონებს პირველი სიყვარულის დღეებს და ერთმანეთს ღირსეულად და ხალისიანად ემშვიდობება.

ძლიერი მსახიობური ოსტატობით იყო აღბეჭდილი სერგო ზაქარაძის მოხრობელი. მედია ჯაფარიძის ესმაში ერთმანეთს ერწყმის უბრალოება და კეთილშობილება, დღემდე მინავალი დემოკრატია სიხარუ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაცურებელზე. ეროსი მანჯგალაძემ ამ უკანასკნელ სცენაში გამოამჟღავნა ინტიმურობისა და შეფარული ეგვიტების ფაქიზი გადმოცემის უნარი.

მეორე საღამოს თეატრმა წარმოდგინა XVII საუკუნის ქართველი კლასიკოსის სულხან-საბა ორბელიანის იგავარაკების მიხედვით შექმნილი პიესა „სიბრძნე სიცრუისა“. მშენიერი, შთამბეჭდავი იყო შეხედვლა ქართულ ფოლკლორთან, ხალხურ საქმეტიკლთან, რომელიც მხრებითა შექმნილი, მაგრამ საესვა ფანტაზიითა და იმპროვიზაციული ხელოვნებით. პიესის პერიპეტეტიდნად კარგად ჩანს მისი ხალხური წარმოშობა, ბაზრებისა და დუქნების ენა, ხალხური სიბრძნის მომხიბლავი გულუბრყვილობა. პიესის გმირი უსახელო უფლისწულია, რომელიც ვიღაც გულმა გაზარდა და სამოგზაუროდ გამოშვდა. აქ სწავლავს უფლისწული ადამიანთა სიყვან, მიზმილითაც ბევრჯერ ეწვის კუჭს, როზივე მოხვდება, კარგად ჭრებდა სინდისგარეცხილი მსაკულების ბნელ საქმეებს, მაგრამ ხვდება სიყვარულსაც, ადამიანურ ღირსებასაც და სიბრძნესაც. ბოლოს, როცა ბუნებას ხოტბას ასხამს, როცა მის სილამაზეს, გონიერებას და ღირსებას უღრეკს ქედს, იგი მეორედ იბადება.

ეს ამბავი საღად წარმოადგინა სულ რამდენიმე მსახიობმა, რომლებიც მრავალჯერ იცვლიდნენ სახეს. თამაშში უხვად ერია პანტომიმა და ცეკვა, სწრაფი გარდასახვისა და ხასიათების უბრალოდ დახატვის უნარი. ყველაფერში გამოსტყვიოდა მძლავრი ფანტაზია, პირველყოფილი ხუმრობა, მაგრამ ამავე დროს ღრმა ფიქრი და აზრი. ნანა ხატისკაცისა და თენგიზ მთალაშვილის რეჟისურა ცოცხალ სურათებში და ფერებში ბათქოის „ფილოსოფოსობისაკენ“ იხრება, მთლიანად საქმეტიკლი კი ჰგავდა აცქვევებულ

ჭკუის სასწავლ გაკვირვოს, სადაც ხალხი საკუთარი ღირსების სრული შეგნებით გავაწდის თავის თვალსაზრისს ადამიანური ყოფის აზრისა და მშენიერების შესახებ.

სულ სხვა ხასიათისა დაგით კლდიაშვილის ერთმომედიანბანი წარმოდგენა „სამანიშვილის დღინასცალი“, რომელიც იმ ხალხის მეორედ გვიჩვენებს. თმესა ცოლის შერთვის სურვილით აღტყინებული გაღარბებული მოხუცი ახანაურისა და ქონების მოზარე ძმის გაჩენის შიშით ატანილი ვაჟიშვილის ამბავი ცოტა არ იყოს გატანაურებულია მაგრამ თუმერ ჩხეიძისა და რობერტ ტურტუას გონებაშახვილური ინსცენირების წყალობით წარმოდგენამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. მსახიობები უწყვიან კლდიაშვილის მუხუშემ და ათვალერევენ ექსპონატებს, რომელთა შორის არის წიგნიც. ერთი იწყებს ამ წიგნის ხმამაღლა კითხვას და შეუწნველად აქეებს ამ კითხვას თამაშად. მთელი მოქმედება მხოლოდ მუხუშემის დარბაზში თამაშდება, იგი გარდაიქმნება მხოლოდ მსახიობებისა და მაცურებლების ფანტაზიაში. დგამები და სკამები ცხენებად იქნენ, ჩვენს თვალწინ ქეიფიც ჩაღდება, პერსონაჟები ბუნების წიაღშიც ხვდებიან ერთმანეთს — ყველაფერი შვიძლება, ყველაფერი ნებადართულია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა კოლუნადის ყველა ხერხით წარმოდგენილი სცენა, როცა ჩაის სუფრასთან მსხდომ „დადვეწილ“ საზოგადოებაში შეიჭრება მთვრალი.

რა დონე არ იხმარეს, სად არ ეძებეს უშვილო ქალი, მაგრამ მოხუცი ახანაური მანიც ვერ ასცდა მამობას და აი, ვუყურებთ მოლოცვის სცენას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ამ წარმოდგენაში. აქ სერგო ზაქარაძემ გვიჩვენა თავისი ერთ-ერთი დიდი სცენა: აქ იგრანობა სირცხვილიც, ფარული სიხარულიც, შეკავებული სიცილიც და ვაჟიშვილის რისხვის წინაშე უკვე მიმძლავრებული შივიც.

ამ ორი წარმოდგენის შემდეგ მოულოდნელი აღარ იყო, რომ ქართველ ხელოვანთათვის ენა ანუის „ანტიგონეს“ ჩვენებისას ფრანგების ირონიული მელანქოლია, ატორის ზურელი, განწარმული დამოუკიდებელი ძველი ტრაგედიაში სადმი, უპირველეს ყოვლისა კი პესიმოზმით შეფერილი კონფლიქტი კრუნისა და თავის წმინდა იდეის ჯიქურ მიმდევარ ანტიგონეს შორის მხოლოდ მიმზიდველ გარსად დარჩა.

მათ კვლავ სახეებით ძალდატანებლად გაიკვილეს გზა ძველი ამბის არსისაკენ, ანტიგონეს ტრაგედიაშიაკან, რომელიც შეურყვეველი ადამიანობის მაგალითის გვაძლევს და ლანარ თპორტუნისტ კრუნზე გამარჯვებას ზეიმობს. სადა, შვიი კაბით შემოსილია ზინა კვერენჩილიძემ ანტიგონეს სახე ღრმა, შინავან განვლდებუ აავო. იგი აქეთ-იქით აწყდება, უნდა ვინმეს გაუხსნას გული. იგი ცოცხლობს ოიდიპოსის ასულის სიცოცხლით, სასოწარკვეთილი რომ ცდილობს კონტაქტი დაამყაროს თავის დასთან ისმენესთან, საქმროსთან ჰემონთან, მაგრამ არც სასოწარკვეთილი აფეთქება შევლის, არც უსიტყვე მორჩილების გამოძვლავნება, მინც ვერავის აწდის თავის გულისხმას. მისი სუ-

ლიერი მოშვებულობის წინააღმდეგ ილაშქრებს სერგო ზაქარიადის ფიზიკალი, ფიცხი კრეონი, რომელსაც უჭირს ღირსებისა და პატივისათვის ბრძოლა, მაგრამ ვნებათაღელვებით აღსავსე ზეგასვლები და თითქმის ფიზიკური აგრესიულობის გამოჩენით იხივ ამტიკცებს, რომ სცენაზე მსუბუქი ჯანრის პიესას კი არ თამაშდება, არამედ დამიანურ სიმარტოლესთან და ამღელვებულ პათეტიკასთან გვაქვს საქმე, რაც ანუის ტექსტში კი არა, უფრო მისი პიესისათვის გამოყენებულ ანტიკურ მასალაშია საძებარი.

რუსთაველის თეატრის „ცხრა სცენიდან“ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას, თავისთავად გასაგებია, ხალხური, ეროვნული ტრადიციებით ნასაზრდოები სცენები ახდენს. მათ შორის უნდა გამოვყოთ ელიოზიშვილის „ბებერი მუხრანეების“ ერთი სცენა, სადაც შყერილია სამი მიხრწნილი მოხუცი, ყოფილი მომღერლები, მათ ასევე მიხრწნილი ცოლები და მათზე ცოტა „ახალგაზრდა“ მეგობარი შეუეზუე. სიყვარულითაა დანახული, მოხუცებს რომ სიბერისაგან ბევრი ახირებულნი ზნე სჭირთ, ერთ-ერთი მათგანის „ჭილაობა“ ხომ მომხიბლავ შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩინებული იყო აგრეთვე ცოლის თხოვის სურვილს აყოლილი თავადისა და ოინაზი მაჭანკლის სცენა (ცაგარლის

„ხანუმა“). ნახუცრიშვილის ზღაპრის „ჭინჭრაქას“ ერთ სცენაში ბრწყინვალედ გამომქლანდა ქართველ ხელოვანთა კომედიური ტემპერამენტი, მოხატული ნიღბებისა და გროტესკულად დამახინჯებული თავების მემვევებით უჩვეულოდ დიდი შთაბეჭდილების მოხდენის უნარი, ზღაპრის ფანტაზიით გამაჭკალები ნიჭი.

იოლი არ იყო ერთმანეთის გვერდით ქართული თანამედროვე პიესისა (ნ. დუმბაძის „შოანი ღამე“ და კლასიკური დრამების სცენების წარმოდგენა. სერგო ზაქარიადემ გვიჩვენა ბავშვური, წყნარი ღირი, „სერუანელი კეთილი ადამიანის“ ერთმა სცენამ კვლავ დაადასტურა ქართველი მსახიობების დრამატული ძალა და ხალხური უშუალობის გადმოცემის ნიჭი.

შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ სცენები საზეიმო სვლით, დიდი დაჯგუფებებით, კეთილშობილური მიხრა-მოხირი იყო გადაწყვეტილი. იგი ძირითადად ორატორულ შთაბეჭდილებებზეა აგებული.

ეს სცენა იყო თბილისური თეატრის უკანასკნელი წარმოდგენის დასაწყისი და საპროგრამო დასასრული.

გაკანანულადან თარგმნა ღალი შანჯიკიძემ



საქართველოში ფეოდალური ხანის არქეოლოგიას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაყარა საფუძველი და განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1936 წლიდან, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ამ დროიდან განვილილი სამი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიურად შესწავლილი იქნა ფეოდალური ხანის მრავალი ძეგლი. ნაქალაქებოც, ციხე-ქალაქების, ნასოფლართა თუ სახელოსნოთა გათხრებისას არქეოლოგიური მასალის დიდ ნაწილს მოჭიქული თუ მოჭიქეპიე ჭურჭლის წარმოადგენს. ამიტომ მკვლევარებიც ექსპედიციის თხრის ანგარიშებსა თუ ცალკეულ ნაშრომში მას გარკვეულ ადგილს უთმობენ. მაგრამ ფეოდალური ხანის ქართულ კერამიკას მხოლოდ ორი ნაშრომი მივძღვნა — ვ. მაისურაძის „ქართული მხატვრული კერამიკა“ და ვ. ჯაფარიძის „ქართული კერამიკა“. ამდენად სასიხარულოა, რომ მათ რიგებს შემმატა კიდევ ერთი საინტერესო გა-

## საინტერესო გამოქვლი

ლია მალრაძე


მოკვლევა „მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში“, იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს მარინე მიწუშვილს ეკუთვნის. წიგნი გამოსცა გამოცემლობა „ხელოვნებაში“, რომელმაც სულ ორთხე წელიწადში უკვე მრავალი კარგი წიგნით გაახარა ქართველი მკითხველი.

ჭიქური მინისებური მასა, რომლითაც თიხის ჭურჭელი თუ სამკაული იფარებოდა. ჭიქურით დაფარული ჭურჭელი წყალგაუმტარია. ასე რომ, მოჭიქული ჭურჭელი ერთდროულად ღამისიყვა და კარგად მოსხმარეც. სწორედ ამან განაპირობა მისი ფართო გავრცელება როგორც ძველად, ისე ახლაც.

საქართველოს მოჭიქული ჭურჭლის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია თრიალეთში და ურარტუს ეპოქით თარიღდება. თითო-ორულა ჭურჭელი მომდევნო ხანისაცაა ცნობილი (მცხეთა, ურბნისი), მაგრამ მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ხანა ჩვენში საშუალო საუკუნეებზე მოდის. IX-XIII საუკუნეები საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის აყვავების ხანად ითვლება. სწორედ ამ ეპოქის მოჭიქული კერამიკის შესწავლას ეძღვნება არქეოლოგ მ. მიწუშვილის ვრცელი ნაშრომი.

საშუალო საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა მრავალმხრივად მნიშვნელოვანია. როგორც აღვნიშნეთ, იგი არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს, ამი-





ტომ მისი შესწავლა (დათარიღება, საწარმოო ცენტრის დადგენა) ყველაზე საიმედო წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ძეგლის (ნაქალაქარის თუ ნასახლარის) ისტორიისა და ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპების აღსადგენად. მოქიქული კერამიკის წარმოების ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართული ქალაქებისა და საერთოდ მთელი ქვეყნის ეკონომიური ისტორიისათვის და ბოლოს, მოქიქული თიხის ტურქული მხატვრული ხელოსნობის ნაწარმს წარმოადგენს და მისი მცენარეული შესწავლა (სხვა მასალებთან ერთად) ნათელ წარმოადგენს გეიქმნის საშუალო საუკუნეების ქართული ნივთიერი კულტურის განვითარების დონეზე.

აღნიშნული ნაშრომი დიდალად და მეტად მრავალფეროვანი მასალის დეტალურ შესწავლაზე დაფუძნებული. წიგნში თითქმის მთლიანად და ასახული ის უმდიდრესი მასალა, რომელიც ქართველმა არქეოლოგებმა მოიპოვეს უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო საუკუნეების მთელი რიგი ძეგლების გათხრებისას. ასეთებია: ძველი თბილისი და მისი კერამიკული სახელოსნო, ღმანისი, გუდარეხი, რუსთავის ნაციხარი და ნაქალაქარი, ნადარბაზევის სასახლე, თეთრი წყაროს ნასოფლარები და სხვა.

ნაშრომში განხილულია დასახელებულ პუნქტებში აღმოჩენილი საოჯახო დანიშნულების სხვადასხვა სახის მოქიქული ტურქული: სამარილები, ტრაქები, ქილები, ქოთნები, საყვავილეები, კოტომები, ჯამები და სხვ.

მონოგრაფიაში მოცემულია ამ მასალის ზუსტი აღწერა, ფორმებისა და დამზადების ტექნიკის (კეცის, ჭიქურის) დეტალური დახასიათება, ორნამენტის სტილისტური ანალიზი.

წიგნის ავტორი ქართულ მოქიქულ კერამიკას განიხილავს მჭიდროდ თუ უფრო შორეული ქვეყნების (სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, მესოპოტამიის, შუა აზიის, ყირიმისა და ბიზანტიის) იმდროინდელ და იმავე ტიპის მასალებთან საფუძვლიანი შედარების ფონზე და ამით ნათლად წარმოაჩენს ქართული მოქიქული თიხის ტურქულის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს.

ასეთი ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად მარინე მიწეშვილმა შეძლო დაადგინა მოქიქული კერამიკის განვითარების ორი ძირითადი საფეხური და ზუსტად განესაზღვრა თითოეული მათგანის დამახასიათებელი ნიშნები.

პირველ საფეხურზე — IX-X საუკუნეების მასალაში ერთიანდება შესწავლილი მოქიქული ტურქულის მცირე ნაწილი, რომელიც თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო მკვეთრად გამოიყოფა დასახელებულ ადგილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მოქიქული ტურქულიდან. ამ პერიოდის ჭიქური ძირითადად მწვანე ფერისაა, ხოლო ორნამენტები აგვივანიალია (მშველ კეცზე თეთრი ანგობით (მხლისი კერამიკის მრავალრიცხოვანი ფოთლები, «გულეში», რგოლები). ამავე საფეხურზე ჩნდება ერთ-ერთი საინტერესო სახელე მოქიქული ტურქულის ტექნოლოგიაში: ტურქულს შედაპირის თეთრი ანგობით დაფარვა და ფუნჯის საშუალებით მწვანე, ყვითელი და ღვიძლისფერი ნალექნებებისაგან ორნამენტის გამოყვანა.

მეორე ეტაპზე, რომელიც ერთი-

ნი ქართული ფეოდალური მონარქიის აყვავების ემთხვევა (XI-XIII საუკუნეებში) და ზოგადად რუსთაველის ეპოქის სახელითაა აღიარებული, მოქიქული ტურქული სრულიად განსხვავებულია IX-X საუკუნეების ტურქულსაგან: კეცით, ორნამენტის გამოყვანის ხერხით, ჭიქურითა და თვით ტურქლის ფორმითაც. ამ ხანების ქართული მოქიქული კერამიკა ძირითადად პოლიქრომიულია, ხოლო ორნამენტზე მეტად მრავალფეროვანი (გეომეტრიული ხაზები, რტოლოტროვანი თუ მცენარეული სამკაული, ფრინველის, ცხოველისა და ადამიანის გამოსახულებანი). ბევრი მათგანი მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია.

ამრიგად, მარინე მიწეშვილის წიგნში მრავალმხრივად დასაბუთებული კერამიკული წარმოების მასალა დღემდე XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამასთან ერთად დამაჯერებლად და დიდგინილი მოქიქული თიხის ტურქულის დამზადების ძირითადი კერები (ღმანისი, თბილისი, უჯარმა, გუდარეხი, რუსთავი და სხვა) და მათი მემკვირეულ დონეზე დაწერილი გამოცვლევების კიდევ ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ ქართული კერამიკის წარმოების ისტორიის საკითხები საშუალო საუკუნეების საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ფონზეა განხილული.

წიგნის ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, იგი დიდი ფორმალისაა და შესანიშნავადაა ილუსტრირებული ფერადი ტაბულებით. «ხელოვნებაში» ამ წიგნის გამოცემით კარგი საკმე გააკეთა. ქართულ არქეოლოგიას დაღეს ბევრი ნიჭიერი მემკვირეი ენსახურება, მათი ნაშრომები კი რატომღაც ნაკლებად ისტამბება. გამოცემლობა «ხელოვნებაში» მ. მიწეშვილის წიგნი «მოქიქული ტურქული ძველ საქართველოში» გამოსცა მცირე ტირაჟით (მხოლოდ 1000 ეგზემპლარი) და იგი უკვე იშვიათობად იქცა. ვფიქრობთ, ეს წიგნი დაამუშვენდა არა მარტო სპეციალისტის, არამედ ყველა ქართველი მკითხველის წიგნის თაროს.



შემოქმედებითი საღამოს პრეზიდენტში

## ლევან არზუმანოვის შემოქმედავით სალამოვა

